საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№41 (417)
8 - 14 ნოემბერი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

# «ნუ მიეყრდნობით!»



11

# არა
## სოდომიის პროპაგანდას! 7
## ლიბერალურ ნარკოპოლიტიკას!
## საქართველოს კოლონიზაციას!



ფოტომონტაჟი

გიორგი ანდრიაძე: 6

## «მწერლებმა, მეცნიერებმა მსახიობებმა, სპორტსმენებმა — სრულიად საქართველომ საჯაროდ უნდა გამოხატოს პოზიცია და პირდაპირ თქვას: ჰომოსექსუალიზმი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი!»

## «აბა რას იტყვის მეგის ქარდავა?! რა, ვინმე ელოდებოდა, რომ განაცხადებდა, — ადამიანებს ვაუკაპტიურებდი იმ სამალავებშიო?!» 13

## ექლესიის სახელის ნაწილობრივ დისკრედიტაციაში ძალიან დიდია ფონდ «ღია საზოგადოება-საქართველოს» წვლილი

რა წერია სოროსის ფონდის ანგარიშსა და განვითარების სტრატეგიაში 4

## იტალიელი გეის, გიორგი ყიფშიძისა და ვანიკო თარხნიშვილის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი 3



## გამოკაშიავდნენ

## ევროინტეგრაცია მთლიანობის ფასად

„ქართველი პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა უსიტყვოდ ემორჩილება ბრიუსელის ნებისმიერ მითითებას, ისევე, როგორც ამას მათი სერბი კოლეგები აკეთებენ, ხოლო სოციალურ ქსელებში საეჭვო სიხშირით გაისმის მოწოდებები იმის თაობაზე, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში სეპარატისტული რეგიონების გარეშე უნდა შევიდეს“

## ქართულ-სერბული პარალელები 9

# ლენინი ოქტომბერში და





8

# სააკაშვილი ნოემბერში

## «ოდესის ყოფილ გუბერნატორს დავალებული აქვს, გააღვივოს საბრძოლო მოქმედებები უკრაინაში და დონბასის ლოკალური კონფლიქტი გადაზარდოს სრულმასშტაბიან ომში» 14

„არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის „ტორპედოებმა“ ქვეყანაში, დესტაბილიზაციის მიზნით, ტერაქტების სერია მოაწყონ“




## მთავრობამ საბავშვო ბაღებში გენდერულად ნეიტრალური სასწავლო სტანდარტი დაამტკიცა 2

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯეჯელავა, რომლის ყველაზე წარმატებული რეფორმა სკოლებში ბავშვებისთვის ვაშლის დარიგებაა, საზოგადოებას აჩეჩებს სტანდარტს, რომლის თანახმადაც საქართველოს მომავალ თაობას საბავშვო ბაღიდანვე მოამზადებენ ლგბტ პირებად.**

# მთავრობამ საბავშვო ბაღებში გენდერულად ნეიტრალური სასწავლო სტანდარტი დაამტკიცა

**საქართველოს მთავრობამ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები დაამტკიცა. მათი ამოქმედება 2024 წელს იგეგმება, მანამდე კი უნდა გადამზადდნენ აღმზრდელები.**

სტანდარტები მოიცავს შემეცნებით, აღმზრდელობით და ჰიგიენის საკითხებს. ეს არის პედაგოგებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო და იგი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდისა და განათლების სამინისტროს მიერ. ამ სტანდარტის მეცხრამეტე მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ:

**„თანასწორობა მოიცავს გენდერულ საკითხებსაც. თანამედროვე სამყაროში თითქმის ყველა სამუშაოს შესრულება თანაბრად კარგად შეუძლიათ კაცებსა და ქალებს, თითქმის ყველა პროფესიაში ნელ-ნელა თანაბრდება კაცთა და ქალთა რაოდენობა. ეს ტენდენციები კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში, როდესაც ჩვენი ბავშვები ზრდასრულნი იქნებიან. პროგრამა თ-ა-მ-ა-შ-ი ბავშვებს ამზადებს როგორც დღევანდელი, ისე ხვალინდელი დღისთვის. აქედან გამომდინარე, აღმზრდელები:**

*** არ ახდენენ გოგონებისა და ბიჭების ხელოვნურად დაყოფას. მაგალითად, ჯგუფში დასწრების აღნიშვნისას გოგონებისა და ბიჭების რაოდენობის ნაცვლად, ითვლიან ბავშვების საერთო რაოდენობას. გენდერული დაყოფა ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ დასახულ მიზანს — ბიჭებსა და გოგონებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებას. აღმზრდელმა ბავშვების ჯგუფი შეიძლება დაყოს არა სქესის, არამედ სხვა მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად, მაისურის ფერის, სახელის პირველი ასოს, დაბადების თვის მიხედვით და ა.შ. ამ ტიპის კლასიფიკაცია, ამასთანავე, იძლევა სწავლა-სწავლების უფრო მეტ შესაძლებლობებს, ვიდრე ჯგუფის დაყოფა სქესის მიხედვით.**

*** უზრუნველყოფენ, რომ ყველანაირი აქტივობა და მასალა ყველა ბავშვისთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი. სასკოლო მზაობის ჯგუფში, ისევე, როგორც ზრდასრულთა ცხოვრებაში, არ არსებობს მკაცრად გამიჯნული საქმიანობები გოგონებისთვის ან ბიჭებისთვის.**

*** აქტიურად წაახალისებენ გოგონებისა და ბიჭების ერთობლივ თამაშსა თუ საქმიანობებს; საჭიროებისამებრ, ეხმარებიან მათ ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში; გეგმავენ აქტივობებს და მოიმარაგებენ ისეთ მასალებს, რომლებიც ორივე სქესის ბავშვებს დააინტერესებთ.**

*** აღმზრდელებს საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში შეაქვთ რეკვიზიტები და კოსტიუმები გოგონებისა და ბიჭებისთვის, კითხულობენ ან გაითამაშებენ ზღაპრებს, რომლებშიც თანაბრად არიან წარმოდგენილნი ორივე სქესის გმირები.**

*** პასუხობენ გენდერულად (სქესობრივი ნიშნით) დისკრიმინაციულ ქცევას, როგორიცაა ბიჭების მიერ თამაშიდან გოგოების გარიყვა (ან პირიქით), დამცირება და დაცინვა. ამ ტიპის ქცევები არაფრით განსხვავდება ბავშვებს შორის სხვა აგრესიული თუ უხეში ქცევისგან, რომელიც აღმზრდელებმა უპასუხოდ არ უნდა დატოვონ“.**




**ბავშვებმა თვითონ უნდა აირჩიონ, რომელ გენდერთან ახდენენ თვითიდენტიფიკაციას. ეს არის სქესთა აღრევის თეორია, რომლის მიხედვითაც უკვე საბავშვო ბაღიდანვე სურთ, ბავშვებში წაშალონ განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის**

როგორც ხედავთ, საქართველოს მთავრობამ სკოლამდელი განათლების გენდერულად ნეიტრალური სასწავლო სტანდარტი დაამტკიცა, რომლის მიხედვით, ბაღებში ბიჭებისა და გოგონების გენდერული ნიშნით გამორჩევა არასწორია და აღმზრდელებმა ყველა ტიპის საქმიანობაში ბავშვების თანასწორად ჩართულობა უნდა უზრუნველყონ. **მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბიჭები ტრადიციულად ბიჭებისთვის საინტერესო საქმიანობითა და გართობით არ იყვნენ უპირატესად დაკავებულნი, ხოლო გოგოები ტრადიციულად გოგოებისთვის საინტერესო საქმიანობით და ისინი თანაბრად დაკავდნენ ყველა ტიპის გართობითა და საქმიანობით.**

ეს გენდერული იდეოლოგიის სასწავლო სისტემაში შეტანის პირველი ნაბიჯია. **გენდერული იდეოლოგიის თანახმად, გენდერი ბიოლოგიურად განსაზღვრული მოცემულობა კი არა, არჩევითი მდგომარეობაა. გენდერული იდეოლოგიის სასწავლო სისტემაში შეტანა აუცილებლად გულისხმობს უკვე ბაღის ასაკიდან ბავშვებისთვის იმის სწავლებას, რომ ტრანსგენდერობა ნორმაა, ხოლო გენდერი — არჩევითი მოცემულობა. გენდერულ იდენტობას, ბიოლოგიური სქესი კი არა, ადამიანის არჩევანი და თვითგანცდა განსაზღვრავს და ამიტომ ბავშვებმა თვითონ უნდა აირჩიონ, რომელ გენდერთან ახდენენ თვითიდენტიფიკაციას. ეს არის სქესთა აღრევის თეორია, რომლის მიხედვით უკვე საბავშვო ბაღიდანვე სურთ, ბავშვებში წაშალონ განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის.**

ეს ნორმა **ჯეჯელავას** სამინისტრომ მოამზადა და საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა. ამ ნორმით გაიზრდებიან მომავალი თაობები და თავად გადაწყვეტენ, როგორი იქნება მათი გენდერული თანასწორობა(?!). **საინტერესოა, რა მოცულობის გრანტის სანაცვლოდ შექმნა და დაამტკიცა მთავრობამ ეს ნორმა. ჯეჯელავა, რომლის ყველაზე წარმატებული რეფორმა სკოლებში ბავშვებისთვის ვაშლის დარიგებაა, საზოგადოებას აჩეჩებს სტანდარტს, რომლის თანახმადაც საქართველოს მომავალ თაობას საბავშვო ბაღიდანვე მოამზადებენ ლგბტ პირებად(!).** იმედია, ეკლესია თავის სიტყვას იტყვის კომბლე მინისტრის უწყებაში მომზადებულ და მთავრობის მიერ დამტკიცებულ საგანგაშო სტანდარტზე.

# ფიცი მწამს, ნანუკა მაკვირვებს

**„გარწმუნებთ, თუ ჩემ შვილს თმის ერთი ღერი ჩამოუვარდება, ძალიან მძიმედ მოვთხოვ სახელმწიფოს და დარწმუნებული ვარ ყველა დედა ასე იზამს... ახლა, აქაც რომ მოვდიოდით, მარიამი ჩემთან ერთად არის და ვეუბნებოდი, რომ მოდი, შენ იქ არ გამოჩნდე მაინც, იმიტომ, რომ, შვილს როცა ეხება, გაცილებით რთულია... ყველას შვილზე ძალიან მძიმე მოსასმენია ის აღვირახსნილი კომენტარი, რითაც გია კორკოტაშვილმა ჩემს შვილს მიმართა“, — განაცხადა ტელეწამყვანმა ნანუკა ჟორჟოლიანმა გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ და სრულიად უტიფრად, ურცხვად, ისე, რომ ახლო წარსულს წამითაც არ გადაავლო თვალი, ისაუბრა იმაზე, რა მძიმეა დედისთვის შვილზე სიტყვიერი ძალადობაც კი.**

დედისთვის შვილის კარგად ყოფნაზე მნიშვნელოვანი რომ არაფერია, ეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ნათელია, მაგრამ წამით ის შვილმოკლული დედებიც გაიხსენეთ, რომელთა შვილებიც „ნაციონალური მოძრაობის“ სასტიკმა რეჟიმმა ქუჩაში ჩახოცა.

ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანის თქმით, კორკოტაშვილმა ვრცელი სტატუსი მას შემდეგ მიუძღვნა, როცა „ჟურნალისტიკის მეტრმა“ კოლეგებს მოუწოდა, საერთოდ არ დაეთმოთ ეთერი „ქართული მარშისთვის“. კორკოტაშვილის ფეისბუქპოსტს გამოეხმაურა ჟორჟოლიანის შვილი **მარიამ გეგუჩაძე,** რომელსაც კორკოტაშვილმა უხამსად მიმართა. დასაგმობია „ქართული მარშის“ წარმომადგენლის, გია კორკოტაშვილის, მიერ ნანუკას შვილის მიმართ სოციალურ ქსელში მიწერილი უცენზურო კომენტარი; ყოვლად დაუშვებელია შვილებზე ფსიქოლოგიური თუ მორალური ძალადობა და ეს საკამათო არ არის. საკამათოა ნანუკასნაირი ადამიანების დამოკიდებულება საკითხისადმი. **სანდრო გირგვლიანს თმის ღერიც ჩამოუვარდა და სასტიკადაც აწამეს ოქროყანაში. დედამისი კი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ყველა დედას მხარში ამოდგომას სთხოვდა და იმხანად ან ახლა მაინც თუ გიფიქრიათ რეჟიმის მსხვერპლი დედა-შვილის ტრაგედიაზე?! მაშინ რატომ ერთხელაც არ წამოგცდათ, როცა შვილს ეხება საქმე, რომ ძალიან მძიმეა ეს ყველაფერი?!** თქვენ არ გეხებოდათ **ირინა ენუქიძის** ტრაგედია და არც გადარდებდათ შვილმოკლული დედის სატკივარი?! სხვათა შორის, არც ახლაა გვიან. როდესაც ემოციით საუბრობთ იმაზე, რომ კორკოტაშვილმა თქვენს შვილს უცენზუროდ მიმართა, ახლო წარსულშიც გაიხედეთ, ახლა მაინც გამოხატეთ სინანული, რომ თავის დროზე, როდესაც ირინა ენუქიძეს სტკიოდა შვილი, მის გვერდით არ დადექით! ახლა მაინც სთხოვეთ პატიება **ია მეტრეველს,** რომ გულთან ახლოს არასდროს მიიტანეთ ქუჩაში დახვრეტილი მისი 19 წლის შვილის შემზარავი ტრაგედია! სხვათა შორის, დედები იმ სვან ბიჭებსაც ჰყავდათ, ქალბატონო ნანუკა, თქვენთან დარეკვის გამო **ერეკლე კოდუას** დავალებით რომ გაიტაცეს, სასტიკად სცემეს, მერე ციხეში გამოკეტა და ბოლოს საპროცესო შეთანხმებით გაუშვეს! მათ დედებსაც ჰკითხეთ, როგორ სტკიოდათ შვილების მდგომარეობა?! მათი დედების სატკივარზეც იფიქრეთ, ვისაც თქვენმა ყოფილმა მეუღლემ რამდენიმე ათეული ათასი დოლარის ღირებულების მანქანები რომ „შეაწერა“. არა მგონია, მათი დედები გახარებული ყოფილიყვნენ შვილებზე ძალადობით. არც **გამცემლიძისა** და **ვაზაგაშვილის** დედები დაივიწყოთ. ნურც იმ დედებს დაივიწყებთ, რომელთა შვილებიც ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციისას ჩახოცეს. იმ დედების ჩამოთვლა, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაამწარა, შორს წაგვიყვანს და ეს რომ გაწუხებდეთ, „ობიექტურო ჟურნალისტო“, თავის დროზე ამოიღებდით ხმას, თავის დროზე გამოუცხადებდით სოლიდარობას შვილმოკლულ დედებს და იტყოდით, რომ ძალადობა დასაგმობია და, „შვილს როცა ეხება, გაცილებით რთულია!“ თქვენ **უხერხულობა არც მაშინ გიგრძვნიათ, როდესაც გავრცელდა ჯარის ე.წ. ბუნტის ფარული ჩანაწერი, სადაც ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვს, თქვენი ყოფილი ქმარი, სხვა პირებთან ერთად, მითითებებს იღებს შს მინისტრისგან და პრემიის მოლოდინით გულანთებულები „ეძებენ ორ გვამს“...** „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის მსხვერპლი დედა-შვილების გახსენება ნანუკა ჟორჟოლიანის უტიფარმა მიმართვამ გვაიძულა, რომელმაც „რუსთავი 2“-ის ეთერში დაგმო ძალადობა და სიძულვილის ენა, დაგმო იმ ტელევიზიის ეთერში, რომლის დირექტორი ძალადობის ერთ-ერთი შემოქმედი იყო ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნისას.



ძალადობა, მით უმეტეს, როდესაც ეს შვილებს ეხება, ყოვლად მიუღებელია, მაგრამ, **ვიდრე საჯაროდ დაიხოკავთ სახეს, ჟორჟოლიანებო, კვესიტაძეებო და გვარამიებო, დაფიქრდით: თუ სააკაშვილის ძალადობრივ რეჟიმს (რომლის მსახურებასაც დღემდე განაგრძობთ) არ დაგმობთ, გაქვთ კი ძალადობის დაგმობის მორალური უფლება?!**

თუკი კაშიას სამკლავური შეიძლება ჩაითვალოს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდად, რატომ არ უნდა ჩაითვალოს პროპაგანდად გიორგი ყიფშიძისა და ვანიკო თარხნიშვილის მიერ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით საზოგადოების წინაშე გამოჩენა?! ლგბტ თემის წარმომადგენლები და მათი უფლებადამცველები ისევ ატეხენ კრიახს იტალიელი გეიკონკურსანტისა და ყიფშიძე-თარხნიშვილის დასაცავად, მაგრამ ქართველი კაცის მიერ, თუნდაც შოუსთვის, „ქუსლოჩკებით“ ტანტალი არ არის მოსაწონი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გიორგი ყიფშიძეც და ვანიკო თარხნიშვილიც საკმაოდ პოპულარული და წარმატებული არიან და შესაძლოა, თინეიჯერებისთვის მისაბაძი მაგალითიც კი იყოს რომელიმე მათგანი.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იტალიელი გეის, გიორგი ყიფშიძისა და ვანიკო თარხნიშვილის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი

**გასულ კვირას, როდესაც მთელი ერი საქართველოს ფეხბურთის ნაკრების წევრის — გურამ კაშიას სამკლაურზე მსჯელობდა, რატომღაც ყურადღების მიღმა დარჩა ტელეპროექტ „ნიჭიერში“ იტალიელი გეის გამოსვლა, რომლის ნიჭიერებაც მხოლოდ და მხოლოდ უკანალის ქნევაში გამოიხატა. მართალია, მან იმღერა, მაგრამ ჟიურის წევრები არა სიმღერით, არამედ ცეკვით, უფრო ზუსტად, უკანალის თამაშით მოხიბლა და მეორე ტურშიც გადავიდა.**









**სტეფანე მღებრიშვილს, გიორგი ბახუტაშვილსა** და **რუსკა მაყაშვილს** საზოგადოების წინაშე ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ, მაგრამ უხერხულია, როდესაც ამ უნიჭო უცხოელის გაუგებარ როკვაზე აღტაცებით უკრავდა ტაშს საქართველოს პირველი ლედი **მაკა ჩიჩუა**. შეგახსენებთ, რომ ამავე პროექტში მან მწვანე ბალახის პროპაგანდაზეც ისაუბრა, თუმცა მისმა პრეზიდენტმა მეუღლემ განმარტების გაკეთებაც კი არ ისურვა პირველი ლედის კანონთან შეუსაბამო განცხადების გამო.

თავი დავანებოთ მაკა ჩიჩუას და ისევ იტალიელ ლგბტ პირს დავუბრუნდეთ. როდესაც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვაზეა საუბარი, უწინარესად, სწორედ ასეთი ფაქტები უნდა იყოს განსჯის საგანი. ზემოხსენებული სატელევიზიო პროექტი ეთერში გადის იმ დროს, როდესაც მას, დიდი ალბათობით, არასრულწლოვნებიც უყურებდნენ და, თუკი **კაშიას** სამკლავური შეიძლება ჩაითვალოს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდად, რატომ არ უნდა ჩაითვალოს პროპაგანდად **გიორგი ყიფშიძისა** და **ვანიკო თარხნიშვილის** მიერ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით საზოგადოების წინაშე გამოჩენა?! ლგბტ თემის წარმომადგენლები და მათი უფლებადამცველები ისევ ატეხენ კრიახს იტალიელი გეიკონკურსანტისა და ყიფშიძე-თარხნიშვილის დასაცავად, მაგრამ ქართველი კაცის მიერ, თუნდაც შოუსთვის, „ქუსლოჩკებით“ ტანტალი არ არის მოსაწონი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გიორგი ყიფშიძეც და ვანიკო თარხნიშვილიც საკმაოდ პოპულარული და წარმატებული არიან და შესაძლოა, თინეიჯერებისთვის მისაბაძი მაგალითიც კი იყოს რომელიმე მათგანი. ჰოდა, ამ წარმატებული ახლაგაზრდა მამაკაცების მიერ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სოლიდარობის გამოცხადება უცხოელი გეისთვის, სხვა რა არის, თუ არა ჰომოსექსუალობის პროპაგანდა?! ეს იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელიც საზოგადოების ტვინის გამორეცხვას ემსახურება...

## მიხეილ სააკაშვილი:

# ამ «უახლოეს თანაგუნდელს» არასდროს შევხვედრივარ

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, მეგის ქარდავა, უკრაინელმა სამართალდამცველებმა დააკავეს.**

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** გავრცელებულ ინფორმაციას მყისვე გამოეხმაურა: „მედიის წყაროები ძალიან არასარწმუნოა. ამ „უახლოეს თანაგუნდელს“ მე არასდროს შევხვედრივარ და მისი არსებობის შესახებ მხოლოდ პრესიდან ვიცი“, — დაწერა სააკაშვილმა სოციალურ ქსელში და ჩანაწერს დაურთო ბმული, რომელზეც ერთ-ერთი უკრაინული მედიასაშუალება საქართველოს ექსპრეზიდენტის „უახლოესი თანაგუნდელის“ დაკავებაზე წერს. სააკაშვილმა ქარდავას დაკავების ოფიციალურად დადასტურებამდე უარყო ყოფილი თანაგუნდელი და მეტი დამაჯერებლობისთვის ისიც დასძინა, რომ მის შესახებ მხოლოდ პრესიდან იცის. სააკაშვილი ამ შემთხვევაშიც რომ ცრუობს, ადასტურებს ის, რომ ექსპრეზიდენტმა სამხედრო პოლიციის ყოფილ უფროს მეგის ქარდავას 2010 და 2012 წლებში ორდენები გადასცა: 2010 წელს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო 2012-ში — ღირსების ორდენით. თუ არ იცნობდა ქარდავას და ისე გადასცა ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენები, ეს კიდევ უფრო ტრაგიკომიკურს ხდის „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმს.

სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა **გიგი უგულავა**. მისი თქმით, არ მოეწონა ექსპრეზიდენტის განცხადება, რომ ის საქართველოს სამხედრო პოლიციის ყოფილ უფროს მეგის ქარდავას არ იცნობდა. რთულია იმის თქმა, რატომ შეაშფოთა სააკაშვილი მედიაში გამოქვეყნებულმა ფრაზამ „უახლოესი თანაგუნდელი“. თუ მოვლენების განვითარებას გავაანალიზებთ, გამორიცხული არ არის, რომ ამ „უახლოესი თანაგუნდელის“ დაკავება სააკაშვილისთვის მესიჯი იყოს მისი შესაძლო დაკავების შესახებ, არც ის არის გამორიცხული, რომ ქარდავამ აღიარებითი ჩვენება მისცეს და სააკაშვილმა თავი დაიზღვია...



ასეა თუ ისე, სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი სკანდალური შემსრულებელი დაკავებულია. „მეგის ქარდავას პოლიტიკური თავშესაფარი არ მოუთხოვია, ის სახლში აიყვანეს და იარაღი არ არის ამოღებული“, — განაცხადა მეგის ქარდავას უკრაინელმა ადვოკატმა. **მიხეილ ლატოცკის** თქმით, მეგის ქარდავამ მიმალვა ვერ მოასწრო. რაც შეეხება საექსტრადიციო მასალებს, როგორც ცნობილია, პირველი ინსტანციის სასამართლო ქარდავას საქმეს 40 დღის ვადაში განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს.

ლატოცკის განცხადებით, ქარდავას უკრაინაში დანაშაული არ აქვს ჩადენილი და ის მხოლოდ ქართული მხარის მოთხოვნით და ინტერპოლის ძებნილის სტატუსით დააკავეს. საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადების თანახმად, მეგის ქარდავა იძებნებოდა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი არაერთი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, კერძოდ: ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე მისჯილი აქვს სამი წლითა და ცხრა თვით თავისუფლების აღკვეთა; პატიმართა წამების საქმეზე (ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმე) მისჯილი აქვს შვიდი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა; ე.წ კასრების საქმეზე მისჯილი აქვს ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებული ბ.რ.-ს წამების საქმეზე მისჯილი აქვს სამი წლითა და ცხრა თვით თავისუფლების აღკვეთა; პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამების საქმეზე მისჯილი აქვს ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამჟამად კი საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დაუსწრებლად იხილება ხუთი სისხლის სამართლის საქმე: სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის საქმე; ელდარ ქობალიას, კობა მატკავასა და მერაბ ყოლბაიას წამების საქმე; საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეობისას მალხაზ არქანიას წამების საქმე და ელბერდ კობერიძის თავისუფლების აღკვეთისა და წამების საქმე.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მეგის ქარდავას ექსტრადიციისთვის სამართლებრივი პროცედურები დაიწყო, თუმცა, როდის მოხდება ან მოხდება თუ არა მისი საქართველოსთვის გადმოცემა, უცნობია. საქართველოში მძიმე ბრალდებებით გასამართლებული და წითელი ცირკულარით ძებნილი სამხედრო, პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ახლა უკრაინული მხარის გადაწყვეტილებას ელის.

**სააკაშვილი ამ შემთხვევაშიც რომ ცრუობს, ადასტურებს ის, რომ ექსპრეზიდენტმა სამხედრო პოლიციის ყოფილ უფროს მეგის ქარდავას 2010 და 2012 წლებში ორდენები გადასცა: 2010 წელს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო 2012-ში — ღირსების ორდენით. თუ არ იცნობდა ქარდავას და ისე გადასცა ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენები, ეს ტრაგიკომიკურს ხდის «ნაციონალური მოძრაობის» რეჟიმს**

**გვერდები მოამზადა**
**ნიკა გელაშვილმა**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს დაახლოებით მილიონი მოქალაქე ემიგრირებულია რუსეთში და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სულაც არ ადარდებს, შეძლებენ თუ არა ეს ადამიანები სამშობლოში თუნდაც წელიწადში ერთხელ ჩამოსვლას, გაუმარტივდებათ თუ არა მათ ამ მხრივ მდგომარეობა. გამოდის, ის რუსეთში მყოფ ქართველ ემიგრანტებს არ თვლის თანამოქალაქეებად, რომლებიც დაახლოებით 370 მილიონ დოლარს გზავნიან ყოველწლიურად საქართველოში“.**



# ბექა ვარდოსანიძე: ეკლესიის სახელის ნაწილობრივ დისკრედიტაციაში ძალიან დიდია ფონდ «ღია საზოგადოება-საქართველოს» წვლილი

**მოძრაობა „ქართული მარშის“ საინიციატივო ჯგუფის წევრი ბექა ვარდოსანიძე „საქართველო და მსოფლიოს“ იმ დოკუმენტზე ესაუბრება, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, სოროსის ფონდ „ღია საზოგადოების“ ვებგვერდის ჰაკერული გზით გატეხვის შემდეგ გასაჯაროვდა.**

## რა წერია სოროსის ფონდის ანგარიშსა და განვითარების სტრატეგიაში

**— ბატონო ბექა, რა შინაარსისაა დოკუმენტი, რომელიც სოროსის ფონდის საიტის ჰაკერული თავდასხმის შედეგად გასაჯაროვდა?**

— 2016 წლის აგვისტოში საერთაშორისო ჰაკერთა ჯგუფ „დისილიქსის“ თავდასხმის შედეგად გამომზეურდა სოროსის ორგანიზაცია „ღია საზოგადოების“ დოკუმენტები, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში არჩევნების მანიპულირებას და სხვა საკითხებს ეხებოდა. **ამ დოკუმენტებში აღმოჩნდა სოროსის ფონდის საქართველოს ფილიალის ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ანგარიში და განვითარების სტრატეგია 2014-2017 წლებისთვის.** აღსანიშნავია, რომ საქართველოში ყველა წამყვანმა მედიასაშუალებამ დამალა ინფორმაცია იმის შესახებაც კი, რომ სოროსის ფონდის საიტზე ჰაკერული თავდასხმა განხორციელდა. ამის თაობაზე სოციალური ქსელიდან შევიტყვეთ, შემდეგ დავიწყეთ დოკუმენტის მოძიება და ვნახეთ კიდეც. ტექსტი ინგლისურ ენაზეა და მასში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საუბარია „ვარდების რევოლუციაზეც“: **„ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველომ“ თავიდანვე მოახერხა, საფუძვლიანი გავლენა მოეხდინა საქართველოს პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაზე, რაც აისახა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მოვლენებში. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია იკვებებოდა და მხარდაჭერილი იყო ფონდ „ღია საზოგადოება —საქართველოს“ მიერ, რომლებმაც მთავარი როლი ითამაშეს პროტესტის მშვიდობიან გამოხატვაში, რის შედეგადაც დასრულდა ედუარდ შევარდნაძის მმართველობა და ხელისუფლება გადაეცა მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“. ფონდ „ღია საზოგადოება —საქართველოს“ ბევრმა თანამშრომელმა დაიკავა თანამდებობა ახალ ხელისუფლებაში“.**

**— ფიქრობთ, რომ ამ ანგარიშით სოროსის ფონდმა, ასე ვთქვათ, მის საჭიროებას გაუსვა ხაზი?**

— ეს არის საქართველოს ფილიალის წარმატებულ მუშაობაზე ხაზგასმა და, რა თქმა უნდა, ამ ანგარიშის ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ გამართლებული იყოს ამ ფილიალის არსებობა, შედეგად — მიიღონ დაფინანსება სოროსისგან. წარმატებით შესრულებულ სამუშაოებზე ლაპარაკს მოჰყვება გეგმა იმის შესახებ, რა არის საქართველოში გასაკეთებელი. მაგალითად: **„ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“ ჟურნალისტური სტანდარტების ამაღლებითა და მედიასაშუალებების განათლების გაუმჯობესებით განაგრძობს ყურადღების კონცენტრირებას საზოგადოებრივი ინტერესის მედიაზე. „ფონდი ღია საზოგადოება —საქართველო“ გააგრძელებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მხარდაჭრას, ორგანიზაციისა, რომელიც აერთიანებს 250 ჟურნალისტს. ამჟამად ეს ორგანიზაცია განიხილება, როგორც რეპუტაციის მქონე ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში“,** — ნათქვამია დოკუმენტში. ასევე: **„განათლების ღია დემოკრატიული და ინკლუზიური უმაღლესი განათლების სისტემა ეხმარება საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქეებს მრავალფეროვნებების პატივისცემის გათვიცნობიერებაში და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში, რაც მათ დაიცავს ულტრაკონსერვატიული და ნაციონალისტური ზეგავლენისგან“.** საუბარია, აგრეთვე, 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებაზე და დოკუმენტში წერია, რომ ფონდმა მოახდინა გავლენა ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ისევ მოვიყვან ციტატას დოკუმენტიდან: **„კოალიციის უმრავლესობას, რომელიც ამჟამად ქვეყანას მართავს, შეადგენს ლიბერალური და კონსერვატიული ძალების ნარევი, რომელსაც არ აქვს ნათელი ხედვა, ლიდერშიპის ეს მერყეობა აჩენს შესაძლებლობას, რომ ახლო მომავალში ხელისუფლებაში მოვიდნენ კიდევ უფრო მეტად კონსერვატიული ძალები. საზოგადოების უკმაყოფილება იზრდება სამართლიანობის აღდგენის მოლოდინის ფონზე.... ფართო საზოგადოებაში დასავლეთის თანადგომაში იმედგაცრუება წარმოშობს ანტილიბერალურ განწყობებს და ანტიდასავლურ სენტიმენტებს, რაც მხარდაჭერილია საკუთარ პოზიციაზე მყარად მდგომი ეკლესიის მიერ“.**

**— რა გინდათ, ამით თქვათ: ის, რაც დღეს ეკლესიის გარშემო ხდება, სოროსის ფონდის გეგმის ნაწილია? ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობას ვგულისხმობ...**

— რა თქმა უნდა, და ამაში ეჭვი, ალბათ, არავის ეპარება. ეკლესიის სახელის ნაწილობრივ დისკრედიტაციაში ძალიან დიდია ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ წვლილი... ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: როდესაც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა უნგრეთის პრემიერმინისტრი **ვიქტორ ორბანი**, რომელსაც სურდა, გაეუქმებინა **ჯორჯ სოროსის** მიერ ბუდაპეშტში დაფუძნებული ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, მას სოროსის მიერ დაფინანსებულმა არასამთავრობოებმა საპროტესტო აქცია მოუწყვეს მხოლოდ იმიტომ, რომ გაბედა და სოროსის მიერ დაფინანსებული უნივერსიტეტის დახურვის სურვილი გამოთქვა. სხვათა შორის, სოროსის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან ყოფილი თავდაცვის მინისტრი **თინა ხიდაშელი,** პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი,** საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე **გიორგი პაპუაშვილი,** ხოლო პარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე არის კაცი, რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ თანამშრომელი იყო. **ირაკლი კობახიძე** პარლამენტის თავმჯდომარედ დასმიდან მეორე დღესვე ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ თავმჯდომარეს შეხვდა და ისაუბრეს იმაზე, რომ თურმე არასამთავრობოებთან უნდა გააღრმავონ თანამშრომლობა. ამიტომაც არიან კონსერვატიული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკოსები ულტრალიბერალებისა და სოროსელების ტყვეები, სწორედ მათ აქვთ გავლენა და ძალაუფლება ხელში ჩაგდებული. სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც მედიაშია უკეთესი ვითარება.

> **«სოროსის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან ყოფილი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, ხოლო პარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე არის კაცი, რომელიც ფონდ «ღია საზოგადოება-საქართველოს» თანამშრომელი იყო»**

**— რას ხედავთ ცუდს იმაში, რომ პარლამენტმა, გნებავთ, მთავრობამ არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა გააღრმაოს?**

— რადგან ირაკლი კობახიძეზე ვსაუბრობდი, სათქმელს ბოლომდე გეტყვით. პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე განაცხადა: ჩვენ გვაქვს წითელი ხაზები და მის არსებობამდე ამ საკითხს არ განვიხილავთო. როგორც ცნობილია, **საქართველოს დაახლოებით მილიონი მოქალაქე ემიგრირებულია რუსეთში და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სულაც არ ადარდებს, შეძლებენ თუ არა ეს ადამიანები სამშობლოში თუნდაც წელიწადში ერთხელ ჩამოსვლას, გაუმარტივდებათ თუ არა მათ ამ მხრივ მდგომარეობა.** გამოდის, რომ ის რუსეთში მყოფ ქართველ ემიგრანტებს არ თვლის თანამოქალაქეებად, რომლებიც დაახლოებით 370 მილიონ დოლარს გზავნიან ყოველწლიურად საქართველოში. ასეთივე შინაარსის იყო პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **თამარ ჩუგოშვილის,** განცხადებაც ამავე საკითხზე. როდესაც ევროკავშირმა ვიზალიბერალიზაცია მოგვცა, ვიცესპიკერს ჟურნალისტმა დაუსვა შეკითხვა: „გამორიცხავთ, რომ ახლა რუსეთმაც მოგვცეს უვიზო მიმოსვლა?“ მისი პასუხი იყო: „პროვოკაციებს ველოდებით, მთავარია, ქვეყანა არ მივიდეს ომის ზღვარზე და მშვიდად განვვითარდეთ ევროპული ინტეგრაციის გზაზე“. ამ განცხადებებიდანაც ჩანს, რომ **რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება არ არის ხელისუფლების პრიორიტეტი. როდესაც ქვეყნიდან ამდენი მოქალაქეა წასული დ ხელისუფლებას არ ადარდებს მათი ყოფა, რა არის ეს, თუ არა საკუთარი მოქალაქეების უგულებელყოფა?! წარმოიდგინეთ, რუსეთიდან ფულადი გზავნილების შეწყვეტა რა შედეგს მოუტანს ქვეყანას.** რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლებას ან ეშინია რუსეთში მცხოვრები მძლავრი დიასპორის, ან არ ანაღვლებს თანამოქალაქეების ბედი.

**— იქნებ მსგავსი განცხადებების გამო გიკიჟინებენ „ქართული მარშს“, რომ რუსული ძალების მიერ ფინანსდებით?**

— ყველა თავმოყვარე ქვეყანა იცავს თავის კულტურასა და ფასეულობებს. მხოლოდ ერთ მაგალითს გეტყვით: **პოლონეთში 200-ათასიანი ნაციონალისტური მარში ჩატარდა, მაგრამ საქართველოში ასეთ ინფორმაციას მალავენ. გერმანელ ჟურნალისტებს ევროკავშირმა გრანტი იმ პირობით გამოუყო, თუ მოაწერდნენ ხელს შეთანხმებაზე, რომლის თანახმად ევროკავშირს მხოლოდ დადებით კონტექსტში გააშუქებდნენ. ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც.** აკი დოკუმენტშიც არის ნახსენები საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელსაც ძალიან დიდი გავლენა გააჩნიაო. ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია ინტენსიურად თანამშრომლობს „მედიის განვითარების ფონდთან“, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორი **თამარ კინწურაშვილი** ხელმძღვანელობს. საზოგადოებას ემახსოვრება კინწურაშვილის ანტიეკლესიური გადაცემები, რომლებიც გადიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში. აი ამ „მედიის განვითარების“ ფონდმა საჩივრით მიმართა ქარტიას კონკრეტული გამოცემების წინააღმდეგ და ბრალი დასდო მათ ქსენოფობიურ განცხადებებში მხოლოდ იმიტომ, რომ საკითხი საქართველოში საემიგრაციო პოლიტიკას ეხებოდა. სამწუხაროდ, ასეთია დღეს ქართული მედიისა და არსამთავრობოების სახე. საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა, სოროსის ფონდი კი აფინანსებს **ბაია პატარაიას** ორგანიზაციას, რომელიც აბორტის პროპაგანდას ეწევა ლოზუნგით „შენი სხეული შენია, აბორტი შენი უფლებაა“. ეს რა, არ არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება?! გარდა იმისა, რომ აბორტი რელიგიურად ყოვლად გაუმართლებელია, არც ჰუმანიზმის ნორმებში ჯდება მკვლელობა!

**— თვლით, რომ ხელისუფლებაც გარე ძალების დაკვეთით მოქმედებს?**

— ვფიქრობ, ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, დაუპირისპირდეს იმ დიქტატურას, რომლის დამყარებასაც ცდილობენ ულტრალიბერალები, იქნება ეს ეკლესიის დისკრედიტაცია თუ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. **ჩვენი პოლიტიკოსები თავს იწონებენ ევროკავშირის ლიდერების წინაშე, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ამაყობენ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით. ეს კანონი კი ჰომოსექსუალებმა და ულტრალიბერალებმა სათავისოდ გამოიყენეს.** ისინი მანიპულირებენ ამ კანონით. ფაქტია, რომ ხელისუფლებამ ანტიდისკრიმინაციული კანონი საერთაშორისო ზეწოლის შედეგად მიიღო. იმ ფრონტზე, რომელზეც გვიწევს ბრძოლა, ძალიან მწირია ჩვენი შესაძლებლობები, მაგრამ მაინც მოვახერხეთ საზოგადოებაში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება. მადლობა ღმერთს, რომ ღირებულებები ისევ აქვს ხალხს. სხვათა შორის, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, თამარ კინწურაშვილმა გაბედა და სააღდგომო ლიტურგია არ გაუშვა ეთერში, მერე მიხვდნენ, რომ ეს საზოგადოებისა და ეკლესიის ღია გამოწვევა იქნებოდა და მოხსნეს კინწურაშვილი. მართალია, ასე არ დაარქვეს მის გათავისუფლებას, მაგრამ მიზეზი ეს იყო. სამწუხარო ფაქტია, რომ ჰომოსექსუალების უფლებები უფრო დაცულია, ვიდრე ჩვენი — ნორმალური ადამიანების. ეკლესიაში ციანიდის თემა შეაგდეს და ამით გაუტეხეს სახელი. მიზანმიმართულად მიმდინარეობს ეთნიკური ქართველების ქვეყნიდან გაყვანა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. შეგნებულად აღიზიანებენ ხალხს, რათა ჰომოსექსუალებმა და მათმა მხარდამჭერებმა ჩაგრულის იმიჯი მოირგონ და მერე ამით გრანტები მოიპოვონ. შვედეთში არსებობს გენდერულ-ნეიტრალური ბაღი („სიენ-ენის“ ვებგვერდიც წერს ამაზე), ბავშვი იზრდება ისე, რომ არ არის განსაზღვრული მისი იდენტობა. ახლა საქართველოში ცდილობენ, ანალოგიურის დაკანონებას. უამრავი ადამიანი შემოდის საქართველოში ისლამური ქვეყნებიდან, არავინ აკონტროლებს მათ შემოსვლას. ყველა მხრიდან დარტყმის ქვეშ ვართ. **ქართული ღირებულებებისა და ფასეულობების წინააღმდეგ მიმდინარეობს ღია ბრძოლა, რომელმაც შეიძლება დამანგრეველი შედეგი მოუტანოს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და მომავალ თაობას.**

ესაუბრა
**ნიკა გელაშვილი**

**226 ევროდეპუტატის დოსიეებში მითითებულია, რომ მათ უკვე ითანამშრომლეს „ღია საზოგადოებასთან“ და შეიძლება კვლავაც უხმონ სათანამშრომლოდ. დოსიეები შედგენილია არა მხოლოდ ღია წყაროებიდან, არამედ „საკუთარი ძალებით მოპოვებული ინფორმაციის შედეგად“. დახასიათებების სტილი ძალიან ჰგავს „პირად საქმეებს“ ტელესერიალ „გაზაფხულის 17 გაელვებიდან“, ოღონდ ფორმულირებები „ჭეშმარიტი არიელი“ და „ნორდული ხასიათი“ შეცვლილია ტერმინებით: „პროევროპელი“, „აქტიური პროევროპელი“ და „მეტისმეტად პროევროპელი“.**

ჰკა მაგათა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სოროსის სია

## ევროპარლამენტში სულ 751 დეპუტატია, მათგან სოროსის მოკავშირეა 226, ანუ მესამედზე მეტი

**საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ბევრია დასავლეთისგან გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია(ასო), რომელთა დიდი ნაწილი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქრისტიანული განწყობითა და მოქმედებებით გამოირჩევა. მათი გავლენა ისე დიდია პოლიტიკაზე, რომ, შეიძლება ითქვას, ხელისუფლება სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ამ ასოების, უფრო ზუსტად, მათი პატრონების (დამფინანსებლების) ინტერესების გათვალისწინებით იღებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მილიარდერ ჯორჯ სოროსის ფულით შექმნილი „ღია საზოგადოება“, რომლის მავნებლური საქმიანობის შესახებ დოკუმენტები DCLears-ის ჰაკერებმა მოიპოვეს და გამოაქვეყნეს. სწორედ ამ დოკუმენტებს ეძღვნება ინტერნეტგამოცემა vz.ru-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალა სათაურით „ჯორჯ სოროსის „მეხუთე კოლონას“ თავისი სახელი უწოდეს“:**



„სკანდალებით განთქმული მილიარდერის ძველი მტრის, უნგრეთის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანის ძალისხმევით, როგორც იქნა, გამომზეურდა ე.წ. სოროსის სია. ამ სიაში არიან ევროპარლამენტის დეპუტატები, რომლებიც სოროსის პროექტებს ლობირებენ და მისი მითითებით ცვლიან ევროკავშირის კანონმდებლობას. ამ დოსიეებში განსაკუთრებული პუნქტია რუსეთისადმი დამოკიდებულება. სწორედ ამ დამოკიდებულებით განისაზღვრება, პირი სოროსის მეგობარია თუ მტერი.

**ლაპარაკი იმაზე, რომ მილიარდერი ჯორჯ სოროსი აქტიურად ერევა მსოფლიოს პოლიტიკაში და ცდილობს ქვეყნების მართვას, კონსპიროლოგიად ითვლებოდა, მაგრამ ახლა გამოჩნდა კონკრეტული მტკიცებულებები, რომ ფინანსისტი მართლაც ახდენს გავლენას ევროკავშირში მიღებულ გადაწყვეტილებაზე: DCLEAKS-ის ჰაკერებმა გამოაქვეყნეს სოროსის საყვარელი ნაშიერის — „ღია საზოგადოების“ — მეთოდოლოგია.**

ეს არის საკმაო მოცულობის დოკუმენტი, რომელშიც შეკრებილია ინფორმაცია ევროპარლამენტის 226 წევრზე(!) — „ღია საზოგადოების“ იდეურ მოკავშირეებზე. ისინი მოწოდებული არიან, მხარი დაუჭირონ სოროსის იდეებს — ევროპაში მიგრანტების დასახლებას, „გენდერული თანასწორობის“ უზრუნველყოფას, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინებას, უკრაინის დაახლოებას ევროკავშირთან და, რა თქმა უნდა, რუსეთთან დაპირისპირებას.

ევროპარლამენტში სულ 751 დეპუტატია, მათგან სოროსის მოკავშირეა 226, ანუ მესამედზე მეტი.

„ღია საზოგადოებაში“ აქვთ დოსიეები ნაკლებად ცნობილ პარლამენტარებსა და ევროპული პოლიტიკის ისეთ მძიმეწონოსნებზეც, როგორიც არის, მაგალითად, **მარტინ შულცი** (ცოტა ხნის წინათ ევროპარლამენტის თავმჯდომარე) ან კიდევ — ბელგიის პრემიერმინისტრი **გი ვერჰოფსტადტი.**

ამ დოკუმენტს საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრო უნგრეთის პრემიერმინისტრმა **ვიქტორ ორბანმა.** ის, ბოლო რამდენიმე წელია, ძალისხმევას არ იშურებს თანამემამულესთან საბრძოლველად — სკანდალებით განთქმული მილიარდერი უნგრეთში დაიბადა. გენდერული თანასწორობისა და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების მოთხოვნის პიკზე ორბანმა უნგრეთის კონსტიტუციაში შეიტანა შესწორებები, რომელთა მიხედვით **„ქვეყანას აერთიანებს ღმერთი და ქრისტიანობა“, ხოლო „ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი“.**

2017 წლის მარტიდან ორბანი ცდილობს, დახუროს ბუდაპეშტში სოროსის ფულით შექმნილი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, რომელმაც ევროკავშირის პოლიტიკური ელიტის არაერთი თაობა აღზარდა, თუმცა ორი ცნობილი უნგრელის კამათის მთავარი პუნქტი არის მიგრანტები.

2015 წელს ორბანმა განკარგულება გასცა, სერბეთთან საზღვარზე აეშენებინათ კედელი, რომელიც ხელს შეუშლიდა ქვეყანაში ლტოლვილების შესვლას. სოროსი ორბანს თავს დაატყდა კრიტიკით, უწოდა მას დიქტატორი და წარმოადგინა თავისი გეგმა ევროკავშირში მიგრანტების მიღების ორგანიზების შესახებ. **სოროსის გეგმის მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიაზე ყოველწლიურად უნდა შეუშვან მილიონამდე მიგრანტი, ამასთანავე, ზედა ზღვარი დაწესებული არ იყო. თითოეული მიგრანტი უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სპეცპაკეტით — წელიწადში 15 ათასი ევროთი, თანხები ქვეყნებში განაწილდებოდა დაწესებული კვოტების შესაბამისად.**

დღეს სწორედ ამ გეგმაზე მსჯელობენ ბრიუსელში. ხოლო ვიშეგრადის ოთხეულის ქვეყნები (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი), რომლებიც აქამდე წარმატებით უგულებელყოფდნენ კვოტების შესახებ დებულებას, თავგამოდებით იბრძვიან სოროსის ჩანაფიქრის წინააღმდეგ.

ცოტა ხნის წინათ, ოქტომბრის ბოლოს, სამოქალაქო თავისუფლების, იურისპრუდენციისა და საშინაო საქმეების ევროპარლამენტის კომიტეტმა წინადადება წამოაყენა, ევროკავშირის კანონმდებლობაში ცვლილება შეეტანათ თავშესაფრის მიცემის თაობაზე, რათა საბოლოოდ დადგენილიყო ეს ყბადაღებული კვოტები ქვეყნებისთვის. აღსანიშნავია, რომ მიგრანტების ნაკადის ლიმიტის ზედა ზღვარი არც ამჯერად არ არის მითითებული. სწორედ **ამიტომ გადაწყვიტა უნგრეთის ხელმძღვანელობამ, თვალი აეხილა ევროპისთვის, რატომ იღებს ევროპისთვის თვითმკვლელ გადაწყვეტილებას ევროპარლამენტი.** ოფიციალური ბუდაპეშტი, ფაქტობრივად, პიარმენეჯერად იქცა DCLeak-ის ჰაკერების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტისა სახასიათო სათაურით **„ჩვენი საიმედო მოკავშირეები ევროპარლამენტში (2014-2019)“.**

„ეს დოკუმენტი მხოლოდ უნგრეთს რომ ემუქრებოდეს, პრობლემა არ იქნებოდა. უნგრეთის მთავრობა მიეჩვია გაქარწყლებას ცრუ ბრალდებების ნიაღვრისა, რომელსაც თავს ატეხენ „ღია საზოგადოების“ იდეოლოგები, — განაცხადა უნგრეთის სახელმწიფო მდივანმა ზოლტან **კოვაჩმა,** — მაგრამ დღეს საქმე ეხება არა მხოლოდ უნგრეთს, ეს დოკუმენტი საფრთხეს უქმნის სრულიად ევროპის მომავალს“.

კოვაჩი ამტკიცებს, რომ დღეს ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებების კომიტეტში მუშაობს სოროსის, სულ ცოტა, „30 აშკარა მხარდამჭერი“. და შემთხვევითი არ არის, რომ მილიარდერი ხშირად ხვდება ევროკავშირის თავმჯდომარე **ჟან-კლოდ იუნკერს** დახურულ კარს მიღმა და არავინ იცის, რა საკითხებზე მსჯელობენ.

**სოროსის მიერ „დემოკრატიისთვის საბრძოლველად“ 18 მილიარდის დემონსტრაციულად შეწირვამ მისი „ღია საზოგადოება“ მსოფლიოში ყველაზე მძლავრ არასამთავრობო ორგანიზაციად აქცია.** სახელდობრ, რამ შეაშფოთა ოფიციალური ბუდაპეშტი ამ არასამთავრობო ორგანიზაციის შიგა მოხმარებისთვის განკუთვნილ მეთოდიკაში?

ზემოხსენებული 226 ევროდეპუტატის დოსიეებში მითითებულია, რომ მათ უკვე ითანამშრომლეს „ღია საზოგადოებასთან“ და შეიძლება კვლავაც უხმონ სათანამშრომლოდ. დოსიეები შედგენილია არა მხოლოდ ღია წყაროებიდან, არამედ „საკუთარი ძალებით მოპოვებული ინფორმაციის შედეგად“. დახასიათებების სტილი ძალიან ჰგავს „პირად საქმეებს“ ტელესერიალ „გაზაფხულის 17 გაელვებიდან“, ოღონდ ფორმულირებები „ჭეშმარიტი არიელი“ და „ნორდული ხასიათი“ შეცვლილია ტერმინებით — „პროევროპელი“, „აქტიური პროევროპელი“ და „მეტისმეტად პროევროპელი“.

„მეტისმეტად პროგრესულია, „ღია საზოგადოების“ ფასეულობების უპირობო დამცველი უყოყმანოდ გამოდის თავისი ფრაქციის თვალსაზრისის წინააღმდეგ“, — ასე ახასიათებენ **მონიკა მაკოვეის,** ევროპარლამენტის დეპუტატს რუმინეთიდან.

„პროგრესულია, მაგრამ ძალიან გატაცებულია ტრანსპორტისა და ტურიზმის კომიტეტის ხელმძღვანელობით“, — ეს უკვე **მიქაელა კრემერსის** დახასიათებაა, გერმანელი „მწვანეების“ წარმომადგენელის.

**„ღია საზოგადოების“ მოკავშირეთა უმრავლესობა იბრძვის მიგრანტების, უმცირესობებისა და ლგბტ-თა უფლებების დასაცავად, აგრეთვე, ერის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. გლობალისტური ჟარგონიდან თუ ვთარგმნით, მხარს უჭერენ მესამე სამყაროს ქვეყნებიდან შეუზღუდავ მიგრაციას, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონებასა და შობადობის შეზღუდვას.**

ცალკე აღნიშნულია [illegible] მიგრაციის კანონში ცვლილებების შესატანად ბრძოლაში. ამ პუნქტის მიხედვით, პირველობას არავის უთმობენ **სილვია გიიომი** (ფრანგი სოციალ-დემოკრატი) და **ჟანა ლამბერტი** (ინგლისელი „მწვანე“). ეს ქალბატონები ლობირებენ ევროკავშირის კანონმდებლობაში თავშესაფრის მიცემის შესახებ ცვლილების შეტანას იმ სულისკვეთებით, როგორსაც ითხოვს სოროსი.

**სოროსის მხარდამჭერ ევროპარლამენტარებს შორის არიან მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებიც, თუმცა მათი უმრავლესობა არის სოციალ-დემოკრატი, ეკოლოგი და „მწვანე“. ისინი, ძირითადად, სამეცნიერო და შემოქმედებით ინტელიგენციას წარმოადგენენ; ხშირად წერენ წიგნებს, რომლებშიც აკრიტიკებენ თანამედროვე კაპიტალიზმს, თუმცა ეს სრულიად არ უშლით ხელს, ითანამშრომლონ ერთ-ერთ ოდიოზურ თანამედროვე კაპიტალისტთან.**

ამ „დასტაში“ ჭარბობენ ევროკავშირის მთლიანობის მომხრეები, თუმცა გვხვდება „ზომიერი ევროსკეპტიკოსების“ გვარებიც, რომლებიც ისეთ საკითხებში უნდა გამოიყენონ, როგორიც არის „უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლა“ და მიგრაცია.

აი, მაგალითად, როგორ ახასიათებენ **იანა იგორის ასულ ტოომს** (ქალიშვილობის გვარი ჩერნოგოროვა), ტალინის ყოფილ ვიცემერსა და ესტონეთიდან პირველ რუსულენოვან ევროპარლამენტარს: „უარი თქვა, მხარი დაეჭირა ევროპარლამენტის რეზოლუციისთვის უკრაინისა და რუსეთის კონფლიქტის შესახებ 2014 წლის ივლისში. შეიძლება იყოს პრორუსი გაურკვეველი დოზით (ასეთ შემთხვევაში მისი თანამშრომლობა „ღია საზოგადოებასთან“ საეჭვოა)“.

„ღია საზოგადოების“ სიის რამდენიმე წარმომადგენელი, დიდი ხანია, ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. მაგალითად, **რებკა ჰარმსი** გერმანელი „მწვანეებიდან“ რეგულარულად გამოდის ევროპარლამენტში და ითხოვს სანქციების დაწესებას რუსეთისთვის. ბელგიელი **გი ვერჰოფსტადტი** მრისხანე სტატიებს აქვეყნებს მსგავსი სათაურით: „პუტინს მივუთითოთ თავისი ადგილი“, რომელშიც რუსეთის ხელისუფლება დადანაშაულებულია თანამედროვე ევროპისთვის თითქმის ყველა პრობლემის შექმნაში.

**„სოროსის სია“, ბოლოსდაბოლოს, პასუხს სცემს კითხვას, რომელიც რეგულარულად წამოტივტივდება ხოლმე ევროკავშირის პოლიტიკაზე კამათისას — რა აიძულებს ევროპული ქვეყნების ხელისუფლებებს, ითამაშონ საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ? პასუხი: კორუფციაში ჩაფლულობა. სოროსის მიერ გამოკვებილი პოლიტიკოსები მის პროექტებს ლობირებენ, ხოლო ქვეყნების ხელისუფლებების მხრიდან ამასთან დაპირისპირების ნებისმიერ მცდელობას ამ ქვეყნების ელიტები ეწინააღმდეგებიან.**

აი რატომ მარცხდებიან ვიქტორ ორბანის მსგავსი ლიდერები სოროსის სტრუქტურებთან დაპირისპირებისას. „ღია საზოგადოების“ გავლენის აგენტურით გაძეძგილი ევროპარლამენტი მიზანმიმართულად მუშაობს ევროპაში მილიონობით მიგრანტის დასახლების შესახებ სოროსის მიერ შემუშავებული გეგმის განსახორციელებლად.

**დასავლური დემოკრატიის ფასადის უკან კი იმალება სტრუქტურა, რომელიც ფეოდალიზმს მოგვაგონებს. მემარცხენე პოლიტიკოსები ერთგულებას ეფიცებიან ყაჩაღ ბარონს და ემსახურებიან მის ინტერესებს, ევროპის მოსახლეობის ინტერესები კი ფეხებზე ჰკიდიათ.**

ევროპის მოსახლეობა, მიუხედავად ფასეულობებისა და უფლებებისა, ახლაც ისეთივე უუფლებოა, როგორიც იყო შუასაუკუნეებში“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მივმართავ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ გააშუქოს ეს საკითხი ისე, როგორც საჭიროა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველასთვის საბოლოოდ გაცხადდება, რომ ეს არხიც, ისევე, როგორც სხვა, არის პარტიული ტელევიზია, კონკრეტულ პოლიტიკურ კონიუქტურასა და იდეოლოგიას მორგებული პროპაგანდის საშუალება, რომელიც ხალხის ჯიბიდან ფინანსდება და ხალხისავე ცნობიერების დანგრევის, გარყვნისა და დეგრადირებისკენაა მიმართული...**



გიორგი ანდრიაძე:

# მწერლებმა, მეცნიერებმა მსახიობებმა, სპორტსმენებმა — სრულიად საქართველომ საჯაროდ უნდა გამოხატოს პოზიცია და პირდაპირ თქვას: ჰომოსექსუალიზმი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი!

**პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი გიორგი ანდრიაძე ამბობს, რომ საზოგადოების წარმომადგენლებმა უნდა გამოხატონ თავიანთი პოზიცია საკითხზე — არის თუა არა ჰომოსექსუალიზმი ნორმალური მოვლენა. მისი თქმით, სხვადასხვა საზოგადოებრივმა ინსტიტუტმა და ინტელიგენციამ — მწერლებმა, მეცნიერებმა — ხმა უნდა აღიმაღლონ, რათა არ მოხდეს ამ მოვლენის პროპაგანდა და გარკვეული ძალებისთვის მისაღებ კონტექსტში წარმოჩენა. ანდრიაძის განცხადებით, ეს ყველაფერი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით უნდა განხორციელდეს. „ეს რომ არ ხდება, ამიტომ ვაწყდებით პროტესტის რადიკალურ ფორმებს. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ გაჩუმებით ვყიდით უფალს. როდესაც ისეთი ამაზრზენი საკითხის პროპაგანდა ხდება, როგორიც არის ჰომოსექსუალიზმი და მისდამი საზოგადოების მხარდაჭერის პროპაგანდა მიმდინარეობს, ხმის ამოღება ყველა ქრისტიანის მოვალეობაა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენას ყველა რელიგია გმობს“, — განაცხადა გიორგი ანდრიაძემ. კონკრეტულად ვინ და რა ძალები დგანან დღეს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის უკან, რას შეცვლის ამ საკითხზე ინტელიგენციის მიერ პოზიციის გამოხატვა და რა პროცესები მოჰყვება ამ თვალსაზრისით საზოგადოების ლუსტრაციას, „საქართველო და მსოფლიოს“ პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრი გიორგი ანდრიაძე ესაუბრება.**

**— ბატონო გიორგი, აღნიშნეთ, რომ საზოგადოების წარმომადგენლებმა — მწერლებმა, მეცნიერებმა — საჯაროდ უნდა გამოხატონ თავიანთი პოზიცია: ჰომოსექსუალიზმი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი. მოდი, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას, რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო და აუცილებელი, რას შეცვლის, თქვენი აზრით, საზოგადოების ამგვარი ლუსტრაცია?**

— თუ ვაშენებთ დამოუკიდებელ ქვეყანას, და ამაზე თითქოს ყველა ვთანხმდებით, ასეთ ქვეყანაში საზოგადოებამ თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს. მით უმეტეს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორიცაა ჰომოსექსუალიზმი და იმიტომ მოვითხოვე ეს, რომ **ტელევიზიები, რომლებსაც პარტიულ ტელევიზიებს ვუწოდებ, ამ საკითხს მიკერძოებულად აშუქებენ.** ჩემი მთავარი გზავნილი იყო ის, რომ **საზოგადოებრივმა არხმა, თუ გვაქვს საერთოდ ასეთი არხი, გააშუქოს ეს თემა, ვინაიდან მისი პირდაპირი მოვალეობაა, ემსახუროს ხალხის ინტერესებს. სწორედ ამ არხზე უნდა მოხდეს საზოგადოების წარმომადგენლების — მწერლების, მეცნიერების, მსახიობების — გამოსვლა და პოზიციის საჯაროდ გამოხატვა იმის თაობაზე, ჰომოსექსუალიზმი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი.**

ახლა — რატომ არის ეს აუცილებელი: იზრდება მომავალი თაობა და მისთვის ავტორიტეტები არიან სწორედ სპორტსმენები, მწერლები, პოეტები, მსახიობები... ეს, მხოლოდ საქართველოში კი არა, ყველგან ასეა და მსოფლიოში ყველგან, ამერიკაში იქნება თუ სადმე სხვაგან, წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურადაა ეს ხალხი ჩართული. კიდევ ვიმეორებ: **პარალელურად პარტიული ტელევიზიების ეთერებში დადგმული სპექტაკლებისა, რომლებშიც მხოლოდ მათთვის მისაღებ ადამიანებს იწვევენ და, რასაც უნდა, იმას ალაპარაკებენ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გამოიყვანოს ინტელიგენცია.** ყველამ უნდა გამოხატოს საჯაროდ პოზიცია და თქვას პირდაპირ, რას ფიქრობს — ჰომოსექსუალიზმი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი.

**— სამი წლის წინათ, 17 მაისს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ე.წ. სექსუალურ უმცირესობებს და თვითონ ამ „უმცირესობების“ წარმომადგენლები ალაპარაკა, რომ ჰომოსექსუალიზმი ნორმაა. გადაცემას აშკარად პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონდა... ასეთი სარედაქციო პოლიტიკის მქონე არხი ობიექტურად გააშუქებს საკითხს?**

— კი, ბატონო, თუ ვიღაცას ასე ესმის დემოკრატია, გამოიყვანონ ეს ავადმყოფებიც, მაგრამ საზოგადოების სხვა წარმომადგენლებსაც უნდა მიეცეთ აზრის გამოთქმის საშუალება. ამისთვის საჭიროა, მოაწყონ შეხვედრები, მშვიდობიანი განხილვები და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო დონეზე. ვფიქრობ, ამის ორგანიზება უნდა მოახერხონ პროფესორ-მასწავლებლებმა, თუმცა სტუდენტურმა თვითმმართველობებმაც უნდა გამოხატონ თავიანთი პოზიცია და არ არის აუცილებელი, ტელევიზიებს დაელოდონ. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის გზაგამყოფი, საით მივდივართ, რა სახელმწიფოს ვაშენებთ და რა იდეოლოგიას ვეყრდნობით...

**— ვთქვათ, ყველამ გამოხატა თავისი პოზიცია და მოხდა ლუსტრაცია ინტელიგენციის, ხელისუფლების, მთლიანად პოლიტიკური სპექტრის, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? მაგალითად, პრეზიდენტი, ამთავითვე ვიცით, რომ ჰომოსექსუალიზმს ნორმად მიიჩნევს. სხვებსაც თუ ასეთივე აზრი ექნებათ, რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ?**

— ახლახან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, წინ კიდევ გველოდება არჩევნები... კი, ბატონო, ვიღაცის პირადი თვალსაზრისი მისი საქმეა, მაგრამ, როდესაც პრეტენზია გაქვს ხელისუფლებაში მოსვლაზე და მოდიხარ კიდეც, ეს შენი პირადი აზრები საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამიტომ უნდა იცოდეს ხალხმა, თითოეულმა მოქალაქემ, ვინ რას ფიქრობს და მერე თვითონ გააკეთებს არჩევანს.

პრეზიდენტს რაც შეეხება, გასაგებია, ჩამოყალიბებული ნაციონალია და ისიც ვიცით, როგორ აირჩიეს თავის დროზე, მაგრამ აქ საუბარია სხვებზე. ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს და, როცა იქნება არჩევნები, ყველამ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია. მერე თუ აღმოჩნდა, რომ საქართველო არის ჰომოსექსუალურად განწყობილი ქვეყანა, რა ვქნათ? **დარწმუნებული ვარ, რომ, მიუხედავად გაშმაგებული „ნეოლიბერალური“ პროპაგანდისა, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამ მსოფლმხედველობას არ იზიარებს.** ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მთავარი დატვირთვა აქვს ინტელიგენციას, რომელსაც გააჩნია პრეტენზია, რომ ქვეყნის ელიტაა და ყველა, ვინც ჰომოსექსუალიზმს ქვეყნის დაღუპვად მიიჩნევს, ჩუმად კი არ უნდა იყოს, არამედ განცხადებები გააკეთოს. ბოლოს და ბოლოს, სოციალურ ქსელში მაინც გამოხატონ თავიანთი თვალსაზრისი...

**— ისე, გაქვთ ამ ინტელიგენციის იმედი? იმიტომ გეკითხებით, რომ ინტელიგენცია ყველა დროებაში კრიტიკის საგანი იყო. გვახსოვს ეპითეტები: „შევარდნაძის ინტელიგენცია“, შემდეგ — „სააკაშვილის ინტელიგენცია, რომელიც ინდაურებზე გაიყიდა“... ყველა ხელისუფლებასა და პოლიტიკურ კონიუქტურას ჰყავდა თავისი ინტელიგენცია...**

— არავის ვახვევ თავს ჩემს მოსაზრებას. უბრალოდ, მოხდეს ლუსტრაცია. გამოვიდნენ და თქვან საჯაროდ, რას ფიქრობენ, როგორც **გურამ კაშიამ** გამოხატა თავისი პოზიცია... რა, არ უნდა ვიცოდეთ, ვინ მოდის ხელისუფლებაში, ვინ მოღვაწეობს ხელოვნებაში, სპორტში? ნაძალადევი მხარდაჭერა ამ საკითხს არ სჭირდება...

**— თქვით, რომ ლუსტრაციის შემდეგ ხალხი გააკეთებს არჩევანს. პრეზიდენტი მარგველაშვილი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხშირად იმეორებდა ფრაზას: „განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას უმცირესობების უფლებების დაცვას“. ეს იყო საკმაოდ პირდაპირი განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი სოლიდარულია „სექსუალური“ უმცირესობების მიმართ. მიუხედავად ამისა, ის პრეზიდენტია. როგორ ფიქრობთ, იმ გაშმაგებულმა „ნეოლიბერალურმა“ პროპაგანდამ, რომლის წნეხის ქვეშაც, უკვე წლებია, საქართველო იმყოფება, დაამჩნია კვალი საზოგადოების ცნობიერებას?**

— ადამიანის უფლებების დაცვის მომხრე მეც ვარ, მაგრამ ეს ყველაფერი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა არ უნდა გახდეს. მარგველაშვილი, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, არავის აურჩევია, ის მოჰყვა ტალღას, რომელსაც ერქვა **ანტიმიშა**, ისევე, როგორც მიშა მოჰყვა ტალღას სახელად **ანტიშევარდნაძე** და, შესაბამისად, მოსახლეობას, საერთოდ, არ წაუკითხავს მარგველაშვილის წინასაარჩევნო პროგრამა.

რაც შეეხება უფლებების დაცვას, **სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა არ ნიშნავს გაუკუღმართებული ცხოვრების წესის რეკლამას.** ყველაფერს უნდა დაერქვას თავის სახელი. ექიმებმა, ფსიქოლოგებმა, იურისტებმა უნდა თქვან, რომ ეს არის გადახრა. ასე რომ, საქართველოს სახე მარგველაშვილი არ არის, არც წინა პრეზიდენტი იყო... საერთოდ, ხომ ხედავთ, რა ბედი ეწიათ საქართველოს პრეზიდენტებს — ისინი არ იყვნენ ქვეყნის სახეები, გარდა რეალურად არჩეული პრეზიდენტისა, **ზვიად გამსახურდიას** ვგულისხმობ.

**კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სტუდენტობას, არ იყვნენ შეკრულები რაიმე ბორკილით. ახლა არის გზაგასაყარი, რა მიმართულებით განვითარდება ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება. ახლა გაკეთებულ საქმეს და გამოხატულ პოზიციას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს...**

**— ყოველთვის, როცა „სექსუალური უმცირესობების“ უფლებების დაცვის საკითხი წამოიწევს, ახალ კანონს მიიღებენ ხოლმე. მაგალითად, 2013 წლის 17 მაისის მოვლენების შედგომ „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ მიიღეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ახლაც რაიმე მსგავსი შეიძლება მზადდებოდეს?**

— საქართველოში ყველა „ლიბერალური“ კანონი უკვე მიღებულია და ერთადერთი ჰომოსექსუალების ქორწინებაა დასაკანონებელი, მაგრამ, როგორც უნდა ჩქარობდნენ, ამ კანონს მალე ნამდვილად ვერ მიიღებენ. ისე, **ყველანაირად, პროპაგანდის ყველა საშუალებით ამზადებენ საზოგადოებას, რომ ჰომოსექსუალიზმს მხარი დაუჭირონ.** აი, ეს ხდება და ამიტომაა აუცილებელი ხმის ამოღება. კიდევ ვიმეორებ: უნივერსიტეტებმა, ასევე ინტელიგენციამ — მწერლებმა, მეცნიერებმა — უნდა გამოხატონ თავიანთი პოზიცია. ეს არის საზოგადოების დაკვეთა და მან უნდა უთხრას დასმულ პრეზიდენტს, რომ ჩვენ სხვანაირად ვფიქრობთ. მაგრამ ქართველი საზოგადოება დღეს, ფაქტობრივად, პარალიზებულია, იმიტომ, რომ ვერ გამოხატავს თავის პოზიციას...

**— რამდენჯერმე ახსენეთ სიტყვა პროპაგანდა. მოდი, დავაკონკრეტოთ: ვინ დგას რეალურად ამ პროპაგანდის უკან, გარდა იმ პოლიტიკური ჯგუფებისა, რომლებსაც ვხედავთ?**

— „ლიბერალური“ ძალა არსებობს სრულიად მსოფლიოში და ის არ იმალება. იყო ამასწინათ საერთაშორისო შეხვედრებიც და იქ კონკრეტული განცხადებები გაკეთდა. საერთოდ, ეს პროცესი, მხოლოდ საქართველოში კი არა, მსოფლიოში მიდის — ევროპაშიც, ამერიკაშიც არსებობს ორი ბანაკი: ერთი ეს ე.წ. ნეოლიბერალების და მეორე კონსერვატიული საზოგადოება, რომელიც იცავს ტრადიციებს. უბრალოდ, **საქართველო მცირერიცხოვანი ქვეყანაა და აქ დომინირებს საერთაშორისო საზოგადოების ის ნაწილი, ის „ნეოლიბერალური“ ძალა, რომელიც ანგრევს ეროვნული ღირებულებების სისტემას. სხვათა შორის, ამ ძალებმა საქართველოში პირველი რაც გააკეთეს, იყო ტელევიზიების სრული მონოპოლიზება და დღეს, ფაქტობრივად, ვერც ერთ არხზე ვერ ნახავთ რეალურად განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს, რომელიც იტყვის, რომ ჰომოსექსუალიზმი ქვეყნის დაღუპვაა.** აქა-იქ შეიძლება მიიწვიონ ასეთი ადამიანები, მაგრამ მაშინაც ისეთ უმცირესობაში არიან ხოლმე, რომ მათი ხმა არც ისმის. ამიტომ მივმართავ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ გააშუქოს ეს საკითხი ისე, როგორც საჭიროა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველასთვის საბოლოოდ გაცხადდება, რომ ეს არხიც, ისევე, როგორც სხვა, არის პარტიული ტელევიზია, კონკრეტულ პოლიტიკურ კონიუქტურასა და იდეოლოგიას მორგებული პროპაგანდის საშუალება, რომელიც ხალხის ჯიბიდან ფინანსდება და ხალხისავე ცნობიერების დანგრევის, გარყვნისა და დეგრადირებისკენაა მიმართული...

ესაუბრა ჯაბა ჟვანია

**«სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა არ ნიშნავს გაუკუღმართებული ცხოვრების წესის რეკლამას»**

ის, რის გამოც საქართველოში არსებული ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ათასგვარ ფობიაში გვდებენ ბრალს, ანალოგიური ფობიებით ყოფილა შეპყრობილი ამერიკის პრეზიდენტიც, ხომ? იმ ამერიკის, რომლის ელჩის სიტყვაზე სწორება აქვს ხელისუფლებას და ოპოზიციას; იმ ამერიკის, რომელიც ათასგვარ დაფინანსებას გვთავაზობს იმის განსახორციელებლად, რაც თურმე თვითონ არ უნდა, იმიტომ, რომ ცუდია. ანუ ამერიკა გვეუბნება, ნაგავი ჩემი ქვეყნიდან გამაქვს და, თუ შეიძლება, თქვენს ქვეყანაში დავყრიო. და ამ ყველაფერს დემოკრატიის სახელით კვერს ვუკრავთ და ვამბობთ, რომ, რადგან ამერიკას უნდა, კარგია.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არა სოდომიის პროპაგანდას! ლიბერალურ ნარკოპოლიტიკას! საქართველოს კოლონიზაციას!

**დაახლოებით ორი წლის წინათ რუსეთიდან ტურისტები სტუმრობდნენ საქართველოს. ერთ-ერთ რესტორანში შემთხვევით შევხვდით და ათას რამეზე ვისაუბრეთ. შემდეგ ჭაჭამ თავისი გაიტანა და რუსები უფრო გაიხსნენ. მერე იყო, რომ ვუთხარი, ამერიკა და ევროპა სანქციებს რომ გიწესებენ, პუტინზე ხომ არ ბრაზდებით-მეთქი, ერთმა მათგანმა ამღვრეული თვალებით შემომხედა და მითხრა: „ტოლკო კარტოშკუ ბუდემ ჟრატ, ნო პუტინ ნაშ პრეზიდენტ, ნასტოიაში პატრიოტ ი გეროი...“**



ფოტომონტაჟი

ალალად გეტყვით: ძალიან შემშურდა იმ კაცის, თავისი ქვეყნის პრეზიდენტი ასე რომ უყვარს. და ასეა რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ისინი აღიარებენ, რომ სანქციების გამო უჭირთ, მაგრამ აღიარებენ იმასაც, რომ ქვეყნის გადასარჩენად და საზღვრების შესანარჩუნებლად ახლა აუცილებელია ლგბტ თემის წარმომადგენელთა პარპაშის აღკვეთა, სექტების დაბლოკვა და აგრესიული საგარეო პოლიტიკა. შესაბამისად, **პუტინმა** კარგად იცის, რომ მოსახლეობის მხარდაჭერა აქვს და ამიტომ მოლაპარაკებებსა თუ გადაწყვეტილებების მიღებისას თამამი და თავისუფალია.

ეს ყველაფერი კი იმიტომ მოგიყევით, რომ, ბოლო ერთი კვირაა, ე.წ. ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ამერიკის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპს** ერჩიან. ეს ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ტრამპმა „პატრიოტული“ გრძნობები წარმოაჩინა — გარდა იმისა, რომ ათასი ჯურის უცხოელისთვის აპირებს სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვას და მიგრაციის გამკაცრებას, ნარკოდანაშაულსაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა.

**„ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ის თაობა, რომელიც ბოლოს მოუღებს ოპიოიდურ ეპიდემიას. ეს ეპიდემია ეროვნული ჯანდაცვის საგანგაშო მდგომარეობას იწვევს. მსგავსი რამ აქამდე არავის უნახავს. როგორც ამერიკელები, ჩვენ ამას ასე გაგრძელების საშუალებას ვერ მივცემთ. დროა, ჩვენი თემი გავათავისუფლოთ ამ ნარკომანიისგან. ასე არასდროს ყოფილა. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ის თაობა, რომელიც ბოლოს მოუღებს ოპიოიდურ ეპიდემიას. ჩვენ ამას შევძლებთ. ამერიკაში ჰეროინის 90% შემოდის სამხრეთი საზღვრიდან, სადაც ჩვენ ავაშენებთ კედელს, რომელიც ძალიან დაგვეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში. ყველა ადამიანმა, რომელიც აქ, ამერიკაში, ნარკოტიკებს უკანონოდ ყიდულობთ, უნდა იცოდეთ, რომ საკუთარი მომავლით რისკავთ, ოჯახებსა და საკუთარ სიცოცხლესაც კი სასწორზე დებთ. არალეგალური ნარკოტიკის მოხმარება უმსხვერპლო დანაშაული არაა. ამაში არაფერია აღსაფრთოვანებელი, პოზიტიური, გასაგიჟებელი ან აღსაწერი“, — განაცხადა ტრამპმა.**

ამ განცხადებამ ლიბერალები ხომ გააბრაზა და აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუში-უფროსმაც განაცხადა, ტრამპი არასწორად იქცევაო. თურმე **ამერიკელ ლიბერალებს ისიც არ მოსწონთ, რომ ქვეყნის პირველმა პირმა სახალხოდ განაცხადა, — არ მესმის იმ კაცების, რომლებიც ამდენი ლამაზი ქალის გარემოცვაში, თვალს მამაკაცების უკანალს აყოლებენო. რა გამოდის?! ამერიკის პრეზიდენტს არ მოსწონს ლგბტ ტიპები, არ მოსწონს ლიბერალური ნარკოპოლიტიკა, არ მოსწონს ის, რომ მის ქვეყანაში ათასი ჯურის ადამიანი ჩადის.** ახლა ჩვენი გაზეთის ნებისმიერ ნომერს გადახედეთ და ნახავთ, რომ ჩვენც მხოლოდ ამას ვამბობთ — არ მოგვწონს ლგბტ პროპაგანდა, არ მოგვწონს ლიბერალური ნარკოპოლიტიკა და არ მოგვწონს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ათასი ჯურის ადამიანები ჩამოდიან და ქართველებთან შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან. რა გამოდის? — **საქართველოში არსებული ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ათასგვარ ფობიაში გვდებენ ბრალს და ანალოგიური ფობიებით ყოფილა შეპყრობილი ამერიკის პრეზიდენტიც, ხომ? იმ ამერიკის, რომლის ელჩის სიტყვაზე სწორება აქვს ხელისუფლებასა და ოპოზიციას; იმ ამერიკის, რომელიც ათასგვარ დაფინანსებას გვთავაზობს იმის განსახორციელებლად, რაც თურმე თვითონ არ უნდა, იმიტომ, რომ ცუდია. ანუ ამერიკა გვეუბნება, ნაგავი ჩემი ქვეყნიდან გამაქვს და, თუ შეიძლება, თქვენს ქვეყანაში დავყრიო. და ამ ყველაფერს დემოკრატიის სახელით კვერს ვუკრავთ და ვამბობთ, რომ, რადგან ამერიკას უნდა, კარგია.**

გასულ კვირას ტელევიზიებმა და არასამთავრობოებმა ერთხმად გადაწყვიტეს **გურამ კაშიას** დაცვა. უფრო ზუსტად კი იმ საქციელის გამართლება, რომელიც საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანმა ჩაიდინა — ცისარტყელას ფერებში გადაწყვეტილი სამკლავური გაიკეთა. რეალურად, კაშიამ თავი იმართლა: ეს კლუბის გადაწყვეტილება იყო, ჩემი ნებით არ გამიკეთებიაო, მაგრამ არასამთავრობოებმა და ტელევიზიებმა ხმაური ატეხეს: შეეშვით ბიჭს, სწორად მოიქცაო. **და პროტესტი ფეხბურთის ფედერაციასთან, პროტესტი ტელეკომპანიასთან, საზოგადოდ, გულშემატკივრების პროტესტი უკვე საქილიკო გახდა. პოლიციამ ქუჩაში გამოსული ადამიანების ნაწილი ცემა, ნაწილი დაიჭირა, ანუ ლგბტ თემის დამცველთა მოწოდებები „გააპრავა“ და ახლა ტელევიზიები თანხმდებიან იმაზე, რომ ადამიანებს, რომლებიც ლგბტ თემს მხარს არ უჭერენ, ეთერი აღარ დაეუთმოთო. რა გამოდის? ტელევიზიები შეთანხმდნენ იმაზე, რომ, ვინც აპროტესტებს არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას, სატელევიზიო ეთერს არ გააკარონ და ჰომოსექსუალები, ბისექსუალები, ლესბოსელები და კიდევ ვინ იცის, რისი და ვისი მიმდევრები, სხვადასხვა შოუში დასვან და დითირამბები უძღვნან, აქაოდა, რა კარგები და საყვარლები ხართო...** მეტიც, ერთ-ერთმა ტელეწამყვანმა ისიც თქვა, გავა ათი წელი და ამ ყველაფერზე გაგვეცინება, რადგან ლგბტ თემის წარმომადგენლები ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანები არიან, მათ არსებობას მივეჩვევით როგორც ქუჩაში, ისე ოჯახშიო...

**ახლა მაინც ხომ ხვდებით, საით მივდივართ? ახლა მაინც ხომ ხვდებით, რა აქვთ ჩაფიქრებული ჩვენს დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებს? ის, რაც თვითონ არ სურთ, ის, რამაც მიახვედრა, რომ ქვეყანას და ერს ღუპავს, ჩვენთან შემოაქვთ — ნარკოტიკების ლიბერალიზაცია, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანთა შემწყნარებლობა, სხვადასხვა ჯურისა და ეროვნების ადამიანების მიღება-მოფერება...** ამას ვერ გაუძლეს ქვეყნებმა, რომელთა მოსახლეობაც ათობით მილიონია და საქართველომ როგორ უნდა გაუძლოს, ქვეყანამ, რომელიც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა და ერმა, რომელზეც ექსპერტები ამბობენ, თუ ასე გაგრძელდება, მისი გადაშენება გარდაუვალიაო? რეალურად, ქართველები კი არა, საქართველო აინტერესებთ, მიწებით, წყლით; ტერიტორია, სადაც ხალხს ჩაასახლებენ, უცხო ტომს, უცხო ჯურს და ბოლოს აღარავის ემახსოვრება, ვინ ცხოვრობდა აქ, რატომ ცხოვრობდა...

**სურთ, საქართველო კოლონიად იქცეს, ისეთად, როგორებიც აქვთ აფრიკაში და სწორედ იმ კოლონიებიდან გვიგზავნიან ადამიანებს.**

სხვათა შორის, საფრანგეთში არსებობს მოძრაობა, რომელიც ფრანგების, როგორც ერის, გადარჩენისთვის იბრძვის. ამ მოძრაობის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ფრანგები ნელ-ნელა ქრებიან და სუფთა სისხლის ფრანგი სულ რამდენიმე ათასიღა დარჩა. მათივე თქმით, საფრანგეთი ამ მდგომარეობამდე აფრიკელებმა და ლიბერალებმა მიიყვანეს და ქვეყანა, პრაქტიკულად, გადაყლაპეს. საინტერესოა, რომ ამ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა ბოლო ათი წლის განმავლობაში გაათმაგდა, ანუ ადამიანები ნელ-ნელა მიდიან იქით, რომ რაღაც ისე არ არის, როგორც უთხრეს, რაღაც ისე არ არის, როგორც სჯეროდათ და, ხატოვნად თუ ვიტყვით, ერი თვითგამოფხიზლების ფაზაშია.

ჩვენ კი **რუსეთს კვლავ ოკუპანტს ვეძახით, იმ რუსეთს, რომელიც მსოფლიოში, პრაქტიკულად, ერთადერთი ქვეყანაა, მართლმადიდებლობის გაძლიერებასა და ლიბერალიზმის შემცირებაზე რომ ზრუნავს.** კიდევ ვიმეორებთ: როცა ლიბერალიზმის შემცირებაზე დაიწყო დონალდ ტრამპმა ლაპარაკი, ყოფილი პრეზიდენტები აუჯანყდნენ. როგორც ვარაუდობენ, ტრამპს წინ ურთულესი პერიოდი ელის, რადგან, როცა მექსიკის საზღვართან კედლის აშენებას დაიწყებს, ქვეყანაში დემონსტრაციებს გამართავენ. სამაგიეროდ, ჩვენ თვალნათლივ დავინახავთ იმას, რომ იმას, რასაც ევროპა და ამერიკა გვთავაზობს და გვაძალებს, თვითონვე ებრძვიან. უფრო სწორად, ამ ყველაფერს ახლაც ვხედავთ, მაგრამ გვჯერა თუ არა, სხვა საქმეა.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ამ ყველაფრის ფონზე ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა: ქვეყანა წინ მიდის, 500 ათასმა ადამიანმა უკიდურეს სიღარიბეს თავი დააღწია, მაგრამ კიდევ 700 ათასი კვლავ უკიდურეს გაჭირვებაშიაო, ანუ მოსახლეობის მესამედზე მეტი; ყოველ მესამეს პურის ფული არ აქვს და ამ დროს ლგბტ პირების დასაცავად მილიონები იხარჯება, სამინისტროები თვეში მილიონიან დანამატ-პრემიებს სცდებიან და ლარი კუპონის ფერს იღებს.**

**არ გრცხვენიათ, ბატონებო?!**

ამერიკა

## The Express: ამერიკელ გენერალს გუანტანამოს ციხეში პატიმრობა მიუსაჯეს



**აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზის ტრიბუნალმა გუანტანამოში გენერალ ჯონ ბეიკერს სამკვირიანი პატიმრობა მიუსაჯა და ათასი დოლარის გადახდა დაუწესა სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო, მაგრამ სასჯელს ბრალდებული მოიხდის არა სპეცსაპატიმროში, არამედ საკუთარ ყაზარმაში.**

ბეიკერს ებარა გუანტანამოს სპეცსაპატიმროში პატიმართა იურიდიული დაცვის საქმე. პატიმარ **აბდელ რაჰიმ ან-ნაშირთან,** რომელიც „ალ ქაიდას“ ტერორისტული დაჯგუფების ერთ-ერთი მეთაური იყო, სამმა ადვოკატმა არ მოისურვა მუშაობა ეთიკური მოსაზრებების გამო, აგრეთვე, იმ მიზეზითაც, რომ ირღვეოდა კლიენტთან საუბრის კონფიდენციალობის წესი.

ბეიკერი დაეხმარა მათ, გაეფორმებინათ თავიანთი პროტესტი, მაგრამ მოსამართლემ, პოლკოვნიკმა **ვენ სპატმა** ამ პროტესტის წინააღმდეგ გაილაშქრა და ადვოკატებს დაავალა ბაზაში ჩასვლა ან ტელეკონფერენციის ორგანიზება. გენერალმა უარი განაცხადა ადვოკატების გამოძახებაზე, რისთვისაც დაისაჯა.

აბდელ რაჰიმ ან-ნაშირს ბრალად ედება 2000 წლის ოქტომბერში საესკადრო ნაღმოსან Cole-ზე თავდასხმის ორგანიზება იემენის ნაპირებთან. მაშინ 17 ამერიკელი მეზღვაური დაიღუპა.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილმა სცადა, ამ ინტელექტუალური და კულტურული დეფიციტის კომპენსირება ჭარბი ძალადობის ხარჯზე მოეხდინა, მაგრამ ეს მცდელობა იმთავითვე მარცხისთვის იყო განწირული. მას არ გააჩნდა საკმარისი გამბედაობა და „ბოლომდე მიწოლის“ უნარი, რომელიც სჭირდებოდა იმისთვის, რათა „წარმატებულ დიქტატორად“ ჩამოყალიბებულიყო, ხოლო დემოკრატიული ლიდერი თუნდაც იმიტომ ვერ გახდებოდა, რომ საკუთარი ამბიციებისა და ვნებების მოთოკვის უნარი, მოთმინება აკლდა. ამის გამო, ადამიანი, რომელსაც სურდა, ძველი ელიტის მესაფლავე გამხდარიყო, მის რეანიმატორად იქცა.**

# ლენინი ოქტომბერში და სააკაშვილი ნოემბერში

**7 ნოემბერს ორი „მრგვალი თარიღი“ დაუკავშირდა: ასი წლის წინათ რუსეთში ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ მთელ მსოფლიოზე; ათი წლის წინათ კი თბილისში მიხეილ სააკაშვილმა მშვიდობიანი მიტინგი დაარბია და იმ მომენტიდან დაიწყო მისი რეჟიმის დაღმასვლა.**





**ცხადია, ამ ორი მოვლენის მასშტაბის შედარება შეუძლებელია, მაგრამ, ალბათ, ორივე უნდა გავიხსენოთ, თუნდაც იმიტომ, რომ, ჯორჯ სანტაიანას თქმის არ იყოს, ის, ვინც საკუთარ შეცდომებზე არ სწავლობს, განწირულია, ისინი გაიმეოროს.**

როდესაც საქართველოში 100 წლის წინანდელ მოვლენებს იხსენებენ, ათვლის წერტილს, როგორც წესი, პირველ რესპუბლიკას, 1918 ან 1921 წელს უკავშირებენ. ის, რაც ხდებოდა 1917 წლის თებერვლიდან 1918 წლის მაისამდე, თითქოს ბურუსითაა მოცული. არა მხოლოდ სტუდენტების დიდ ნაწილს, არამედ ზოგიერთ ისტორიკოსსაც კი უჭირს ლოგიკური კავშირების მოძებნა იმ ქაოსურ მოვლენებს შორის, რომლებიც მაშინ საქართველოში განვითარდა. თუ რომელიმე მათგანი ერთმანეთისგან არჩევს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს, კომისარიატს და სეიმს, ესეც ,დიდ მიღწევად ითვლება. ეს პერიოდი ერთგვარი სატრანზიტო ზონაა, გამოკვეთილი გმირებისა და ცალსახა შეფასებების გარეშე, ის არ ექვემდებარება მითოლოგიზაციას და, შესაბამისად, ჩრდილში რჩება.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ პეტროგრადში მომხდარი ცვლილებების მნიშვნელობა თბილისში კარგად ვერც 100 წლის წინათ გაიგეს. რეალურად მათი გააზრება 1921 წლიდან დაიწყო, ავანსცენაზე კი ქართველი ბოლშევიკები გამოვიდნენ და მასზე შვიდი ათწლეულის განმავლობაში დარჩნენ.

**სააკაშვილის მმართველობის პერიოდში როგორც აწმყოს, ისე წარსულის შეფასება ეფუძნებოდა სამყაროს ყოვლისმომცველ დაყოფას ნათელ და ბნელ მხარეებად, სიკეთედ და ბოროტებად – ეს ერთგვარი ნეო-მანიქეიზმი იყო. ამ მიდგომის ფარგლებში ყველა ქართველი კომუნისტი გამოცხადდა ბოროტების მსახურად, კოლაბორაციონისტად, რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ მათი მოღვაწეობის ფასი ნულია. ამ მიდგომამ გააღიზიანა უფროსი თაობის წარმომადგენლები, რადგან მთელი მათი ცხოვრება „ბნელ ეპოქაში“ მოაქცია. მათ დაიწყეს იმის მტკიცება, რომ „რაღაც კარგი მაინც იყო“, ეს კი ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოთა პერიოდის იდეალიზაციაში გადადიოდა. ამ პოლემიკის დროს იკარგებოდა საინტერესო ნიაუნსები, ყველა სხვა ფერი, შავისა და თეთრის გარდა.**

1921 წელს ქართველ ბოლშევიკებს ჰქონდათ ერთადერთი შესაძლებელი ტაქტიკა იმისთვის, რომ საზოგადოება დაემშვიდებინათ – ისინი ცდილობდნენ, ეჩვენებინათ, რომ ეროვნული ინტერესების დამცველები არიან. 1921 წლის 22 აპრილს საბჭოთა სამხედრო წარმომადგენელი საქართველოში — პავლე სიტინი (საკმაოდ უკმაყოფილო) წერდა: „საზოგადოებამ, რომელიც მისტიროდა მენშევიკებს, ვინაიდან, უპირველესად, ეროვნული იდეის დაღუპვას გლოვობდა, რევკომის ზოგიერთ წარმომადგენელში ეროვნული საქმის უფრო აქტიური გამტარებელი დაინახა“. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმაში, რომ 1922-ში, სსრკ-ის ჩამოყალიბების პერიოდში, გაიმარჯვა რესპუბლიკების კავშირის შექმნის იდეამ და არა რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიების ჩამოყალიბების პროექტმა. შემდგომ მათი უმრავლესობა „ნაციონალ-უკლონისტებად“ გამოაცხადეს, თუმცა ეს სხვა, ვრცელი ისტორიაა.

საინტერესოა, რომ ინგლისურ ვიკიპედიაში არის სტატია „1922 წლის ქართული საქმე“, რომელიც აღწერს კონფლიქტს, ერთი მხრივ, სტალინსა და ორჯონიკიძეს, მეორე მხრივ, ფილიპე მახარაძესა და ბუდუ მდივანს შორის. ის წარმოდგენილია სხვა ენებზეც, მაგალითად, ინდონეზიურზე, მაგრამ ქართულ ვიკიპედიაში არც ამაზე, არც ნაციონალ-უკლონიზმზე არაფერი წერია (თითქოს საქმე ინდონეზიის ისტორიას ეხებოდეს). ამ მივიწყებულმა პროცესებმა საქართველოს ისტორიაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. სხვა ყველაფერთან ერთად, მათ ხელი შეუწყვეს ქართული საბჭოთა ელიტის წიაღში კრიპტო-ნაციონალიზმის აღმოცენებას, რომელსაც ასევე შეიძლება „ქვეტექსტის ნაციონალიზმი“ ვუწუდოთ. ის ოფიციალურ დოქტრინას არსებითად ეწინააღმდეგებოდა. ზოგისთვის ეს როლის თამაში იყო, მაგრამ ზოგი, განსაკუთრებით 60-იანელთა თაობის წარმომადგენლები, სავსებით გულწრფელი გახლდათ. ამ შეხედულებების გავრცელებას ხელს უწყობდა ორი ფაქტორი: ჯერ ერთი, ყველა როდი იყო მზად, უკომპრომისოდ ებრძოლა დამოუკიდებლობისთვის და, მაგალითად, 1924 წლის აჯანყებაში ან იატაკქვეშა მოძრობაში ჩართულიყო. ამასთანავე, იმ პერიოდში, როდესაც ნაციონალიზმის ეპოქა მსოფლიოში დასრულებულად ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა, „ქვეტექსტის ნაციონალიზმს“ საქართველოში მეტი სიმპათიის მოზიდვა შეეძლო, ვიდრე სოციალისტურ იდეებსა და დისკუსიებს მათზე; მნიშვნელოვანი როლი ამაში მენშევიკებით იმედგაცრუებამაც შეასრულა.

ყოველივე თქმული ადვოკატირების მცდელობას როდი წარმოადგენს, უბრალოდ, ქართული ნაციონალიზმისა და, მთლიანობაში, საქართველოს უახლესი ისტორიის გააზრება ვერ მოხერხდება, თუ საბჭოთა პერიოდს ყურადღებით არ გავაანალიზებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გავიგებთ, როგორი იყო თანამედროვე ქართველი ელიტის გენეზისი, რომელმაც ათწლეულები დაიკავა.

სააკაშვილი ხელისუფლებაში სწორედ მასთან ბრძოლის, მისი რადიკალური განახლების ლოზუნგით მოვიდა. თავი დავანებოთ იმას, რომ „ნაცმოძრაობაში“ ინტეგრირებული იყო კომუნისტური ელიტის შთამომავლობის ნაწილი და წამით დავუშვათ (მიუხედავად იმისა, რომ ეს რთულია), რომ სააკაშვილი სავსებით გულწრფელი იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ელიტის **შეცვლისთვის და მასთან დაკავშირებული ეპოქის დასრულებისთვის ძალადობა არასაკმარისია — ამისთვის მოწინააღმდეგეზე უფრო გონიერი უნდა იყო და მასზე კულტურულ უპირატესობას ფლობდე. უწიგნური ორანგუტანგები ხელკეტებით ძველ ელიტას აპრიორი ვერ ჩაანაცვლებდნენ, ხოლო მისი ფიზიკური ამოხოცვის შესაძლებლობა სააკაშვილს არ ჰქონდა.**

2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილმა სცადა, ამ ინტელექტუალური და კულტურული დეფიციტის კომპენსირება ჭარბი ძალადობის ხარჯზე მოეხდინა, მაგრამ ეს მცდელობა იმთავითვე მარცხისთვის იყო განწირული. მას არ გააჩნდა საკმარისი გამბედაობა და „ბოლომდე მიწოლის“ უნარი, რომელიც სჭირდებოდა იმისთვის, რათა „წარმატებულ დიქტატორად“ ჩამოყალიბებულიყო, ხოლო დემოკრატიული ლიდერი თუნდაც იმიტომ ვერ გახდებოდა, რომ საკუთარი ამბიციებისა და ვნებების მოთოკვის უნარი, მოთმინება აკლდა. ამის გამო, ადამიანი, რომელსაც სურდა, ძველი ელიტის მესაფლავე გამხდარიყო, მის რეანიმატორად იქცა.

ალბათ, არის რაღაც სიმბოლური და სარკასტული იმაში, რომ 2017 წლის 7 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილი ქუჩაში, მიტინგზე, მცირერიცხოვანი მიმდევრების გარემოცვაში შეხვდა, მაშინ, როდესაც უკრაინული სასამართლო მისი ერთ-ერთი თანაგუნდელის, მეგის ქარდავას, საქართველოში ექსტრადიციის საკითხს განიხილავდა. სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქარდავას არასოდეს შეხვედრია და მისი არსებობის შესახებ მხოლოდ პრესიდან გაიგო, რამაც საქართველოში საყოველთაო ჰომერული სიცილი (სინამდვილეში ხარხარი) გამოიწვია. სხვათა შორის, სააკაშვილმა ქარდავა (ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის და ღირსების) ორდენით ორგზის დააჯილდოვა. ისინი ერთ კადრში ჩანან განმუხურის 2007 წლის ინციდენტის ამსახველ ვიდეოზეც. გასულ კვირას კი მნიშვნელოვნად გაიზარდა იმის ალბათობა, რომ ფიგურანტები ერთმანეთს ციხის ბიბლიოთეკაში შეხვდებიან.

სააკაშვილმა დაირწმუნა საკუთარი თავი, რომ შეუძლია ამოხსნას ნებისმიერი ამოცანა, რომელსაც პოლიტიკა და ისტორია სთავაზობს. მას თითქოს ეშინოდა იმის აღიარების, რომ რაღაც არ ესმის და ნებისმიერ სიტუაციაში ნახევრადგანათლებული (ეს გაცილებით საშიშია, ვიდრე გაუნათლებელი) ადამიანის ვულგარულ დეტერმინიზმს, შემდგომ კი ხელკეტს თუ ცოცხს იყენებდა. სწორედ მისი მმართველობის წლებში ფართოდ გავრცელდა გამოთქმა „კომუნისტები ამათთან შედარებით ანგელოზები იყვნენ“, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტები ნამდვილად არ იყვნენ ანგელოზები.

**დღეს საზოგადოების დიდ ნაწილს ისეთივე დამოკიდებულება აქვს „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდის მიმართ, როგორსაც სააკაშვილი კომუნისტური ეპოქის მიმართ ამკვიდრებდა — ბნელი 9 წელი, რომელიც მატიანეში ადგილს არ იმსახურებს.** არადა, ისიც შესწავლასა და მიკროსკოპით დაკვირვებას საჭიროებს. „ნაციონალ-უკლონისტების“ არ იყოს, „ნაცმოძრაობის“ რიგებში „ლიბერალ-უკლონისტები“ შედიოდნენ, რომელთაც, უპირველესად, ლიბერალური ღირებულებების გავრცელება აინტერესებდათ, მაშინ, როდესაც **სააკაშვილის ორიენტაცია ელიტების ჩანაცვლებასა და პარტიის მდგომარეობის განმტკიცებაზე საზოგადოების კონსერვატიულ უმრავლესობასთან დაპირისპირების თავიდან არიდებას მოითხოვდა. ამან წარმოქნა კონფლიქტი, რომელმაც ხელი შეუშალა „ნაცმოძრაობის“ გარდაქმნას მტკიცე ერთობად და მისი დაშლის წინაპირობები შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ პირობითი „ლიბერალ-უკლონისტების“ ჯგუფი გაცილებით სუსტი იყო, ხოლო შემდგომმა ბრძოლამ წილებისთვის, გავლენის სფეროებისთვის და ა.შ. მისი წევრები საფუძვლიანად გარყვნა, ამ კონფლიქტმა ქართულ პოლიტიკაზე განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა.**

ისტორიის სახელმძღვანელოში ზედმეტი არც ერთი გვერდი არ არის; თითოეული ეპოქა (სამოცდაათწლიანი იქნება ის, თუ ცხრაწლიანი) კრიტიკულ გააზრებას საჭიროებს, თეთრისა და შავის გარდა, სხვა ფერების და მათი კომბინაციების გარჩევის უნარის განვითარებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანტაიანას ფორმულის თანახმად, ისევ ძველი შეცდომების გამეორება მოგვიწევს.

**მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ოპერაციაში იუგოსლავიის წინააღმდეგ და სეპარატისტების მხარდაჭერაში მონაწილეობა არაერთმა ევროპულმა სახელმწიფომ მიიღო, ისინი ცდილობენ, აქცენტი აშშ-ზე გადაიტანონ, როგორც „ცუდ პოლიციელზე“, ხოლო ევროკავშირი „კარგ პოლიციელად“ წარმოაჩინონ, რომლის გარდა, კოსოვოში მცხოვრებ სერბებს ვერავინ დაიცავს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროინტეგრაცია მთლიანობის ფასად, ანუ ქართულ-სერბული პარალელები

**ევროკავშირთან დაახლოების გამო, სერბეთი შეიძლება იძულებული გახდეს, კონსტიტუციიდან ის მუხლები ამოიღოს, რომლებშიც ნახსენებია კოსოვო და ტერიტორიული მთლიანობა. ევროინტეგრაციის პროცესი საქართველოსაც იმავე შედეგს ხომ არ მოუტანს?**



ბელგრადი

სერბეთმა მოქმედი კონსტიტუცია 2006 წელს მიიღო. მის პრეამბულაში წერია: „პროვინცია კოსოვო და მეტოხია სერბეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია და მას მოქმედი ავტონომიის სტატუსი აქვს“. მე-8 მუხლი შემდეგ ფორმულირებას შეიცავს: „სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. სერბეთის რესპუბლიკის საზღვრები ხელშეუხებელია და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ პროცედურით, რომელიც კონსტიტუციის შეცვლისთვის გამოიყენება“. 182-ე მუხლში ნახსენებია „ავტონომიური პროვინცია კოსოვო და მეტოხია“, რომლის „ფართო ავტონომია სპეციალური კანონით უნდა დარეგულირდეს“.

წყაროებმა სერბეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს სერბულ გამოცემა „დანასს“, რომ პრეზიდენტი **ალექსანდრე ვუჩიჩი** აპირებს, შეაჯამოს მისი ინიციატივით დაწყებული დისკუსია კოსოვოს საკითხზე და რეფერენდუმზე ამ მუხლებში შეტანილი ცვლილებები (კოსოვოს ხსენების გარეშე) გამოიტანოს. იგულისხმება, რომ ძირითადი კანონის ახალი რედაქცია წლის ბოლომდე შეიქმნება, ხოლო რეფერენდუმი 2018 წლის დასაწყისში (სავარაუდოდ, მარტში) გაიმართება. „დანასის“ ცნობით, დიპლომატიური წრეების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, როგორც სერბეთის, ისე თვითაღიარებული კოსოვოს ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლას განიცდის იმის გამო, რომ მათი ურთიერთობა ნორმალიზებული არ არის. სერბეთისგან არ მოითხოვენ, რომ კოსოვო აღიაროს, თუმცა სთავაზობენ, ხელი აღარ შეუშალოს სეპარატისტული რესპუბლიკის გაწევრებას გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. სანაცვლოდ, კოსოვოს სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა დაუშვას სერბული მუნიციპალიტეტების კავშირის შექმნა, რომელიც კოსოვოს სერბულ ანკლავებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებებს დაიცავს, როგორც ამას 2013 წელს ბრიუსელის შეთანხმება ითვალისწინებს. მხარეებს ამ სტრუქტურასთან დაკავშირებით განსხვავებული ხედვა აქვთ: ბელგარადი მას პოლიტიკურ ორგანოდ განიხილავს, ხოლო სეპარატისტები — ერთგვარ არასამთავრობო ორგანიზაციად.

გაეროში კოსოვოს წევრობის პერსპექტივა, სერბებს ძალიან აღიზიანებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურმა ბელგრადმა 2013 წლის 19 აპრილს ხელი მოაწერა ბრიუსელის შეთანხმებას სეპარატისტებთან, რომლის ფარგლებში, მხარეებმა, სხვა ყველაფერთან ერთად, აიღეს ვალდებულება, რომ არ დაბლოკავდნენ ერთამანეთის ძალისხმევას ევროკავშირის წევრად გახდომის გზაზე. ეს, ალბათ, შეიძლება შეფასდეს, როგორც პირველი ნაბიჯი, რომელმაც შემდგომ შესაძლებელი გახადა გაეროსა და სხვა ორგანიზაციების ხსენებაც. ბრიუსელის შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ევროკომისიამ მხარი დაუჭირა მოლაპარაკებების დაწყებას სერბეთის ევროკავშირში შესვლის შესახებ, აგრეთვე, კოსოვოს მიერთებას 22 ევროპულ პროგრამასთან. ამ შეთანხმების ფარგლებში, **ბელგრადმა, ფაქტობრივად, აღიარა სეპარატისტების კონტროლი კოსოვოზე და ამის სანაცვლოდ კოსოვოში ეთნიკური სერბების უფლებების დაცვის, მათი თვითმმართველობის გაძლიერების დაპირება მიიღო, თუმცა სეპარატისტებმა ყველა აღებული ვალდებულება როდი შეასრულეს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების მოქმედება შეაჩერა.**

ამასთანავე, **კოსოვოში მცხოვრები სერბების ნაწილის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა მას შემდეგ, რაც მათ სერბული პასპორტებით გადაადგილება აუკრძალეს. რაც მთავარია, არ შექმნილა არანაირი მექანიზმი იმისთვის, რომ კოსოვოში დევნილები (მათი აბსოლუტური უმრავლესობა სერბია) დაბრუნებულიყვნენ, როგორც ამას გაეროს №1244-ე რეზოლუცია მოითხოვს.** მიუხედავად ამისა, 2015 წელს ბრიუსელში მხარეები ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და რიგი ლოკალური პრობლემების მოგვარებაზე შეთანხმდნენ.

ევროკომისარი **იოჰანეს ჰანი** ვარაუდობს, რომ **სერბეთი ევროკავშირის წევრი შეიძლება 2025 წლამდე გახდეს.** მისი აზრით, მოლაპარაკებები 2023 წლისთვის დასრულდება, ხოლო დაახლოებით ორი წელიწადი ევროკავშირის ქვეყნების მიერ შეთანხმების რატიფიკაციას დასჭირდება. სერბი პოლიტიკოსების ნაწილი გამუდმებით საუბრობს იმაზე, რომ ეს ქვეყანას კოსოვოს საბოლოო დაკარგვის ფასად დაუჯდება. მიუხედავად ამისა, **სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანებას გამოკითხულთა მაქსიმუმ მეოთხედი ეწინააღმდეგება, მომხრეები კი (საშუალოდ) ორჯერ მეტია.**

**სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, ევროკავშირში სერბეთის გაერთიანებას გამოკითხულთა მაქსიმუმ მეოთხედი ეწინააღმდეგება, მომხრეები კი ორჯერ მეტია**

სერბეთის ყოფილმა (2017 წლის ივნისამდე) პრეზიდენტმა ტომისლავ ნიკოლიჩმა თანამდებობაზე ყოფნის ბოლო პერიოდში ეროვნული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „იოჰანეს ჰანმა მითხრა, რომ წინ ვერ წავიწევთ, თუ კოსოვოსთან კეთილმეზობლობის ხელშეკრულებას არ დავდებთ, რაც, ჩემი აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაა. მან ასევე თქვა, რომ მისი აზრით, ერთიანი საგარეო პოლიტიკის გარეშე ჩვენ ევროკავშირში ვერ შევალთ“. ნიკოლიჩის თქმით, ევროპელებმა მიანიშნეს, რომ სერბეთი უნდა შეუერთდეს სანქციებს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ შემოიღეს.

ახალი პრეზიდენტი **ალექსანდრე ვუჩიჩი** ევროკავშირის წევრობის თანმიმდევრული მომხრეა, ისევე, როგორც პრემიერმინისტრი **ანა ბრნაბიჩი** (პირველი ქალი, აგრეთვე, პირველი ღია ლესბოსელი ამ პოსტზე) და სერბეთის ხელისუფლების სხვა ხელმძღვანელი პირები.

ევროინტეგრაციის მომხრეებს რამდენიმე ძირითადი არგუმენტი აქვთ. ისინი საუბრობენ იმაზე, რომ სერბეთი ვერ დარჩება იზოლირებულ კუნძულად ევროპაში და რომ ევროკავშირში შესვლა მის ეკონომიკურ მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებს. ისინი, აგრეთვე, ამბობენ, რომ კოსოვოში მცხოვრები სერბების უფლებები უნდა დაიცვან, ეს კი სეპარატისტებთან მოლაპარაკებისა და ევროკავშირის შუამავლობის გარეშე შეუძლებელია. **არის კიდევ ერთი ქვეტექსტი, რომელზეც ოფიციალური პირები ღიად არ მიუთითებენ, თუმცა მიანიშნებენ, რომ კოსოვო ბალკანეთში ამერიკული პლაცდარმია და არა ევროპული.** მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ოპერაციაში იუგოსლავიის წინააღმდეგ და სეპარატისტების მხარდაჭერაში მონაწილეობა არაერთმა ევროპულმა სახელმწიფომ მიიღო, ისინი ცდილობენ, აქცენტი აშშ-ზე გადაიტანონ, როგორც „ცუდ პოლიციელზე“, ხოლო ევროკავშირი „კარგ პოლიციელად“ წარმოაჩინონ, რომლის გარდა, კოსოვოში მცხოვრებ სერბებს ვერავინ დაიცავს.

აქცენტების საგულისხმო გადაადგილება შეინიშნებოდა ალექსანდრე ვუჩიჩის 21 სექტემბრის გამოსვლაში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე: „მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმას, რომ კოსოვოს თაობაზე პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა ჩვენი ეროვნული, სერბული პრიორიტეტია. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკისთვის, სერბეთისა და მთელი რეგიონის ახალგაზრდობის მომავლისთვის. თქვენ იცით, რომ ჩვენ არ ვაღიარეთ ეგრეთ წოდებული კოსოვოს ცალმხრივად გამოცხადებული დამოუკიდებლობა. მე არ ვისაუბრებ ტერიტორიულ მთლიანობაზე, ამის ნაცვლად მინდა ვისაუბრო იმაზე, როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა, როგორ ვიპოვოთ ამ მრავალსაუკუნოვანი პრობლემის გადაწყვეტა“. **ერთი შეხედვით, ვუჩიჩი გმობს სეპარატიზმს, მაგრამ, მთლიანობის აღდგენის ნაცვლად, ეროვნულ პრიორიტეტად პოლიტიკური შეთანხმების მიღწევას ასახელებს, რომელსაც სერბეთისთვის შეიძლება ისეთივე სადავო ღირებულება ჰქონდეს, როგორც 2013 წლის ბრიუსელის შეთანხმებას, რომელმაც არათუ ვერ აღადგინა ქვეყნის ერთიანობა, არამედ, დათმობების მიუხედავად, კოსოვოში მცხოვრები სერბების უფლებები ვერ დაიცვა.**

მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა მარტში სერბეთის კონსტიტუციის იმ მუხლების ჩასწორება, რომლებშიც ნახსენებია კოსოვო, ფაქტია, რომ ქვეყნის მთლიანობის აღდგენის შანსი თანდათან მცირდება და მნიშვნელოვან გავლენას ამაზე ევროკავშირთან დაახლოება ახდენს. **ზოგმა შეიძლება თქვას, რომ საქართველოსთან პარალელების გავლება ამ შემთხვევაში უადგილოა, რადგან კოსოვოში დასავლეთი ერთ პოზიციას გამოხატავს, ხოლო ჩვენ შემთხვევაში რუსეთს უპირისპირდება და, შესაბამისად, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მხოლოდ სიტყვებია, შესაბამისი პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზება კი რუსეთთან მკვეთრ დაპირისპირებას მოითხოვს. ევროკავშირმა არაერთგზის აჩვენა, რომ ამისთვის მზად არ არის. კოსოვოში ის, როგორც ჩანს, ცდილობს პრობლემის ლოკალიზაცია, შემდგომ კი ლიკვიდაცია, სერბეთის მთლიანობის ხარჯზე მოახდინოს. იგივე შეიძლება ჩვენ შემთხვევაშიც მოხდეს, თუ საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება პრინციპულ პოზიციას არ გამოავლენს.** მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართველი პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა უსიტყვოდ ემორჩილება ბრიუსელის ნებისმიერ მითითებას, ისევე, როგორც ამას მათი სერბი კოლეგები აკეთებენ, ხოლო სოციალურ ქსელებში საეჭვო სიხშირით გაისმის მოწოდებები იმის თაობაზე, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში სეპარატისტული რეგიონების გარეშე უნდა შევიდეს. მათი ავტორები იქვე ამატებენ, რომ ეს „დროებითი“ გადაწყვეტილება იქნება, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ, საქართველოს „შემოერთების“ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, როგორც ნატო, ისე ევროკავშირი შეეცდებიან, დღის წესრიგიდან მოხსნან ის საკითხები, რომლებმაც შეიძლება რუსეთთან კონფრონტაციამდე მიიყვანონ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ კარგად ახსოვთ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკა, რომელიც ლამის ღია ტექსტით საუბრობდა იმაზე, რომ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტისთვის აპირებს დასავლეთის და რუსეთის წინააღმდეგობებზე ითამაშოს.

**ქართველი პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა უსიტყვოდ ემორჩილება ბრიუსელის ნებისმიერ მითითებას, ისევე, როგორც ამას მათი სერბი კოლეგები აკეთებენ, ხოლო სოციალურ ქსელებში საეჭვო სიხშირით გაისმის მოწოდებები იმის თაობაზე, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში სეპარატისტული რეგიონების გარეშე უნდა შევიდეს**

სერბეთისა და სეპარატისტული კოსოვოს დღევანდელი ურთიერთობა, ის მოლაპარაკებები, რომლებიც ევროკავშირის ეგიდით იმართება, ახლო მომავალში საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან პრეცედენტს შექმნის, ამიტომ პროცესს თვალი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მივადევნოთ, აგრეთვე, მკვეთრად განვსაზღვროთ, რა არის ჩვენთვის პრიორიტეტული — ქვეყნის მთლიანობის აღდგენა თუ სხვა რამ.

**ლუკა ნემსაძე**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თქვენ მომავალი თაობისთვის მაგალითის მიმცემნი უნდა იყოთ და ისე ნუ გააკეთებთ, რომ თქვენმა შვილებმა გაუკუღმართებულ საქართველოში იცხოვრონ. წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ მიწა-წყალზე მცხოვრებთ ისევ ჩვენივე, ქართველებისვე, ამჯერად სულგაყიდული ფეხბურთელების მეშვეობით, გვიგინებენ ღირსებას, ლამობენ, მოგვისპონ სარწმუნოება. თითქმის ყველა ტელევიზია გააფთრებით ეწევა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას.**

# სოდომიის მხარდამჭერი საკმარისად ბევრი აღმოჩნდა როგორც მთავრობაში, ისე ტელევიზიებსა და ფეხბურთის ფედერაციაში

**საქართველოს მტრები ოდითგან ცდილობდნენ, შეებღალათ ერის ღირსება ქვეყნის შინაური მტრების დახმარებით. იგივე მეორდება დღესაც. მსოფლიოს ანტიქრისტიანული ძალები ყველა ხერხითა და მეთოდით ცდილობენ, ხელიდან გამოგვაცალონ წინაპართა სისხლით მორწყული და მათ ძვლებზე ნაკოწიწები ჩვენი ბედკრული ქვეყანა. ჯერ იელოველთა სექტა შემოგვისიეს, შემდეგ — სხვადასხვა მწვალებლური დაჯგუფება, იყო 17 მაისი, ანტიდისკრიმინაციული კანონი და მრავალი სხვა, მაგრამ, როცა მიზანს ვერაფრით მიაღწიეს, საქართველოში ამორალიზმის დასაკანონებლად სხვა ხერხს მიმართეს და კიდევ ერთი გამოცდის წინაშე დაგვაყენეს.**



ჰოლანდია მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელშიც დაკანონდა ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება, იქ მამათმავლებს უდიდესი მხარდაჭერა აქვთ. სწორედ ამ ქვეყანაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელის, **გურამ კაშიას,** მეშვეობით მიზანმიმართულად სცადეს საქართველოს ჩათრევა სოდომ-გომორის ცოდვის პროპაგანდაში. **სამწუხაროდ, სოდომიის მხარდამჭერი საკმარისად ბევრი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის როგორც მთავრობაში, აგრეთვე, ტელევიზიებსა და ფეხბურთის ფედერაციაში.**

მივმართავ ფეხბურთელებს: თქვე კაი დედმამიშვილებო! თქვენი ღირსეული თამაში და გამარჯვებები ქართველ გულშემატკივარს ჯერ არ უხილავს და სოდომიის მხარდაჭერას, არ სჯობდა, ფეხბურთის თამაში გესწავლათ?! გამოდის, რომ იქ, უცხოეთში, ელგებეტობანას უფრო სწავლობთ, ვიდრე ფეხბურთის თამაშს. თქვენს საქციელს სხვა ახსნა არ აქვს.

ხანში შესულთ გვახსოვს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელების მიერ ჩატარებული მატჩები და ღირსეული საქციელი. ისინი თქვენსავით არ არცხვენდნენ ერის ღირსებას. რომელი ერთი გავიხსენოთ — **ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე** და სხვ. ამჟამინდელი თაობის ფეხბურთელთა საქციელი კი სამარცხვინოა — **სათამაშო მოედანზე გასვლისას პირჯვარს ისახავენ, პარალელურად კი სოდომიის პროპაგანდას ეწევიან.** წმიდა სახარება გვასწავლის: „ნუ იქნები ორი ბატონის მსახური!“ სამწუხაროდ, თქვენ ღმერთის მაგივრად მამონას დაემონეთ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ საქმე უკუღმა მიგდით.

მინდა, შევეხმიანო თბილისის ახალარჩეულ მერს — **კახა კალაძეს: არჩევნებამდე რომ გამოგეხატათ მამათმავლების მხარდაჭერა, ხმების იმდენ პროცენტს მიიღებდით, რამდენიც რესპუბლიკურმა პარტიამ მიიღო.** ბატონო კახა, გულწრფელად გენდო ერი და აგირჩია. ჩემი ეკლესიის მრევლის ბევრი წარმომადგენელი კორდინატორად იყო უბნებზე... ძალიან შევცდით. აღნიშნავთ, კაშიას თავს მოახვიეს ლგბტ სამკლავურის გაკეთებაო, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. გასულ წელს მართლაც ცდილობდნენ, ზოგიერთი ქვეყნის საფეხბურთო კლუბების კაპიტნები აეძულებინათ, ჰომოსექსუალების სამკლავური გაეკეთებინათ, მაგრამ მათ სასტიკი უარი განაცხადეს; ან იქნებ ტელეწამყვანი **ინგა გრიგოლია** აიძულეს, ჩაეცვა მაისური, რომელზეც გურამ კაშია ლგბტ სამკლავურით იყო გამოსახული, ან **გიორგი გაბუნიას** გაუკეთეს ძალით ლგბტ ▶

**«საქართველოს ნაკრების შემდეგ თამაშზე სტადიონის შევსება, დიდი ალბათობით, ლგბტ პირებით მოგიწევთ, რადგან საღად მოაზროვნე ქართველი სოდომიის მხარდამჭერთა თამაშს არ დაესწრება. აი ეს გამოიწვია ფეხბურთელების, აგრეთვე, თბილისის მერისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მხრიდან სოდომიის პროპაგანდის მხარდაჭერამ»**

# ბოლო 5 წლის მონაცემებით, 108 615-მა უცხოელმა მოიპოვა საქართველოში ბინადრობის ნებართვა და მოქალაქეობა



**2013 წლიდან 2017 წლამდე საქართველოში ბინადრობის ნებართვა 85 604-მა უცხოელმა მიიღო, მათგან 26 111-მა — მუდმივი ბინადრობისა, ხოლო 59 493-მა — დროებითი ბინადრობისა. საქართველოს მოქალაქეობა კი, ბოლო 5 წლის მონაცემებით, 23 011-მა ადამიანმა მიიღო. ჯამში, 108 615-მა პიროვნებამ მიიღო ბინადრობის ნებართვა და მოქალაქეობა.**

**ეს მაჩვენებელი საკმაოდ დიდია ქვეყნისთვის, რომელშიც დემოგრაფიული მდგომარეობა, შობადობის კლება, მოკვდავობის მატება და უმუშევრობის პრობლემაა. დროებითი ბინადრობის ნებართვა ყველაზე დიდი რაოდენობით, 22 089 პირზე, 2015 წელს გაიცა, ხოლო მუდმივი ბინადრობის — 9 407 პირზე. 2017 წლის მონაცემებით, დროებითი ბინადრობის ნებართვა მოიპოვა 13 336 პირმა, მუდმივისა კი — 2 820-მა. საქართველოს მოქალაქეობის მიღების ყველაზე დიდი მაჩვენებელი 2013 წელს აღირიცხა — 6 440 ადამიანი, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან 9 ოქტომბრამდე საქართველოს მოქალაქე გახდა 3 097 უცხოელი.**

**რომელ პარამეტრებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომელსაც სურს საქართველოში ბინადრობის ან მოქალაქეობის ნებართვის მიღება და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად? — ამ საკითხებზე გვესაუბრებიან იურისტი ალექსანდრე გადელია და პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

## „ბინადრობის ნებართვის გაცემა უნდა გამკაცრდეს“

**ალექსანდრე გადელია, იურისტი:**

— ბინადრობის მოწმობის მიღების პროცედურა საკმაოდ მარტივია: უცხო ქვეყნის მოქალაქემ უნდა მიმართოს იუსტიციის სახლს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს ან სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის საშუალებით შეუძლია მოითხოვოს ბინადრობა.

**— რა სახის ბინადრობის მოწმობები გაიცემა საქართველოში?**

— არსებობს ბინადრობის ნებართვა სწავლისთვის, შრომის მიზნით, ოჯახის გაერთიანების მიზნით, ბინადრობის ნებართვა ინვესტიციებისთვის (მოქალაქემ უნდა განახორციელოს არანაკლებ 300 000 ლარის ინვესტიცია), დროებითი ბინადრობის ნებართვა, აგრეთვე, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე 35 000 აშშ დოლარის ღირებულების საკუთრება აქვს.

**— სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში, მცირერიცხოვანი მოსახლეობის ქვეყანაში, ბინადრობის ნებართვა 85 604-მა უცხოელმა მიიღო, რა უნდა მოიმოქმედოს ამ შემთხვევაში სახელმწიფომ?**

— ბინადრობის ნებართვის გაცემა უნდა გამკაცრდეს, კრიტერიუმი უნდა გადაიხედოს, რადგან ძალიან ზოგადია. ქვეყანაში რეზიდენტი პირებისთვის დროებითი ბინადრობის ნებართვის გაცემა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში მათი დასაქმებისა და ბიზნესსაქმიანობის საკითხებთან. შესაძლოა, უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ ჰქონდეს ქვეყანაში დიდი ხნით დარჩენის უფლება, მაგრამ მუშაობდეს იმ პერიოდში, ესეც შესამოწმებელია. საქართველო პატარა და ღარიბი ქვეყანაა, ამ მხრივ საჭიროა მეტი ყურადღების გამოჩენა, რათა არ დაზარალდეს ხალხი, რომელსაც ისედაც უჭირს დასაქმება. საქართველოში მშვიდი და მიმზიდველი გარემოა ირანელებისთვის, აზერბაიჯანლებისთვის და გააქტიურდნენ კიდეც — იძენენ ბინებსა და მიწებს. ეს **ქვეყნის ეკონომიკისთვის კარგია, მაგრამ დედაქალაქისთვის, სადაც უკვე აღარ არის თავისუფალი ადგილი და ქართველებისთვის გაჭირდა საცხოვრებელი ადგილის პოვნა, არც ისე სახარბიელოა.** ეს მდგომარეობა კარგ შედეგამდე არ მიიყვანს ხალხს. აუცილებლად უნდა მიიღოს ხელისუფლებამ ზომები და გაამკაცროს საქართველოში დასახლების პირობები.

## „ქართველები ჩვენს ტერიტორიაზე უკვე ვართ დაქირავებული მუშები და მალე ვიქნებით ულუკმაპუროდ დარჩენილი ხელგაწვდილი მათხოვრები“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— მსოფლიოში მიგრაციული პროცესები ძალიან მწვავეა, საქართველოც შედის ამ მოცემულობაში. ეს პროცესი ღრმად და სერიოზულად არის შესასწავლი. ამას ერთჯერადი ღონისძიებების გატარება არ უშველის. ხელისუფლებამ კი არ იცის, როგორ მოაგვაროს, არა მხოლოდ ეს საკითხი, არამედ სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც. ყველგან ჩანს მათი უცოდინარობა. დემოგრაფიული მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, **უცხოელები კი ბინადრობის ნებართვას ყიდულობენ. ამ შემთხვევაში ხელისუფლება კმაყოფილდება დღევანდელი კვერცხით.** მას არ აინტერესებს, რა იქნება ხვალ. დღევანდელი კვერცხი რომ ურჩევნია, ჩანს იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც ხელს უწყობს უცხოელთა შემოდინებას.

**— თუ ხელისუფლება დაიწყებს ამ საკითხზე მუშაობას, სამაგალითოდ რომელი ქვეყანა უნდა აიღოს?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა დაიწყო აქტიური პროცესები. პრეზიდენტმა **ტრამპმა,** ტერორიზმიდან გამომდინარე, მოქალაქეობის მიღება და ქვეყანაში შეღწევის შესაძლებლობა გაამკაცრა და დღეს ასე იოლად ველარ მიიღებთ ამერიკის მოქალაქეობას. ევროპაში ეს შედარებით იოლია, მაგრამ ევროკავშირი წალეკა ამ გაიოლებული პოლიტიკით ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებიდან შესულმა მიგრანტებმა და ეს მაგალითი არ გამოგვადგება. **უნდა ავიღოთ მაგალითი ქვეყნებიდან, როგორიც არის ყატარი და გაერთიანებული არაბული საამიროები. მათ აქვთ კანონები, რომლებიც უკრძალავს ჩამოსულს მიწის შეს-** ▶

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნიცშესთან მოპაექრე ბრძენი კაცი, როგორც ქუცნაშვილი იტყოდა, ხომ ცოცხალია, ერთხელ თუ კრიტიკული თვალით შეხედავს კალაძის იაფფასიან პიარსვლებს, მიხვდება, რომ კალაძის სახით, მისი ერთ-ერთი დასაყრდენი სააკაშვილის კლონია ქართულ პოლიტიკაში. ასეთი ადამიანების დაყრდნობა კი სარისკოა. ჰოდა, მთლად ბოლომდეც „ნუ მიეყრდნობით“, ბატონო ბიძინა, თქვენც ისევე არ დაგახურდავოთ გაპოლიტიკოსებულმა ფეხბურთელმა, როგორც მისი ფავორიტი სააკაშვილი დაახურდავა.**

# მიშას კლონი — «ნუ მიეყრდნობით!»



**10 წლის წინათ, 7 ნოემბრის დილას, რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მოშიმშილეებიდან, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მათი მშვიდობიანი საპროტესტო აქცია წყლის ჭავლის, ცრემლმდენი აირის, რეზინის ტყვიების, ხელკეტებისა და აკუსტიკური იარაღის გამოყენებით დასრულდებოდა.**

„ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის მიერ ჩატარებული სადამსჯელო ღონისძიების შედეგად საქართველოს არაერთი მოქალაქე დაზარალდა, მათ შორის, ბევრი ცნობილი პიროვნება და მაშინ საბოლოოდ გაემიჯნენ ისინი ხელისუფლებაში ვარდებით მოსულ ძალას, თუმცა 7 ნოემბერი წყალგამყოფი არ აღმოჩნდა ამჟამად „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის — **კახა კალაძისთვის** და 2008 წელს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში იგი სააკაშვილის მხარდამჭერთა რიგებში დადგა.

მიხეილ სააკაშვილი: **„კახიზე მინდა, შეგახსენოთ, სადღაც რადიოში მოვისმინე ამას წინათ, გული გამისკდა, ამ არჩევნებში ხომ არ აპირებდა, მაგრამ ასაკი არ აქვს, აპირებს ასევე საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად... მე ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ ვყოფილვიყავი კახი კალაძის კონკურენტი... ერთი რაღაცაა, მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, გამოვსულვიყავი ფეხბურთელი და ბოლოს გამოვედი პრეზიდენტი. ამ კაცმა მოახერხა, გამოსულიყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართველი ფეხბურთელი ცხოვრებაში და ახლა შეიძლება გახდეს პრეზიდენტიც. ეს არის მისი ძირითადი უპირატესობა ჩემ მიმართ...“**

სააკაშვილმა კალაძეზე ასე მაშინ ისაუბრა, როდესაც თბილისის მომავალი მერი თვალებში შესციცინებდა და მის პირველ საპრეზიდენტო ვადაში გაკეთებულ საქმეებზე აღტაცებით საუბრობდა. **„მადლობა კომპლიმენტისთვის. საპრეზიდენტო გეგმები ცოტა შორეულია, საერთოდ, ბოლოდროინდელი სიტუაციების გამო, ჩემი პოლიტიკაში წასვლა ცოტა ეჭვქვეშ დადგა... ძაან ბევრი წარმატებები იყო და კიდევ ბევრს გააკეთებენ, დარწმუნებული ვარ... დარწმუნებული ვარ, ბევრს არ სიამოვნებს ახლა, იგივე ოპოზიციის მხარდამჭერს, რომ ეს ხალხი აქ არი და ბატონ მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს, შეიძლება ვეზიზღებით კიდეც“...**

ასე ჟღურტულებდნენ ერთ დროს ერთ სტუდიაში მიხეილ სააკაშვილი და კახა კალაძე და ეს მაშინ, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ 7 ნოემბრის მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკი დარბევა და ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმის შეჭრა უკვე მომხდარი იყო.

პოლიტიკური ამნეზიის მქონეთა საყურადღებოდ: 7 ნოემბერს პოლიციის მიერ მომიტინგეთა დარბევისა და „იმედში“ შეჭრის შემდეგ სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამ გადაწყვეტილებას საზოგადოების მწვავე კრიტიკა მოჰყვა. Human Rights Watch-ი აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობას მომიტინგეთა მიმართ „ჭარბი“ ძალის გამოყენების გამო, ხოლო International Crisis Group-ი საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოში მზარდი ავტორიტარიზმის თაობაზე აფრთხილებდა. 2007 წლის 25 ნოემბერს სააკაშვილი გადადგა, ხოლო რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს დაინიშნა. **სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ შავ ლაქად წოდებული 7 ნოემბრის შემდეგ მოევლინა კალაძე საზოგადოებას სააკაშვილის მხარდამჭერთა რიგებში(!).**

**„თბილისი უნდა გიყვარდეს, თბილისი უნდა გტკიოდეს, ეს არ არის მარტო სადღეგრძელოს თემა, ეს არის თითოეული აქ მცხოვრები ადამიანის შემადგენელი ნაწილი. თუ როგორც სხეულის ნაწილს, ისე ვერ გრძნობ თბილისს, ესე იგი, არ ხარ თბილისელი — ესაა ჩემთვის შეფასების კრიტერიუმი. თბილისის სიყვარული, თბილისზე ამაგია თბილისელობის საზომი“. საინტერესოა, ამ სიტყვების ავტორ კალაძეს, როდესაც მისი ფავორიტი სააკაშვილის რეჟიმი 7 ნოემბერს ხალხს ქუჩაში სატიკად არბევდა, მაშინ არ სტკიოდა და არ უყვარდა თბილისი?! არც ის თანამოქალაქეები სტკიოდა, რომლებსაც ცხვირ-პირი დაუმტვრიეს რუსთაველის გამზირზე?! ან იქნებ გაპოლიტიკოსების შემდეგ მძაფრდება თბილისის სიყვარული?!**

ჰოდა, ეს ერთ დროს მიშაზე აღტაცებით „მოტიტინე“ „სამტრედიელი ბიჭუნა“ (ასე უწოდა საკუთარ თავს იმავე ეთერში კახა კალაძემ) დღეს თვითონაც სააკაშვილის პიარტექნოლოგიებს იყენებს. კერძოდ, ადგილობრივი არჩევნების დასრულებიდან რამდენიმე დღეში მან მეტროპოლიტენით იმგზავრა, შემდეგ ავტობუსით ისარგებლა. სააკაშვილიც მგზავრობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ეს მაშინ იმიტომ მუშაობდა ამომრჩეველზე, რომ ახალი ხილი იყო ქართულ პოლიტიკაში, თუმცა „ხალხთან ახლოს“ ყოფნას სააკაშვილისთვის სულაც არ შეუშლია ხელი, რომ თავისი მმართველობა დიქტატორულ რეჟიმად ექცია. ასე რომ, ნუ გაჰყვებით მთლად მიშას გზას, ნუ გახდებით მისი კლონი, ის არც ისეთი წარმატებული პოლიტიკოსი იყო, როგორც თქვენ გგონიათ.

**ზიგმუნდ ფროიდი** რომ გავაცოცხლოთ და თბილისის ახალარჩეული მერის ქცევა, საუბარი, პიარ-ტექნოლოგიები გავაანალიზებინოთ, გვეტყოდა, რომ **კალაძის ქვეცნობიერი ისევ მიშას ხიბლშია...** ფროიდის რა მოგახსენოთ, მაგრამ ნიცშესთან მოპაექრე ბრძენი კაცი, როგორც ქუცნაშვილი იტყოდა, ხომ ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ერთხელ თუ კრიტიკული თვალით შეხედავს კალაძის იაფფასიან პიარსვლებს, მიხვდება, რომ კალაძის სახით, მისი ერთ-ერთი დასაყრდენი სააკაშვილის კლონია ქართულ პოლიტიკაში. ასეთი ადამიანების დაყრდნობა კი სარისკოა. ჰოდა, მთლად ბოლომდეც „ნუ მიეყრდნობით“, ბატონო ბიძინა, თქვენც ისევე არ დაგახურდავოთ გაპოლიტიკოსებულმა ფეხბურთელმა, როგორც მისი ფავორიტი სააკაშვილი დაახურდავა.

**გიორგი დოლიძე**

---

◀ სამკლავური და ასე აიძულეს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა?!

მოეგეთ გონს, პირად, **მიწიერ კარიერას ღმერთის კანონზე მაღლა ნუ დააყენებთ და სულს ჯოჯოხეთისთვის ნუ განიმზადებთ!**

ბატონო კახა, თქვენ, პოზიციის გამოხატვით, მეტად ასიამოვნეთ მეგობარ ფეხბურთელს, მაგრამ წინ აღუდექით საქართველოს მოსახლეობის 95%-ს. როგორც ცნობილია, მართლმადიდებლობის მტრები, ერის მოღალატე სოროსის ლეკვები 17 მაისს მსოფლიოს დასანახავად სოდომიტების აღლუმის გამართვას გეგმავენ, რათა წაბილწონ ის წმინდა ადგილი, რომელზეც 1989 წლის 9 აპრილს სამშობლოსთვის გულანთებული ქართველი გოგო-ბიჭების სისხლი დაიღვარა. თქვენი პოზიციიდან გამომდინარე, ჩანს, რომ, როგორც მერი, მათ ამის ნებას დართავთ.

**გირჩევთ, ეს არ გააკეთოთ...**

შევახსენებ **ლევან კოზიაშვილს:** თქვენს წარსულს, მოღვაწეობას მდუღარე წყალი გადაასხით. სავალალოდ, ვერ აცნობიერებთ, როგორი ცოდვა ჩაიდინეთ. მოინანიეთ!

მე, ხანში შესული ღვთისმსახური, მსოფლიოს ანტიქრისტიანულ ძალებს დავუპირისპირდი ჩემი სარწმუნოების, ჩემი ერის ტრადიციების დასაცავად. 5 წელი ციხეში გავატარე. ჩემს მშობლიურ სოფელში ღვთისმშობლის ტაძარი აღვადგინე კომუნისტების პერიოდში. წავიდოდი, სიბერეს იქ გავატარებდი ლოცვაში, მაგრამ — არა. მე ჩემი ერის, ბერის და ჩემი ქვეყნის განსაცდელს შორიდან ვერ დაუწყებ ცქერას, მით უმეტეს, როცა ამდენი მტერი ახვევია — შინაური თუ გარეული. უპირატესი ღმერთია, მისი გმობა არავის გვეპატიება!

**გაითვალისწინეთ: თქვენ ითვლებით შვილებად იმ ქვეყნისა, რომლის 100 000 მორწმუნე და 6000 ბერი ეწამა სარწმუნოებისთვის. ამ ქვეყნის დედოფალმა, ქეთევანმა, ორი შვილიშვილი და საკუთარი სიცოცხლე ანაცვალა სამშობლოს; ამ ქვეყნის წარმომადგენელმა გიორგი სააკაძემ უსჯულოებს შვილი მძევლად დაუტოვა; ამ ქვეყნის შვილებმა — ბიძინა ჩოლოყაშვილმა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა, მეფე დემეტრემ და სხვებმა საკუთარი სიცოცხლე მიიტანეს სარწმუნოებისა და ქვეყნის ინტერესების სამსხვერპლოზე.**

თქვენ მომავალი თაობისთვის მაგალითის მიმცემნი უნდა იყოთ და ისე ნუ გააკეთებთ, რომ თქვენმა შვილებმა გაუკულმართებულ საქართველოში იცხოვრონ. წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ მიწა-წყალზე მცხოვრებთ ისევ ჩვენივე, ქართველებისვე, ამჯერად სულგაყიდული ფეხბურთელების მეშვეობით, გვიგინებენ ღირსებას, ლამობენ, მოგვისპონ სარწმუნოება. თითქმის ყველა ტელევიზია გააფთრებით ეწევა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას.

ყველა ადამიანი თავისუფალია არჩევანში და თავის სახლში, ვისაც რა მოესურვება, ის აკეთოს, ტელეეკრანიდან სოდომიის საჯარო პროპაგანდა კი ღვთის რისხვას იმსახურებს. სოდომიის პროპაგანდისტები ასრულებენ ოკეანისგაღმელთა დაკვეთებს და ამიტომ აუცილებლად წარდგებიან ერის სამსჯავროზე.

საქართველოს ნაკრების შემდეგ თამაშზე სტადიონის შევსება, დიდი ალბათობით, ლგბტ პირებით მოგიწევთ, რადგან საღად მოაზროვნე ქართველი სოდომიის მხარდამჭერთა თამაშს არ დაესწრება. აი ეს გამოიწვია ფეხბურთელების, აგრეთვე, თბილისის მერისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მხრიდან სოდომიის პროპაგანდის მხარდაჭერამ.

მივმართავ ჩემი ერის საღად მოაზროვნე ნაწილს, რომელიც 2013 წლის 17 მაისს ერთად შეკრული იდგა რუსთაველის გამზირზე და ერთად ვიცავდით ზნეობას: დავიცვათ ჩვენი ერის ღირსება! ძალიან მძიმე ხანა გვიდგას, სამშობლო, სარწმუნოება დაცვას ითხოვს. ამას გვავალებს წინაპართა წმინდა ხსოვნა. დავარისხოთ განგაშის ზარები, ზნეობრივად დაცემულთ ნუ შევაგინებინებთ ჩვენს ძირძველ ისტორიას, სარწმუნოებას!

**მამა ბასილი (მკალავიშვილი),**
**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი**

---

◀ **ყიდვასა და მოქალაქეობის მიღებას. ადგილობრივი მოსახლეობა დაცულია შეტევისგან, რომ უცხოელი შეიძენს მიწის ნაკვეთს, ეს ყველაფერი კარგად არის ჩაწერილი კანონებში.** ამ ქვეყნებში შესულთა უფლებები შეზღუდულია და მათ არ აქვთ შესაძლებლობა, გაუთანაბრდნენ ადგილობრივებს. **საქართველოს მოსახლეობა გადის ქვეყნიდან ლუკმაპურის საშოვნელად და ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია, სანამ ხელისუფლება არ შეძლებს საწარმოების გახსნას, ეკონომიკის განვითარებას, ინფლაციის შეჩერებას, უმუშევრობის დაძლევას და ა.შ. ამ ქვეყნის ხელისუფლების მოქმედებიდან გამომდინარე, უახლოეს პერსპექტივაში არ არსებობს პრობლემების გადაჭრის ნიშანწყალი.** დადგება დრო, როდესაც შემოსული ადამიანების რაოდენობა გადააჭარბებს ადგილობრივ მოსახლეობას. **ქართველები ჩვენს ტერიტორიაზე უკვე ვართ დაქირავებული მუშები და მალე ვიქნებით ულუკმაპუროდ დარჩენილი ხელგაწვდილი მათხოვრები.**

**— ახსენეთ დემოგრაფიული პრობლემა, ამ პრობლემის ფონზე კი გამძაფრდა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. რას მოუტანს ეს საქართველოს?**

— ეს არის დამღუპველი საქართველოსთვის. მეტიჩარა გოგო-ბიჭები, რომლებიც აყოლილები არიან ევროპელებისა და ამერიკელების ხმას, მათ მოწოდებებს, რომ თავზე ხელი გადავუსვათ მამათმავლებს და პატივი ვცეთ, ძალიან ცუდად მოქმედებს ერის გამრავლებაზე. **საერთოდ, რა გამრავლებაზეა ლაპარაკი, თუ ქალი ქალს გაჰყვება ცოლად და კაცი — კაცს.** არ ვამბობ, რომ ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ურთიერთობა მახვილით ამოიშანთოს, მაგრამ ტელეეკრანზე მათი კეკლუცობა აუცილებლად უნდა აიკრძალოს. ყოველდღიურად ასეთი შინაარსის გადაცემების ჩვენება ბინძური პროპაგანდაა. ქართველი ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშეა. რესპუბლიკელებსა და გადაგვარებულად მოაზროვნე ადამიანებს არ უნდა ავყვეთ.

**— ნარკოპოლიტიკის შემსუბუქებაც აქტუალურია, რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ქართველი საზოგადოება ამ ყველაფერმა?**

— ნარკოპოლიტიკის შემსუბუქება დაუშვებელია. ჩვენ თვითონ ვვარდებით წინააღმდეგობაში: დასავლეთი მოგვიწოდებს, ვებრძოლოთ თამბაქოს მოწევას და რიგ ქვეყნებში აკრძალეს კიდეც, ამ დროს ჩვენ ვაკეთებთ უარესს — ვუშვებთ ნარკოტიკის მოხმარებას. არადა, თამბაქო ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ნარკოტიკები. ნარკომანებზე თავზე ხელის გადამსმელებისა და მომხმარებლების განცხადებები, რომ შეიძლება მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარების დაშვება, სწორი არ არის. **მაგალითს იღებენ ევროპის ქვეყნებიდან, სადაც შერბილებულია ნარკოპოლიტიკა, მაგრამ იქ მოსახლეობა მრავალრიცხოვანია, ადამიანების თვითშეგნება — მაღალი,** თუმცა არც იქ მოაქვს დადებითი შედეგი... შევხედოთ ჰოლანდიის მოსახლეობის რაოდენობას, მოსახლეობის ერთ სულზე რამდენია შემოსავალი, რამდენად მაღალია შრომისნაყოფიერება ამ ქვეყანაში და აქედან გამომდინარე ვიმსჯელოთ. **ამ ხელისუფლებას ურო რომ ჩაარტყა, მაინც ვერ გამოფხიზლდება,** ერთადერთი გამოსაფხიზლებელი საშუალება იყო არჩევნები, მაგრამ არჩევნებიც ისე ჩატარდა, როგორც მათ სურდათ — გაყალბებით. გაჭირვებული ხალხი 15-20 ლარად გაიყიდა. დაგვიდგა დრო, რომ უნდა ვიბრძოლოთ თავის გადასარჩენად. ამისთვის საჭიროა დემოგრაფიული სურათის გაუმჯობესება, მაგრამ როგორ უნდა გაუმჯობესდეს, თუ პროპაგანდა მიმდინარეობს მსუბუქი ნარკოტიკებისა და ლგბტ თემის? ყველა ეს პროცესი ეწინააღმდეგება მცირერიცხოვანი ქართველი ერის განვითარებას. გავა 15-20 წელი, აღმოვჩნდებით სერიოზული პრობლემის წინაშე და მაშინ უკვე გვიანი იქნება ვითარების გამოსწორება.

**ცნობისთვის: მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ძირითადად ემიგრანტების დაფუძნებული ქვეყანაა, მოქალაქეობის მიღების პროცესი 2000 წლიდან კიდევ უფრო გართულდა. 2017 წელს ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საემიგრაციო პოლიტიკის გასამკაცრებლად შეიმუშავა კანონპროექტი The Raise, რომელიც მწვანე ბარათის გაუქმებას ითვალისწინებს. დონალდ ტრამპის აზრით, გათამაშების პროგრამის გაუქმება შეამცირებს არაკვალიფიცირებული მიგრანტების ნაკადს და, შესაბამისად, გაზრდის ამერიკელი მუშების ანაზღაურებას.**

მოამზადა **გვანცა ნამიჭეიშვილმა**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„თავისუფალი მედიის“, „ობიექტური ჟურნალისტიკისა“ და „ავტორიტეტული ჟურნალისტების“ სახელით განხორციელებული ზემოქმედება მაყურებელზე გაცილებით საშიშიც არის, გაცილებით მძიმე შედეგის მომტანიც და გაცილებით სამარცხვინოც.**

# ბულინგი «ჟურნალისტების» სახელით

**ზოგიერთმა შეიძლება იკითხოს — რატომ არის სათაურში სიტყვა „ჟურნალისტები“ ბრჭყალებშიო? გიპასუხებთ: ზუსტად იმიტომ, რატომაც „ტვ-პირველზე“ ორგანიზაცია „ქართული მარშის“ შესახებ მომზადებული თოქშოუს მიმდინარეობისას, დასაწყისიდან დასასრულამდე, ეკრანზე ეწერა — „ბულინგი „ქართველობის“ სახელით“, სიტყვა „ქართველობა“ ბრჭყალებში იყო ჩასმული. ეს ტიტრი, სავარაუდოდ, სულ სხვა მიზეზით ეწერა ეკრანზე, რაზეც ამ სტატიაში ვისაუბრებთ.**




ჩვენს სათაურსა და მათ ტიტრს საერთო ის აქვს, რომ, როგორც მათ მიაჩნიათ ბულინგად ფეხბურთის ფედერაციასთან გამართული სრულიად მშვიდობიანი აქცია და არ მიაჩნიათ ქართული საქმის მკეთებლებად „ქართული მარშის“ ლიდერები, ზუსტად ასევე ჩვენც მიგვაჩნია ბულინგად ის, რაც ქართული ტელევიზიების ეთერში ხდება ბოლო პერიოდში, ხოლო ასეთი ისტერიკული კამპანიის მწარმოებლები ნამდვილად არ მიგვაჩნია ჟურნალისტებად.

განსხვავება კი ჩვენ შორის არის ის, რომ მათ, **დარწმუნებული ვართ, ძალიან გაუჭირდებათ, ახსნან, რატომ არის მშვიდობიანი აქცია ბულინგი ან რატომ არ არის ქართული საქმე პედერასტიის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა. აი, ჩვენ კი ძალიან არგუმენტირებულად ავხსნით, რატომ ჰქვია მედია-ბულინგი იმას, რასაც ისინი აკეთებენ და რატომ არ შეიძლება ეწოდოთ ჟურნალისტები ამის მკეთებელ ადამიანებს.**

ბულინგი ამერიკული ტერმინია და ნიშნავს **ჩაგვრას, ზემოქმედებას, იძულებას, დაშინებას**. ჰოდა, მკითხველო, კარგად დაფიქრდი და ალალად მიპასუხე: რომელი უფრო გაშინებთ და გთრგუნავთ — ფეხბურთის ფედერაციასთან მისული მშვიდობიანი ადამიანები, რომლებიც, უბრალოდ, მანათობელ მაშხალებს ატრიალებენ, თუ **ინგა გრიგოლიას** დაქაჩული თვალები და გამყინავი ხმა — არიქა, ვიღაცაზე ძალადობენ, სიძულვილის ენას ავრცელებენ, „ბულინგობენ“, კლავენ და ახრჩობენო?

ამ სტატიაში შედარებით მეტს ვილაპარაკებ ინგა გრიგილიაზე, რადგან მასთან უფრო ახლო პირადი ნაცნობობა მაკავშირებს, ვიდრე, დავუშვათ, **ეკა კვესიტაძესთან.** ინგა გრიგოლია ის ადამიანია, რომელმაც თავის დროზე წარმატებით მოახერხა ძალიან ღრმა „ქაქიდან“ ამოძრომა და კვლავ ტელემაყურებელთან დაბრუნება. მახსოვს ფილარმონიის წინ გამართული „ცოცხების აქციად“ წოდებული დიდი მიტინგი იმ საღამოს, როდესაც ტელეეთერში პატიმრების წამების კადრები გადაიცა. ამ მიტინგზე ჯერ კიდევ ქდმ-ელი ინგა გრიგოლიაც მოვიდა. ხალხი საშინელი აგრესიით შეხვდა მას და ისმოდა უშვერი სიტყვებით გინებაც. იმხანად „ინფო 9“-ის ტექნიკური დირექტიორი ვიყავი და პირადად ვხელმძღვანელობდი პირდაპირ ჩართვას. ინგა გრიგოლიას, შეიძლება ითქვას, მკერდით გადავეფარე, პირდაპირი ჩართვის „პიკაპამდეც“ მივიყვანე და ეთერშიც ჩავრთე. მოგვიანებით, ყველასთან ვიცავდი და ვაფასებდი მის ნაბიჯს, რომ ინგა გრიგოლია, მისი პარტიული ბოსების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად (ქდმ — ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა არ შეუერთდა „ცოხების აქციას“), მაინც მოვიდა ამ მიტინგზე და მისდამი სასტიკად აგრესიულ მომიტინგეებს არ შეუშინდა. ასევე ვაფასებ მის ნაბიჯს, როდესაც გვერდით დაუდგა „პირველ სტერეოს“, როცა მას საakაშვილის სპეცრაზმი არბევდა... ისიც შეგნებული მქონდა, რომ ინგას მიმართ აგრესიული ადამიანების ბრაზი ჩემზეც გადმოვიდოდა მისი დაცვის გამო, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვდა, მეთქვა, რაც სათქმელი იყო და უკან წამით არ დამიხევია, მიუხედავად იმისა, „მეჩურჩულებოდნენ“ — მაგან უკვე იცის, რომ მიშა განწირულია და ასე თავისი იმიჯის გადასარჩენად იქცევა მხოლოდო. სიმართლე გითხრათ, ცოტა უცნაური კი იყო არჩევნების წინა დღეს ქდმ-ის დატოვება მისგან... თუმცა მაშინ მაინც გამიჭირდა რაღაცების დაჯერება! დღეს კი პირდაპირ მივმართავ: **რა გემართება, ინგა? რას ჰგავხარ?**

**ინგა, დავიჯერო ისე აგივარდა თავში, მაყურებლის წინაშე „კრძალვითა და ცახცახით“ (ასე ჰქვია ამელი ნოტომის ცნობილ ნაწარმოებს) დაბრუნებულს, უკვე ფეხებზე გკიდია შენი მაყურებელი და, საერთოდ, არ გადარდებს, რას იფიქრებენ შენზე, როგორი გამოჩნდები მათ თვალში და ისევ ჩაბრუნდები თუ არა იმ „ქაქში“, რომელშიც იყავი? ფიქრობ, ყოველთვის შეძლებ ამოძრომას? გგონია, მუდამ დაგიჯერებს მაყურებელი?**

თუ გახსოვს, როდესაც ბიძინამ „ჯი-დი-ეს“-ზე „20/30“-ის კეთება დაიწყო და მთავარ მიზნად „ინგას ჩაძირვა“ ოფიციალურად გამოაცხადა, მე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოვაქვეყნე წერილი სათაურით „ნუ გეშინია, ინგა!“, ვწერდი, რომ რეიტინგი შენი თანმდევი მოვლენაა და მაშინაც, როდესაც „იმედიდან“ გაგიშვეს, გეუბნებოდი, სადაც უნდა წახვიდე, რეიტინგი თან წამოგყვება-მეთქი.

მაგრამ **ამ რეიტინგსა და მაყურებლისგან ძლივს დაბრუნებულ ნდობას გაფრთხილება და შენარჩუნება უნდა. მას კი შენი, უკვე თავხედური საქციელით, პირდაპირ გეტყვი, დაურიდებლად ფლანგავ. ყოველგვარი სიმახინჯისა და უღირსი საქციელის ასეთი ღია და აგრესიული მხარდაჭერა შენს რეპუტაციას საბოლოოდ გაანიავებს და უმაყურებლოდ დარჩენილი ტელეჟურნალისტი, ვგონებ, იცი, რასაც ნიშნავს.**

**პირველი მძიმე დარტყმა საკუთარ თავს მაშინ მიაყენე, როდესაც თანამდებობის პირი დაოჯახებული ქალების უზნეო და ამორალური საქციელების ამსახველი ფარული ჩანაწერები გავრცელდა და შენ ამას „ჩვეულებრივი პირადი ცხოვრების ამსახველი“ კადრები უწოდე. გამოვარდი პირდაპირ ეთერში და სრულიად დაუფიქრებლად და უპასუხისმგებლოდ გაჰყვიროდი მთელი ქვეყნის გასაგონად: „მე მაქვს სექსი და მოგიწოდებთ, თქვენც ყველას აუცილებლად გქონდეთ სექსი“-ო! ეს, ქაჯობასა და გოიმობასთან ერთად, სერიოზული ჟურნალისტისთვის მიუღებელი ახუნტრუცებაც იყო.** თუ რამეს ეთანხმებოდი ან არ ეთანხმებოდი, როგორც უკვე ზრდასრულ ასაკს მიღწეულ, სერიოზულ და გავლენიან ტელეწამყვანს, შეგეძლო, ნორმალური, სერიოზული განცხადება გაგეკეთებინა და ისე გამოგეხატა შენი პოზიცია.

ახლაც, ქართველი ფეხბურთელის მიერ ლგბტ სამკლაურის გაკეთებაზე მსჯელობისას, სავსებით ნორმალურად შეგეძლო გაგეცხადებინა, ვის უჭერ მხარს, რატომ და რა არგუმენტებით, მაგრამ, პირდაპირ გეტყვი: შენ და კიდევ ქართულ ტელეეკრანებზე დღეს „გამეფებულმა“ სახეებმა (და არა — ჟურნალისტებმა) გადაწყვიტეთ, თქვენს უცხოელ თუ ადგილობრივ „პატრონებს“ ასიამოვნოთ და ისე ამაზრზენად იქცევით, მაყურებელთა უდიდესი ნაწილის აშკარა ზიზღს იმსახურებთ.

ახლა არ თქვა, — მაგას როგორ მკადრებო! მინახავს, შენს იმ რესპონდენტებს, რომლებსაც იოლად აგოიმებ, თუ ერთხელ მაინც წამოცდათ, — თქვენ ახლა ვიღაცის დავალებას ასრულებთო, — როგორ უქაჩავ თვალებს და უყვირი: მაგას მე, ინგა გრიგოლიას, როგორ მკადრებ და, საერთოდ, ჟურნალსტების ლანძღვა, მათთან დაპირისპირება ყველასთვის ცუდად მთავრდებაო! — აი ბულინგი თუ რამეა, ეგაა სწორედ.

მაგრამ მე არ ვარ შენი რესპონდენტი, მით უფრო, ისეთი, ვისაც ჟურნალისტი ღმერთი ჰგონია, ამიტომ პირდაპირ გეუბნები: მთელი გადაცემის წაყვანა ტიტრით „ბულინგი „ქართველობის“ სახელით“ არის ჟურნალისტიკის ყველა პრინციპის დარღვევა, სიტუტუცე, რეგვნობა და ობიექტურობის ფეხებზე დაკიდება! ანუ გადაცემის საწყის წამებშივე, მაშინ, როდესაც „ქართული მარშის“ მსვლელობა ფეხბურთის ფედერაციისკენ დაწყებულიც არ იყო, მას თქვენ, ქართველმა „ჟურნალსტებმა“, უკვე ბულინგი, ანუ ჩაგვრა და დაშინება უწოდეთ და ასეთი „ობიექტური“ საქციელის შემდეგ **ეკა კვესიტაძე, ნანუკა ჟორჟოლიანი, ნინო ზაუტაშვილი, ნანა ლეჟავა** და სხვები ერთ ხმაში მოითხოვდით, არ დავუთმოთ ეთერი სიძულვილის ენის გამავრცელებლებსო! რა იცოდით წინასწარ, რომ აქციის მონაწილეები ან ვინმეს „მიაბულინგებდნენ“, ან სიძულვილის ენას გაავრცელებდნენ?

ისიც შემთხვევითი ხომ არ არის, ყველა ქართული ტელევიზია აუცილებლად ასე რომ ამეტყველდით უცებ — **„ეგრეთ წოდებული ქართული მარში“?**

რა, ყველას ერთობლივად გაგიჩნდათ აზრი, რომ „ქართულ მარშს“ ეგრეთ წოდებული მიაწებოთ? რანაირად გინდათ, ვინმე დააჯეროთ, რომ თქვენ, უბრალოდ, არ მიგაჩნიათ მარშელები ქართული საქმის მკეთებლებად და იმიტომ უწოდებთ ასე ხმაშეწყობილად ეგრეთ წოდებულს?

თუ ასეა, მაშინ რატომ არ აცხადებთ „ეგრეთ წოდებული „ქართული ოცნება“, „ეგრეთ წოდებული „პატრიოტთა ალიანსი“ ან, მით უმეტეს, „ეგრეთ წოდებული „ნაციონალური მოძრაობა“? დავიჯეროთ, „ქართული ოცნება“ ქართულად მეოცნებეებით გგონიათ დაკომპლექტებული, ხოლო „პატრიოტთა ალიანსი“ — 100 პროცენტით პატრიოტებით? იქნებ „ნაციონალური მოძრაობაა“ რეალურად ნაციონალური, თქვენი აზრით?

თუ იმას იტყვით, რომ „ბნელი“ ძალების მიმართ ასეთი მიდგომა გამართლებულია ჟურნალისტების მხრიდან, მაშინ მიპასუხეთ: მსოფლიო მედია რატომ არ უწოდებს ტერორისტულ დაჯგუფებებს ასე: „ეგრეთ წოდებული „ალ ქაიდა“ ან „ეგრეთ წოდებული „თალიბანი“?

არა, **საქმე სწორედ ის არის, რომ თქვენ ერთი „ტვინი“ გმართავთ, ოღონდ ძალიან უტვინოდ(!).**

„ქართული მარში“ ოფიციალურად არსებობს ამ სახელწოდებით და თქვენ ვალდებული ხართ, იგი ამ სახელით მოიხსენიოთ, ხოლო ეგრეთ წოდებულები არიან ისინი თუ „სამაზვანცები“, საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს და არა თქვენ — „ობიექტურმა ქართულმა მედიამ“.

მიხვდით ახლა, რას ნიშნავს რეალურად ბულინგი და მიხვდით, რომ მას სწორედ თქვენ ახორციელებთ და არა ვინმე სხვა, მით უფრო — „ქართული მარში“?

თუმცა, „ქართული მარში“ მართლაც რომ ახორციელებდეს ბულინგს და მართლაც ქართველობის სახელით, ეს ისე საგანგაშო არ იქნებოდა, როგორც თქვენი მართლა რეალური ბულინგი მაყურებელზე...

„თავისუფალი მედიის“, „ობიექტური ჟურნალისტიკისა“ და „ავტორიტეტული ჟურნალისტების“ სახელით განხორციელებული ზემოქმედება მაყურებელზე გაცილებით საშიშიც არის, გაცილებით მძიმე შედეგის მომტანიც და გაცილებით სამარცხვინოც...

> **ინგა, დავიჯერო ისე აგივარდა თავში, მაყურებლის წინაშე «კრძალვითა და ცახცახით» (ასე ჰქვია ამელი ნოტომის ცნობილ ნაწარმოებს) დაბრუნებულს, უკვე ფეხებზე გკიდია შენი მაყურებელი და, საერთოდ, არ გადარდებს, რას იფიქრებენ შენზე, როგორი გამოჩნდები მათ თვალში და ისევ ჩაბრუნდები თუ არა იმ «ქაქში», რომელშიც იყავი? ფიქრობ, ყოველთვის შეძლებ ამოძრომას? გგონია, მუდამ დაგიჯერებს მაყურებელი?**

> **თუმცა, «ქართული მარში» მართლაც რომ ახორციელებდეს ბულინგს და მართლაც ქართველობის სახელით, ეს ისე საგანგაშო არ იქნებოდა, როგორც თქვენი მართლა რეალური ბულინგი მაყურებელზე...**

ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს სამეგრელოში, და არა მხოლოდ სამეგრელოში, უამრავი ადამიანი, რომლებიც, როგორც ქარდავა ამბობს, წლების განმავლობაში „ეფექტიანად“ ემსახურებოდნენ „ნაცრეჟიმს“, ისევ თანამდებობებზე არიან, ანუ, დასაჯის ნაცვლად, კვლავ განაგრძობენ მუშაობას და ზოგი დააწინაურეს კიდეც“.**

# აბა რას იტყვის მეგის ქარდავა?! რა, ვინმე ელოდებოდა, რომ განაცხადებდა, - ადამიანებს ვაუპატიურებდი იმ სამალავებშიო?!

**უკრაინაში ცოტა ხნის წინათ დაკავებულმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა მეგის ქარდავამ მედიასთან პირველი განმარტება გააკეთა და ქართული მართლმსაჯულების მიერ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე ისაუბრა. ქარდავას თქმით, სამეგრელოში, სამალავები კი არა, სპეციალური საიდუმლო ობიექტები არსებობდა, რომლებიც, რუსეთისგან შესაძლო აგრესიის შემთხვევაში, თავდაცვის მიზნით უნდა გამოეყენებინათ: „სამეგრელოში, სამალავები კი არა, არსებობდა საიდუმლო ობიექტები და თავდაცვითი ზღუდეები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იყო რუსული აგრესიის შეკავება და მასთან გამკლავება. ეს ობიექტები არ წარმოადგენდა საკუთრებას. ის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით გამოიყენებოდა“.**



**ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი და აწ უკვე დაპატიმრებული ქარდავა აღნიშნავს, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში სამეგრელოში სამართალდამცველების დანაყოფი არსებობდა, რომელმაც შეძლო იდეალური წესრიგის დამყარება არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ოკუპირებული გალისა და მისი სოფლების ტერიტორიებზეც. „სამეგრელოში არსებობდა ძალზე ეფექტური სამართალდამცველების დანაყოფი, რომელიც პირნათლად და ღირსეულად ასრულებდა მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. სწორედ მათი დამსახურება იყო ის, რომ შეძლეს იდეალური წესრიგის დამყარება არა მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე, არამედ ოკუპირებული გალისა და მისი სოფლების ტერიტორიაზეც. სწორედ მათი თავდადების შედეგად გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა არაერთი ტერორისტული აქტი. სწორედ ამიტომ კვლავ რუსეთის სპეცსამსახურების სამიზნე გავხდით“, — განაცხადა მეგის ქარდავამ.**

**რას ემსახურებოდა რეალურად სამეგრელოს ტყეებში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აღმოჩენილი სამალავები, პრინციპულია თუ არა ქართული მართლმსაჯულება ადამიანების წამებაში, გაუპატიურების ორგანიზებასა და წამებით მკვლელობაში ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსნის მიმართ და რაში გამოიხატებოდა ქარდავას მიერ ნახსენები სამართალდამცველების ეფექტიანი მუშაობა სამეგრელოში — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კახა მიქაია.**

**— ბატონო კახა, უკრაინელი სამართალდამცველების მიერ დაკავებულმა მეგის ქარდავამ განაცხადა, რომ სამეგრელოში არანაირი სამალავი არ არსებობდა და ეს ობიექტები საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას ემსახურებოდაო. თქვენ, როგორც წლების განმავლობაში სააკაშვილის რეჟიმთან აქტიურად დაპირისპირებული ოპოზიციური მოძრაობის წარმომადგენელი, რას უპასუხებთ მას? რისთვის იყო რეალურად ეს „ობიექტები“ განკუთვნილი?**

— აბა, რას იტყვის მეგის ქარდავა?! რა, ვინმე ელოდებოდა, რომ განაცხადებდა, — ადამიანებს ვაუპატიურებდით იმ სამალავებშიო?! ქარდავას წინააღმდეგ საქმეებიც აღძრულია, მისჯილიც აქვს კონკრეტული სასჯელი წამების გამო და რაზეა საუბარი?! **მეგის ქარდავა იყო მთავარი გამაუპატიურებელი და ჯალათი სამეგრელოში,** თუმცა აქვე არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც — ქარდავა არ იყო დამგეგმავი იმ უბედურებებისა, რომლებიც „ნაცრეჟიმის“ მმართველობის პერიოდში დატრიალდა, მეგის ქარდავა შემსრულებელი გახლდათ. თქვენ იცით, როგორ ვუპირისპირდებოდი ქარდავას ან ახალაიების კლანს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, ყველაფერი ქარდავას დაბრალდეს. ამით, ჯერ ერთი, სააკაშვილი აიცილებს პასუხისმგებლობას და მეორეც — თუ, ბოდიში და, ყველაფერს ქარდავასნაირ პაიკებს „შეტენიან“, დროთა განმავლობაში, შესაძლოა, „ნაცრეჟიმის“ რეაბილიტაციის საკითხიც დადგეს პოლიტიკურ დღის წესრიგში. ამის განხორციელების საშუალება არავის უნდა მიეცეს, თორემ ესენი ყველაფრის მკადრებლები არიან. ხვალ-ზეგ შეიძლება **როლანდ ახალაიამაც** თქვას, ქარდავას არ ვიცნობდიო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მეგის ქარდავა ასრულებდა **მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ადეიშვილისა** და **ახალაიების** ბრძანებებს, შესაბამისად, ყველა მკვლელობა, წამება, გაუპატიურება, რომლებიც იმ პერიოდში მოხდა, პირველ რიგში, ამ ადამიანების კისერზეა...

**«ამჟამინდელ ხელისუფლებას ახალაიებისდროინდელი კუდის აგენტები ჰყავს ქალაქების მერებად და გამგებლებად... ეს არის ფაროსანების ჯგუფი, რომელიც ხრავს «ქართულ ოცნებას»**

**— სააკაშვილმა განაცხადა: მეგის ქარდავას ცხოვრებაში არასოდეს შეხვედრივარ და მის შესახებ მხოლოდ მედიით მსმენიაო...**

— სააკაშვილმა ორჯერ დააჯილდოვა მეგის ქარდავა ორდენით. შეგიძლიათ პირდაპირ ასე დაწეროთ: მეგის ქარდავა იყო სააკაშვილის პირადი „შნირი“.

**— ინტერვიუში ქარდავამ ასევე განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში სამეგრელოში არსებობდა სამართალდამცველების ძალიან ეფექტიანი დანაყოფი, რომელიც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. რაში გამოიხატებოდა ქარდავას სამართალდამცველების ეფექტიანობა სამეგრელოში?**

— წამება, ცემა, გაუპატიურება, სისასტიკე, რომლითაც თითქოს კრიმინალს გამოუცხადეს ბრძოლა, მაგრამ სინამდვილეში უამრავი უდანაშაულო ადამიანი აღმოჩნდა ციხეში პოლიტიკური ნიშნით... ეს იყო ქარდავასა და მისი მბრძანებლებისთვის „ეფექტიანი მუშაობა“.

რაც შეეხება, საზოგადოდ, ძალოვნებს, არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: უდიდეს პატივს მივაგებ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს, მაგრამ ეს იყო დღე-ნახევარში სამარცხვინოდ წაგებული ომი. დღე-ნახევარში ომს არ აგებენ და არ გამორბიან ბრძოლის ველიდან. ამას სააკაშვილის გასაგონად ვამბობ. და კიდევ: ეფექტიანობაზე რომ ლაპარაკობს ქარდავა, მინდა, გაგახსენოთ, როგორ დაიცალა ზუგდიდი სამართალდამცველებისგან, როცა აფხაზეთიდან რუსეთის შეიარაღებული ძალები შემოვიდნენ. არაფერს ვამბობ პარლამენტის იმჟამინდელი თავმჯდომარის, **დავით ბაქრაძის,** მიმართვაზე მოსახლეობისადმი, თავი დანა-ჩანგლებით დაიცავითო...

**— წამება ახსენეთ და, ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, გაიხსენეთ კონკრეტული ფაქტები: რა სადამსჯელო მანქანა მოქმედებდა იმ პერიოდში სამეგრელოში?**

— სიმართლე გითხრათ, გახსენებაც არ მინდა. ყველამ ნახა ამათი „კასტილიანი“ კაცი და 30 ლარად დაქირავებული გამაუპატიურებლები, რომლებიც სულის ამოხდამდე აწამებდნენ ადამიანებს. ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი. ისედაც ყველამ იცის, როგორ აუპატიურებდნენ ბოთლით ადამიანებს, ან ცოცხით და ხელკეტით, გგონიათ, ვინმეს დაავიწყდა?!

**— დავუბრუნდეთ მეგის ქარდავას დაკავების საკითხს. ქართული მართლმსაჯულების მოთხოვნა ერთხელ უკვე უგულებელყო უკრაინამ, იგივე გააკეთა საფრანგეთმაც, როცა დავით კეზერაშვილის ექსტრადირების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. გაქვთ იმედი, რომ ქარდავას საქართველოს გადმოსცემენ?**

— ვარაუდებით ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ჩემი სურვილია, მიხეილ სააკაშვილი, ადეიშვილი, მეგის ქარდავა, ახალაიები და, საერთოდ, ყველა, ვისაც წვლილი მიუძღვის „ნაცრეჟიმის“ შექმნაში, მართლმსაჯულების წინაშე წარდგნენ. შეძლებს თუ არა ამას საქართველოს ხელისუფლება და აქვს თუ არა ამის ზურგი (არ მინდა სხვა სიტყვა ვიხმარო) ან რამდენად პრინციპული იქნება ის ექსტრადირების მოთხოვნისას, მომავალი გვიჩვენებს.

**— და თუ არ იქნება პრინციპული?**

— მაშინ უნდა იყოს საზოგადოების მწვავე პროტესტი, მაგრამ იქნება კი ეს პროტესტი?!

აქვე შევეხები კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს, რომელზეც, უკვე ხუთი წელია, ამაოდ ვსაუბრობ. **დღეს სამეგრელოში, და არა მხოლოდ სამეგრელოში, უამრავი ადამიანი, რომლებიც, როგორც ქარდავა ამბობს, წლების განმავლობაში „ეფექტიანად“ ემსახურებოდნენ „ნაცრეჟიმს“, ისევ თანამდებობებზე არიან, ანუ, დასაჯის ნაცვლად, კვლავ განაგრძობენ მუშაობას და ზოგი დააწინაურეს კიდეც.** სწორედ ამის გამო დავუპირისპირდი თავიდანვე „ქართულ ოცნებას“. ჩვენდა სამარცხვინოდ, დღევანდელ ხელისუფლებას ახალაიებისდროინდელი კუდ-ის აგენტები ჰყავს ქალაქების მერებად და გამგებლებად...

**— კონკრეტულად?**

— მაგალითად, ზუგდიდის მერი **ლაშა გოგია.** ის იყო კუდ-ის თანამშრომელი და მიმაჩნია, რომ როლანდ ახალაიას კუდ-ის თანამშრომელი არ უნდა იყოს დღეს ქალაქის მერი. **ედიშერ თოლორაია** — ყოფილი გამგებელი, დღეს პარლამენტარი „ქართული ოცნებიდან“, ნაციონალების მმართველობის პერიოდში ცნობილი იყო, როგორც არჩევნების მთავარი გამყალბებელი. რომელი ერთი ჩამოვთვალო? პოლიცია სავსეა სააკაშვილისდროინდელი ზონდერებით. კი, ვიღაცისთვის ამას კოაბიტაცია ჰქვია და ვითომ დემოკრატიული პროცესი, მაგრამ ჩემთვის და ჩემი თანამებრძოლებისთვის, რომლებსაც დაგვდევდნენ, გვიჭერდნენ, გვარბევდნენ და არ გვახარებდნენ, დღეს ძალიან ძნელი ასატანია ამ ჯალათებისა და სისხლისმსმელების ყურება მაღალ თანამდებობებზე.

**— ისე, საინტერესოა, როგორ და რის ფასად შეძლო ამ ხალხმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“, ასე ვთქვათ, გადაპორტირება“?**

— ზოგმა როგორ და ზოგმა როგორ. მაგალითად, **ბაკურ გულუა,** სოდ-ის ყოფილი უფროსი, რომელიც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მე და ჩემს მეგობრებს დაგვდევდა და პროვოკაციებს გვიწყობდა, დღეს სამეგრელო-ზემო სვანეთის გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსია და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენს; **გოგი ნაჭყებია,** სუს-ის ხელმძღვანელი ზუგდიდში, „ოცნებაში“ ნაციონალების მთავარი გადამპორტირებელია; ანალოგიური საქმიანობითაა დაკავებული **ედიშერ თოლორაიაც** და კიდევ ბევრი სხვა. მეტსაც გეტყვით, თოლორაია და ნაჭყებია თბილისიდან იღებენ ასეთ დავალებებს.

აი ასეთი ადამიანებითაა დღეს ხელისუფლების მაღალი ეშელონები დაკომპლექტებული. საზოგადოებამ თვითონ გამოიტანოს დასკვნა და დაარქვას ამ ყველაფერს თავისი სახელი. ჩემი აზრით კი, ეს არის ფაროსანების ჯგუფი, რომელიც ხრავს „ქართულ ოცნებას“ და „ოცნება“, ფაქტობრივად, კარიკატურულ ძალად აქცია ამ ხალხმა. „ოცნება“ სამეგრელოში არ არსებობს, ის, დიდი ხანია, რომაული მითოლოგიის ღმერთს, ორსახა იანუსს, დაემსგავსა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მოვლენა

## უკრაინელების ახალი ნაციონალური იდეა: უკრაინა აშშ-ის ოფიციალურ კოლონიად უნდა იქცეს

**„უკრაინას გადაარჩენს მხოლოდ გარედან მართვა აშშ-ის მიერ“, — განაცხადა ჟურნალისტმა დიმიტრი გორდონმა ტელეარხ „112 უკრაინა“-ს ეთერში.** ჟურნალისტის თქმით, კორუფცირებული პირებისგან, რომლებიც ხელისუფლებაში ერთმანეთს ცვლიან, ქვეყნის გათავისუფლების სხვა გზა არ არსებობს.

„ზოგჯერ ვფიქრობ, როგორ გავარღვიოთ ეს მანკიერი წრე და, ჩემი აზრით, დღეს ერთი გამოსავალი არსებობს. ვიტყვი და ბევრი დაიწყებს ფურთხებას, მხოლოდ გარედან მართვა გვიხსნის, თანაც არა ევროპიდან, რადგან ევროპას თავისი პრობლემები ჰყოფნის. მხოლოდ ამერიკის მმართველობა გადაგვარჩენს, სხვა გზას ვერ ვხედავ“, — განაცხადა გორდონმა.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის «ტორპედოებამ» ქვეყანაში, დესტაბილიზაციის მიზნით, ტერაქტების სერია მოაწყონ»



## ტრისტან წითელაშვილი: ოდესის ყოფილ გუბერნატორს დავალებული აქვს, გააღვივოს საბრძოლო მოქმედებები უკრაინაში და დონბასის ლოკალური კონფლიქტი გადაზარდოს სრულმასშტაბიან ომში

**საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქართველოდან უკრაინაში ბევრი მეომარი წავიდა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, არიან ისეთებიც, რომლებიც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილს გაჰყვნენ და დღემდე ერთგულად ემსახურებიან. ამ ადამიანებს უკრაინის ხელისუფლება ვითარების დესტაბილიზაციაში ადანაშაულებს და ცდილობს, საქართველოში დააბრუნოს. ზოგი უკვე ჩამოვიდა, დანარჩენებსაც ამზადებენ დეპორტაციისთვის. როგორც ჩვენმა რესპონდენტმა, სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა გვაცნობა, უკრაინის ხელისუფლებას 50-კაციანი სია უკვე მზად აქვს და ამ პირებს ახლო მომავალში საქართველოს გადმოსცემს, მათ შორის არის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპატრამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავაც.**

— უკრაინაში ბევრი ჩემი კოლეგა აქტიურად არის ჩართული პროცესებში და სწორედ მათგან ვიცი, რომ მაიდანზე მომხდარ სისხლისღვრაში სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მომზადებული „ბოევიკებიც“ მონაწილეობდნენ. ეს იყო ქართველ სნაიპერთა ოთხკაციანი ჯგუფი, რომელიც ამერიკელი სამხედროს, **ქრისტოფერ ბრაიანის**, დავალებას ასრულებდნენ. ახალი ამბავი არავისთვის აღარ არის, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესების დაძაბვა და არეულობის გამოწვევა ამერიკის შეერთებულ შტატებს აძლევდა ხელს, ჰოდა, სადაც ამერიკაა, იქ არის სააკაშვილიც.

**— გინდათ, თქვათ, რომ 2014 წელს კიევში, მაიდანზე, ქართველმა სნაიპერებმა ატეხეს სროლა, რომელსაც ათეულობით ადამიანი ემსხვერპლა?**

— იქ სხვებიც იყვნენ, მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ **სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში გამოწვრთნილი „ბოევიკები“ და სნაიპერები, რომლებიც საქართველოშიც უამრავ სისაძაგლეს სჩადიოდნენ, კიევში, მაიდანზე დატრიალებულ სისხლისღვრაშიც მონაწილეობდნენ.** ისინი სააკაშვილის ბრძანებას ასრულებდნენ... ერთ-ერთი ბრძანება იყო მაიდანზე სროლის ატეხვა, მიზანი კი — სნაიპერების მიერ ადამიანების დახოცვა უკრაინის იმჟამინდელი პრეზიდენტისთვის, **იანუკოვიჩისთვის,** დაებრალებინათ და მისი ხელისუფლების დამხობის პროცესი შეუქცევად რეჟიმში გადაეყვანათ. საქართველოში ყველამ ვიცით, რომ ამერიკელ „მეგობრებთან“ შეუთანხმებლად სააკაშვილი ნაბიჯს არ დგამს.

**— გამოდის, რომ აშშ-მა სააკაშვილი პოროშენკოს წინააღმდეგ „ამოქოქა“. რატომ, რას ერჩის ვაშინგტონი მორჩილ პრეზიდენტს?**

— პოროშენკომ სრულყოფილად ვერ შეასრულა დასავლეთის გეგმა, მან უკრაინა ბოლომდე ვერ ჩააბა რუსეთთან ომში, ამიტომ ამერიკელებისთვის არასასურველი პრეზიდენტი გახდა. სამაგიეროდ, ვისაც შეუძლია ბოლომდე გაანადგუროს უკრაინა, ეს არის სააკაშვილი და მისი გამოყენებაც ამიტომ გადაწყვიტა დასავლეთმა.

როდესაც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი უკრაინაში მიდიოდა პოლონეთის გავლით, მას თავისი „ზონდერების“ იმედი ჰქონდა, ადამიანების, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ. იქ იყო **კობა ხაბაზიც.** სააკაშვილის გუნდს რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა შემუშავებული თავისი ლიდერის უკრაინაში შესაყვანად.

გახსოვთ, ალბათ, რომ იმ დღეებში, როდესაც სააკაშვილი უკრაინის საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა, განაცხადეს, საზღვრის მიმდებარე ტერიტორია დანაღმულიაო, და მართლაც, სააკაშვილის გეგმის მიხედვით, ტერიტორია დანაღმული უნდა ყოფილიყო, რაც გამოიწვევდა ადამიანების დაღუპვას. ამით საშუალება მიეცემოდათ, პოროშენკოს დასხმოდნენ თავს; გამოაცხადებდნენ, — პრეზიდენმა ხალხი დახოცაო. ეს გეგმა ჩაუვარდათ. პოროშენკომ საერთოდ შეაჩერა საზღვარზე ხალხის გადასვლა, სანამ ტერიტორიები არ შემოწმდა და არ დარწმუნდა, რომ სუფთაა.

**ოდესის ყოფილ გუბერნატორს დავალებული აქვს, გააღვივოს საბრძოლო მოქმედებები უკრაინაში და დონბასის ლოკალური კონფლიქტი გადაზარდოს სრულმასშტაბიან ომში.** უკრაინის მხარეს მზად აქვს ქართველი „დაქირავებულების“ 50-კაციანი სია. ამ ადამიანების დეპორტაცია ახლო მომავალში უნდა განახორციელონ. ყველანი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ, სააკაშვილის დაქვემდებარებაში მყოფთ უკრაინაში არეულობის მოწყობის, სახელმწიფო გადატრიალების ბრძანება ჰქონდათ მიცემული. ეს სია საბოლოო არ არის. უკრაინიდან დეპორტაცია, სავარაუდოდ, ასობით სხვა ქართველ „დაქირავებულს“ მოუწევს.

უკრაინა ნელ-ნელა ახორციელებს „ბოევიკების“ დეპორტაციას, ჯერ 4 ადამიანი გამოუშვეს, შემდეგ — 6. დაიჭირეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი **მეგის ქარდავა.**

ქართველი ე.წ. მებრძოლები, რომლებიც უკრაინაში იღუპებიან, არც ერთი არ დაღუპულა საბრძოლო მოქმედებების დროს, მათი ლიკვიდაცია სხვადასხვა ადგილას

**გასულ კვირაში თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი). რუსეთის ეკლესიის მაღალმა იერარქმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, შეხვედრისას, რუსეთის პატრიარქ კირილესგან მოკითხვა გადასცა და მოსკოვში დაპატიჟა, სადაც ა.წ. 4 დეკემბერს გაიმართება რუსეთში პატრიარქის ინსტიტუტის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა-ლოცვა. საქართველოს პატრიარქმა განაცხადა, რომ აუცილებლად ჩავა მოსკოვში, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა მისცემს საშუალებას.**

# თუ გვინდა, გადავრჩეთ, ჩვენი ადგილი რუსეთის პოლიტიკურ-ეკლესიურ ფარვატერში უნდა ვეძებოთ



მიტროპოლიტმა ილარიონმა ჩვენს პატრიარქს აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული პრობლემების მოგვარების საქმეში რუსეთის ეკლესიის სრული თანადგომა აღუთქვა და ამ საკითხზე რუსულ-ქართული ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა შესთავაზა, ორივე მხრიდან სამ-სამი წევრის მონაწილეობით.

**ქართულმა ტელევიზიებმა მხოლოდ ორი „თეოლოგ-ექსპერტის“ მოსაზრება გაგვაცნეს. მათგან ერთმა ოკუპანტ რუსეთში ჩვენი პატრიარქის ჩასვლა დაუშვებლად მიიჩნია, ხოლო მეორემ პირიქით, ოკუპაციის მიუხედავად, რუსეთთან დიალოგს დაუჭირა მხარი.**

აი, სულ ეს იყო, რაც ჩვენმა ლიბერასტულმა ტელევიზიებმა გაიმეტეს ამ მართლაც უმნიშვნელოვანესი ფაქტის გაშუქებისას.

არც ჩვენ თვალწინ „რუსთავი 2“-ად ქცეულმა „ტელეიმედმა“, რომლის ჟურნალისტები შესაშური ერთსულოვნებით არიან შემართული მამათმავლებისა და ლესბოსელების დასაცავად და ეროვნული სულისკვეთების გასამარგინალებად, და არც სხვა არხებმა, საჭიროდ არ მიიჩნიეს ხსენებული ვიზიტის ირგვლივ ტელედებატების მოწყობა. ვიზიტისა, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის.

თითქმის იგივე სურათია ბეჭდურ მედიაში: არავითარი კონკრეტიკა, რა პრობლემებია აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში, რა „ჩამოგვიტანა“ რუსეთის ეკლესიის მაღალმა იერარქმა და, აქედან გამომდინარე, სერიოზული ანალიზი, პოლიტიკოსთა კომენტარები, როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემები.

დიახ, პოლიტიკოსთა, რადგან მეუფე ილარიონის ვიზიტი, უწინარესად, პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა და არა თეოლოგიურს.

მოკლედ, ამ ვიზიტზე ინფორმაციის მოსაპოვებლად ქართული საინფორმაციო საიტები, რომ იტყვიან, ამაოდ ვქექე. „მხსნელად“ ისევ „რუსი ოკუპანტების“ საინფორმაციო საშუალებები მომევლინა, რომლებზეც გადავაწყდი ჩემთვის საჭირო ცნობას, რომელსაც მკითხველს ვთავაზობ.

წერილში სათაურით „საქართველოსა და რუსეთის ეკლესიები აფხაზეთში „რასკოლნიკების“ წინააღმდეგ გამოვიდნენ“, ზემომოყვანილი მწირი ინფორმაციის გარდა, ვკითხულობთ:

**„მიტროპოლიტმა ილარიონმა (ალფეევი) ილია მეორესთან საუბრისას განაცხადა, რომ რომელიღაც ჯგუფმა მიიტაცა ახალი ათონის მონასტერი აფხაზეთში, იკავებს წმინდა სავანეს და თავი მიტროპოლიადაც კი გამოაცხადა.**

**ამას გარდა, ეს ჯგუფი ლოცვებში მოიხსენიებს არა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, არამედ მსოფლიოს პატრიარქს, ანუ კონსტანტინოპოლის პატრიარქს...**

**„რომელიღაც ჯგუფში“ მიტროპოლიტმა ილარიონმა იგულისხმა „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია“ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილი კლირიკის, არქიმანდრიტ დოროთეს (დბარი) ხელმძღვანელობით.**

**პატრიარქ კირილეს დესპანმა ქართველ იერარქებს შესთავაზა სპეციალური ორმხრივი ჯგუფის შექმნა მოსკოვისა და თბილისის საერთო პოზიციების შესამუშავებლად საეკლესიო პრობლემების მიმართ აფხაზეთში, რომელმაც 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოსგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მოსკოვმა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. უმრავლესობა ქვეყნებისა ამ დამოუკიდებლობას არ ცნობს და აფხაზეთს საქართველოს ნაწილად მიიჩნევს.**

**რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს საქართველოს ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის ურღვევობას.**

**დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს და რუსეთის ეკლესიებს შორის „განხეთქილების ვაშლი“ წმინდა მოციქულ სიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის მონასტრის კუთვნილების საკითხი იყო.**

**რამდენიმე წლის წინათ აფხაზი სასულიერო პირების ჯგუფი, არქიმანდრიტ დოროთეს ხელმძღვანელობით, ახალი ათონის მონასტერში დამკვიდრდა. მათ განაცხადეს, რომ ამიერიდან აფხაზეთის ეკლესია პირდაპირ დაექვემდებარება კონსტანტინოპოლის პატრიარქს და არა რუსეთის ან საქართველოს ეკლესიების მეთაურებს.**

**რამდენიმე წლის წინათ ილია მეორე დათანხ-** ▶

**იყო ასეთი პიროვნება შადმან ვალავი — მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი, რომელიც ვითომ გვეხმარებოდა... გვეუბნებოდა, თუ ფერად ლითონს არ გაყიდით, დახმარებას ვერ მიიღებთო. ჰოდა, ჩვენებმაც ყველაფერი გაყიდეს, ჩვენგან წაღებული ლითონით თურქეთი ამოძრავდა, მაგრამ ჩვენთან რა მოხდა? — ბიუჯეტში არც ერთი კაპიკი არ შევიდა. საქართველო გაიყიდა და ხალხი გაღატაკდა.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საეჭვო ვითარებაში ხდება.

**სააკაშვილი განწირულია. ის უკრაინიდან, ფაქტობრივად, გამოგდებულია და მალე მისი დეპორტაციაც მოხდება, თანაც ძალიან მალე, მაგრამ ხელისუფლებას აქ მცირერიცხოვანი დაჯგუფების შიში აქვს და ამის გამო საქართველოში მის ჩამოყვანაზე უარს ამბობს.** სააკაშვილი უნდა ჩამოვიყვანოთ და გავასამართლოთ ისე, რომ მსოფლიომ დაინახოს, როგორ ისჯებიან საქართველოში დამნაშავეები.

**— შესაძლებელია თუ არა, რომ სააკაშვილის ლიკვიდაცია მოხდეს უკრაინაში? ოდესის ყოფილ გუბერნატორს უამრავი მტერი ჰყავს...**

— სააკაშვილი იმდენ ბინძურ დავალებას ასრულებდა და ასრულებს **მაკეინისა** და დასავლეთის მითითებით, რომ მის ლიკვიდაციას არ გამოვრიცხავ. მიშას თანაგუნდელების უგზო-უკვლოდ გაუჩინარებაც შემთხვევითი არ არის; მაქვს ინფორმაცია, რომ ადამიანები, რომლებსაც არაკონვენციურ საბრძოლო დავალებას ასრულებინებდნენ, შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში უჩინარდებოდნენ.

**— თუ არის იმის საშიშროება, რომ უკრაინაში, სააკაშვილის გვერდით მდგომმა ე.წ. ბოევიკებმა საქართველოში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ? ჩვენ გვახსოვს სააკაშვილის რეჟიმთან დაახლოებული პირი, ვინმე ახმედ ჩატაევი, რომელიც ჯერ ლაფანყურის სპეცოპერაციაში მონაწილეობდა, ხოლო მოგვიანებით სტამბოლში, ათა თურქის სახელობის აეროპორტში ტერაქტის მოწყობაში იყო ეჭვმიტანილი...**

— **ჩატაევი** იყო ტერორისტებთან დაახლოებული დივერსანტი, რომელსაც პირადი მიზნებისთვის იყენებდა სააკაშვილი. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ სააკაშვილის დაჯგუფების წევრები სახიფათონი არიან, ასრულებენ ყველა დაკვეთას და მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. მათგან 8 კაცი უკვე საქართველოშია — სააკაშვილის ძალიან საშიში რვა პირადი ტორპედო. შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე ვუთხარი, რომ უკრაინიდან ე.წ. დაქირავებული ადამიანების უკონტროლო გადმოსვლა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს. არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის „ტორპედოებმა“ ქვეყანაში, დესტაბილიზაციის მიზნით, ტერაქტების სერია მოაწყონ. უკრაინიდან ჩამოსული სააკაშვილის „ბოევიკები“ სასწრაფოდ იზოლაციაში უნდა მოექცნენ. შეურაცხადი სააკაშვილის მითითებების უპირობოდ შემსრულებელი 50 „ტორპედოს“ საქართველოში შემოსვლას ეხუმრებით? შეიძლება ჩატაევი მოგვენატროს კიდეც...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

**◀ მდა ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიის მმართველობაში გადაცემას, მაგრამ აფხაზმა სასულიერო პირებმა რუსეთის ეკლესიის მიერ წარგზავნილი კლირიკი არ შეუშვეს მონასტერში, და ახლა იქ „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია“ გამოაცხადეს“.**

ვფიქრობ, მკითხველისთვის ყველაფერი ნათელია შესაბამისი დასკვნების გამოსატანად, მაგრამ შეგნებული თუ შეუგნებელი ხლისტების გასაგონად ვიტყვი:

პირველი და უმთავრესი არის ის, რომ რუსეთის ეკლესია, მიუხედავად ყველაფრისა, აღიარებს საქართველოს ეკლესიის კანონიკურ საზღვრებს და შემდგომი მსჯელობა აქედან გამომდინარე უნდა განვაგრძოთ.

**რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მეცადინეობითა და რუსეთის პოლიტიკური ზეწოლის (ვფიქრობ, რუსეთის ბერსა თუ ერს, უკვე ყელში აქვს ამოსული აფხაზი „რასკოლნიკების“ თავხედობა) შედეგად, ილორისა და ბედიის ტაძრების მყისიერი დაბრუნება თუ არა, ამ უძველეს ტაძრებში უახლოეს ხანში თუნდაც მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებზე ქართულად ღვთისმსახურების ჩატარება რეალური პერსპექტივაა!**

რუსეთის პოლიტიკური თუ საეკლესიო ხელმძღვანელობა არ დაუშვებს, რომ ე.წ. აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია მსოფლიოს პატრიარქს დაექვემდებაროს, რადგან, ჯერ ერთი, მსოფლიოს პატრიარქ **ბართლომეს** გავლენა კონსტანტინეპოლის ეკლესიის გალავანს იქით არ ვრცელდება, და მეორე — საიდუმლო არავისთვის არის, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიას, ერთი მხრივ, თურქეთი აფინანსებს და აკონტროლებს და, მეორე მხრივ, აშშ-ის სპეცსამსახურები.

ამიტომაც მოგვევლინა ბართლომე I ამას წინათ საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე ეკუმენისტური (ლიბერასტული) მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის ინიციატორად. კრებისა, რომელსაც, რუსეთის ეკლესიის მსგავსად, არც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაესწრო.

**დღეს უკვე ბრმისთვისაც ნათელია, რომ მიმდინარეობს გადამწყვეტი შეტევა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე და სრულიად მართლმადიდებლობაზე, და, თუ გვინდა, ამ ბრძოლაში გადავრჩეთ, ჩვენი ადგილი რუსეთის პოლიტიკურ-ეკლესიურ ფარვატერში უნდა ვეძებოთ.**

ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს ეკლესია.

ციანიდის სკანდალით საკმაოდ კომპრომეტებულ და გახლეჩილ დედაეკლესიაში რომელი გუნდი გაიმარჯვებს: მეუფე იობის მსგავსი კონსერვატორები თუ მეუფე პეტრეს მსგავსი ლიბერასტი ყანდურები — აი, ამაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს ეკლესიის და, საერთოდ, ქვეყნის მომავალი. ახლაც, როგორც 200 წლის წინათ **მეფე ერეკლე**, დილემის წინაშე ვდგავართ — ან მართლმადიდებლობა, ზნეობა და, აქედან გამომდინარე, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება ან ლიბერასტ-ხლისტობა და გადაგვარება-გადაშენება.

არჩევანი შენზეა, „ჩემო სამშობლო მხარეო“...

**დავით მხეიძე**

---

ჯუმბერ პატიაშვილი:

# ძნელი საყურებელია გაყიდული საქართველო, ვიღუპებით და შიმშილით სიკვდილი გვემუქრება

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში (№40, 2017წ.) გამოქვეყნდა ინტერვიუ ჯუმბერ პატიაშვილთან. ის თავის წიგნზე „23 წლის შემდეგ“ და ამ წიგნის მიხედვით გადაღებულ ფილმზე „სიკეთე მაინც მოვა“ გვესაუბრა. ბატონი ჯუმბერი თავის გულისტკივილს ამჯერად ერისთვის მტკივნეულ საკითხზე გვიზიარებს — გაყიდულ საქართველოზე.**



— როგორი ქვეყანაც მინდოდა ყოფილიყო საქართველო, იქიდან არაფერი დარჩა... ეს ყველაფერი გულს მიკლავს, ვხედავ, როგორ ირყვნება საზოგადოება...

საზოგადოების დამახინჯება დიდი ხნის წინათ დაიწყო. **ვინც სიმართლე თქვა, დაისაჯა, ხოლო დამნაშავენი კვლავ თანამდებობებზე არიან, ისტორიის, აწმყოს, მომავლის, არჩევნების გამყალბებლები.**

პოლიტიკაში მოსვლის მსურველების ჯანმრთელობა აუცილებლად უნდა შემოწმდეს. ყველამ უნდა იცოდეს, როგორი ბავშვობა ჰქონდათ. ამას სერიოზულად ვამბობ.

დღეს სექსუალური გადახრების მქონე ადამიანებზე ბევრს საუბრობენ. ეს მოვლენა ახალი არ არის, ასეთი ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ ადრე ამის ტირაჟირება, პროპაგანდა არ ხდებოდა, არ ვამჟღავნებდით, არც შეურაცხვყოფდით. ნიჭიერს ვაფასებდით, უნიჭომ კი თავისი ადგილი იცოდა.

**— დღეს ჩვენი საუბრის თემა გაყიდული საქართველოა. როდის და ვინ დაიწყო საქართველოს ნაწილ-ნაწილ გაყიდვა?**

— საქართველოს გაყიდვა მაშინ დავიწყეთ, აფხაზეთში ტანკებით რომ შევედით. ტანკით ასაღები იქ არაფერი იყო. ამ ომიდან, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ დამარცხებული საქართველო იქნებოდა. ჩემს წიგნზე „23 წლის შემდეგ“ ერთმა კაცმა მითხრა: კარგი წიგნია, 95%-ში გეთანხმებით, მაგრამ 5%-ში არაო. აფხაზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ბორის ადლეიბა** არ უნდა გაგეთავისუფლებინათ თანამდებობიდანო. არადა, ბორის ადლეიბამ მაშინ ხელი მოაწერა საქართველოდან აფხაზეთის გასვლაზე. არ შეიძლებოდა მისი თანამდებობაზე დატოვება... ეს ვრცელი თემაა. მოდი, შეკითხვას დავუბრუნდები — მიწები გაიყიდა, არადა, შესაძლებელი იყო, სოფელს, თემს დარჩენოდა და მას დაემუშავებინა. ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ინვესტიციის მოზიდვის მიზნით მიწების გაყიდვას, რადგან ეს არის ბლეფი.

მიწის გაყიდვას აუცილებლად მოჰყვება საწარმოების გაყიდვაც. ასეც მოხდა — პირველი რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გაიყიდა, შემდეგ — ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა და მიჰყვა და მიჰყვა.

**— როგორ გაიყიდა და ვინ იყიდა ეს ქონება?**

— როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველოს მოსახლეობას ჰქონდა ქონება, დანაზოგი (საუბარია მილიარდებზე), რომელიც ისე დაიყვანეს ნულზე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. ასეთი რამ არ მომხდარა არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. ქართული მრეწველობა, საწარმოები, უნიკალური ჩარხებითურთ, ჯართის ფასად გაიყიდა. დიახ, იყიდებოდა ლითონი. **იყო ასეთი პიროვნება შადმან ვალავი — მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი, რომელიც ვითომ გვეხმარებოდა... გვეუბნებოდა, თუ ფერად ლითონს არ გაყიდით, დახმარებას ვერ მიიღებთო. ჰოდა, ჩვენებმაც ყველაფერი გაყიდეს, ჩვენგან წაღებული ლითონით თურქეთი ამოძრავდა, მაგრამ ჩვენთან რა მოხდა? — ბიუჯეტში არც ერთი კაპიკი არ შევიდა. საქართველო გაიყიდა და ხალხი გაღატაკდა.**

## «უმდიდრესი ქვეყანა იყო საქართველო და ულატაკესად იქცა»

მას შემდეგ დაიწყო ამ ქვეყანაში ყველაფრის გაყიდვა ერთ ლარად, ამას აკეთებდა ჯგუფი, რომელიც 1990-იან წლებში ხელისუფლებაში იყო. მათ სურდათ, დიდძალი ქონება ჩალის ფასად შეესყიდათ და შეისყიდეს კიდეც. არავინ კითხულობდა, რატომ იყიდეს ერთ ლარად, რით დაიმსახურეს, რა გაუკეთეს ამ ქვეყანას... ტენდენცია გაგრძელდა და დღემდე არ წყდება.

**იყიდებოდა უძვირფასესი შენობა-ნაგებობები, ქარხნები, ფაბრიკები, სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც მილიონებად იყო შეფასებული... გაიყიდა კაპიკებში, თანაც ისე, რომ მყიდველის ვინაობა ხეირიანად არ ვიცით, რადგან, როგორც კახა ბენდუქიძე ამბობდა, ყველაფერი ოფშორულ ზონებშია დარეგისტრირებული...**

ან ის რად ღირს, რაც თვითონ ბენდუქიძემ ჩაიდინა: კაპიკებში იყიდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები თავის მიწიანად. დღეს ის ცოცხალი აღარ არის, მისი ქონება კი დარჩა მის შვილს, რომელიც საქართველოში არ ცხოვრობს და არც არასოდეს იცხოვრებს, სამაგიეროდ, უდიდესი ქონების (ლამის ნახევარი საქართველოს) მფლობელია.

**დღემდე ვერ გავრკვეულვარ, როგორ მოახერხეს მილიარდობით ანაბრის გატანა ანგარიშებიდან, რა მექანიზმი შეიმუშავეს. ფაქტია, რომ მოსახლეობა მოატყუეს, უთხრეს, ფული გაორმაგდებაო, მაგრამ გააღატაკეს, ის ადამიანები ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ, ყველაფერს ფარდა თუ აეხდება, იქნებ აღარ განმეორდეს მსგავსი რამ.**

უმდიდრესი ქვეყანა იყო საქართველო და ულატაკესად იქცა. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები კი აშენდნენ, მათ შორის ისეთებიც, რომლებშიც სისხლისღვრა იყო.

ძნელი საყურებელია გაყიდული საქართველო, ვიღუპებით და შიმშილით სიკვდილი გვემუქრება. გადაწყვეტილება ფრთხილად უნდა მივიღოთ... **სისულელეებზე ვყვირით, მაშინ, როცა ქვეყანა გაყიდეს.** რაც არ არის გაყიდული, ინგრევა, შესყიდული შენობები უყურადღებობით ნადგურდება. იყიდეს და მორჩა...

ხელისუფლებაში ჩემი ყოფნის პერიოდში 19 უმაღლესი სასწავლებელი იყო საქართველოში, მათი შემცირება მინდოდა. როდესაც საქართველო „დამოუკიდებელი“ გახდა, 250 უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა. ზოგ რაიონში შვიდი უმაღლესი სასწავლებელი ამოქმედდა, ზოგის რექტორი ინჟინერი იყო. მოკლედ, ქვეყანას 100 ათასი სტუდენტი ჰყავდა... **თუ გინდა, ერს საძელი დააკისრო, ყველას უნდა მისცე უმაღლესი განათლება...**

ყველასთვის უმაღლესი განათლების მიღებას საფუძველი ცოტა ადრე ჩაეყარა. ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ 35 ათასი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა და ეს მაშინ შევიტყვე, როდესაც ლენინგრადში ჩხუბის გამო დააპატიმრეს ერთი ქართველი სტუდენტი, რომელმაც მილიციაში ახსნა-განმარტება ვერ დაწერა... ინფორმაცია გაზეთში გამოქვეყნდა და ეს ამბავი ჩემამდე ასე მოვიდა. დავიწყე კვლევა და აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის 365 უმაღლეს სასწავლებელში 35 ათასი ქართველი სწავლობდა და ბევრმა მათგანმა რუსული არ იცოდა. კალინინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იმდენი ქართველი სწავლობდა, რომ ბოლოს კავკასიის სახელობის ინსტიტუტს უწოდებდნენ. თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტში პირველ კურსზე 800 სტუდენტი სწავლობდა, ხოლო ინსტიტუტს 1200 ამთავრებდა. აი, ეს არის ქვეყნის გაყიდვა, ეს არის ღალატი. ამის გამოსწორება რომ დავიწყე, უამრავი მტერი გავიჩინე.

ერთ ლარად გაყიდულ საქართველოზე რომ ვისაუბროთ, უნდა გამოქვეყნდეს ყველა დოკუმენტი, ყველას სახელი და გვარი, ვინც ეს ქონება მუქთად ჩაიგდო ხელში, მაგრამ ახლა, ალბათ, ძალიან ძნელი იქნება ამის დადგენა...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელმა მწერალმა ქალმა კრისტინა ბეიკერ კლაინმა ბრალი დასდო აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს (უფროსს) სექსუალურ ძალადობაში. ბილ კლინტონის „მონიკალევინსკიადას“ შემდეგ რა უნდა გაგვიკვირდეს, ერთი უხერხულობა რომ არა: მამა ჯორჯ ბუში ახლა 93 წლის არის და კრისტინა კლაინი ისეთი რა ზებუნებრივი მშვენიერებით იყო დაჯილდოებული, რომ ბაბუ ბუში აღეგზნო და სექსუალური გმირობის ჩასადენად თავი გადაედო.**



## ამძუვნებული მამათმავლობა

**მამამ საკუთარი ვაჟი გააუპატიურა, დედა არ შეწინააღმდეგებია. ასეთ წარმოუდგენელ საზიზღრობაზე წერს გაზეთი Daily Mail.**

მსახიობ **კევინ სპეისის** ძმამ **რენდალ ფოულერმა** ბრალი დასდო თავის მამას — **თომას ჯოფრი ფოულერს** გაუპატიურებაში. დედამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია 4 წლის განმავლობაში, რაც ეს უბედურება გრძელდებოდა.

მაშინ 12 წლის იყო ბიჭი.

რენდალ ფოულერმა ისიც თქვა, უფროსი ფოულერი ამერიკულ ნაცისტურ პარტიაში შევიდა და ადოლფ ჰიტლერის ულვაშიც დაიმშვენაო.

ამის მოწმე კევინი საკუთარ თავში ჩაიკეტა და შინიდან გაიქცა.

30 ოქტომბერს კევინ სპეისიმ განაცხადა, რომ „გეის ცხოვრებას ირჩევს“. ეს მან მას შემდეგ თქვა, როცა მსახიობმა **ენტონი რეპმა** არ დამალა, რომ კევინი სექსუალურად ეღლაბუცებოდა. არ გაინტერესებთ როდის? 1986 წელს, როცა იგი 14 წლისა იყო, სპეისი — 26-ის.

დედა, ეს რა პედერასტული სექსუალური წარსული ჰქონიათ ამერიკელ მსახიობებს?!

აი, თუნდაც, ამერიკელი შავკანიანი მსახიობის, პროფესიონალი ფეხბურთელის — **ტერი კრუსის** მაგალითი ავიღოთ, რომელმაც ახლახან განაცხადა, რომ 2016 წელს ჰოლივუდის ერთმა ცნობილმა ტოპმენეჯერმა, რომლის გვარსაც არ ასახელებს, სასქესო ორგანოზე ხელი წაავლო. ამ მამათმავლური ამძუვნების უნებური მოწმე კრუსის ცოლი იყო.

გადაირია ქალი, გაგიჟდა კაცი და მოძალადეს ცხვირპირის გაერთიანება მოუნდომა, მაგრამ, როგორც ახლა აცხადებს, ვერ გაბედა, რადგან კანონისა და მასმედიის რეაქციის შეეშინდა.

საინტერესოა, არა? **ნორმალურ მამაკაცს შეეშინდა კანონის, რომელიც მაინცდამაინც მამათმავლების დასაცავად არის შექმნილი, პრესა კი დაუყოვნებლივ ჰომოფობად მონათლავს ყველას, ვინც აგრესიულ პედერასტზე ხელს აღმართავს... მიუხედავად იმისა, რომ ხელის წამვლები სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ის ნაკაცარია.**

კანონებიც მისნაირების მიღებულია და პრესა, როგორც ჩანს, აღარ კმაყოფილდება „მსოფლიოში მეორე უძველესი პროფესიის“ სახელით და უახლესი, უგავრცელებულესი სექსუალური გაუკუღმართებულობის პირველ რიგებში გადასანაცვლებლად იღვწის.



კევინ სპეისი ძმასთან — რენდალთან ერთად

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის «სექსუალური ვნებანი»?!

**სექსუალური ძალადობის ეპიდემია, რომელიც ამერიკელ კინოპროდიუსერზე თავდასხმით დაიწყო, ბრიტანელ პარლამენტარებზე გავრცელდა. „სად დავკარ და სად გასკდაო?!“**

მთლად ასეც არ არის, რადგან ჯერ იქ გასკდა, სადაც დაჰკრეს, შემდეგ გავრცელდა ბებერ ევროპაში, რომელსაც, თავისი ხანდაზმულობის გამო, სექსუალური წათამაშების არც თავი, არც სურვილი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ აიტაცა ჰოლივუდის ახალი პიარმოძრაობა და ისე შეტოპა, რომ აბსურდამდე მივიდა.

წარბიც არავის შეუხრია, ანუ სინდისის ძარღვი, როცა ხანდაზმული ბრიტანელი ლეიბორისტი სამსახურიდან დაითხოვეს კომპლიმენტისთვის, რომელიც მან ეს-ემ-ესით გაუგზავნა მავან ქალბატონს. როდის? არც ერთ მხარეს არ ახსოვს.

წლები თავისას იქმს.

მერე როგორ იქმს!

ამერიკელმა მწერალმა ქალმა **კრისტინა ბეიკერ კლაინმა** ბრალი დასდო აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშს** (უფროსს) სექსუალურ ძალადობაში. **ბილ კლინტონის** „მონიკალევინსკიადას“ შემდეგ რა უნდა გაგვიკვირდეს, ერთი უხერხულობა რომ არა: მამა ჯორჯ ბუში ახლა 93 წლის არის და კრისტინა კლაინი ისეთი რა ზებუნებრივი მშვენიერებით იყო დაჯილდოებული, რომ ბაბუ ბუში აღეგზნო და სექსუალური გმირობის ჩასადენად თავი გადაედო.

კლაინმა ბრალდება სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

ასეთი რა უბედურება ჩაიდინა ამერიკის ყოფილმა მიხრწნილმა პრეზიდენტმა?

ფაქტს „ადგილი ჰქონია“ 2014 წლის აპრილში, ჰიუსტონში გამართულ ღონისძიებაზე, ჩვენს ტელესივრცეში დამკვიდრებული ქართულით რომ ვთქვათ, „რა დროსაც“ უკადრებელი უკადრებია ჯორჯ ბუშ-უფროსს.

ქალბატონი კლაინი წერს:

— ფოტოგრაფი ჩვენთვის (კლაინი, მისი ქმარი და ჯორჯ ბუში-უფროსი) ფოტოსურათის გადაღებას აპირებდა. ჩემი ქმარი ინვალიდის სავარძლის ერთ მხარეს იდგა, მე — მეორე მხარეს. პრეზიდენტმა ბუშმა ხელი მომხვია და წელს ქვემოთ დამადო ხელისგული.

მოხვია ხელი ბუშმა, შესძახა: „დევიდ კოპ-ა-ფილ!“ და უკანალზე ხელი წაავლო. ფოტოგრაფმა გადაიღო, მწერალმა ქალმა კი ინსტინქტურად მოიცილა ნაპრეზიდენტალის ხელი.

ღონისძიების შემდეგ კლაინი ქმართან ერთად სასტუმროსკენ გაემართა. გზაში ქალბატონმა მწერალმა მომხდარის შესახებ უამბო ქმარს. მეგობარმა ქალმა, რომელიც მანქანას მართავდა, ცოლ-ქმარს ურჩია: „იმედი მაქვს, წინდახედულად მოიქცევით“.

სამი წელიწადი „წინდახედულად“ იქცეოდნენ, ახლა კი ადგნენ და განაცხადეს — ჯერ ერთი, მოდაა და აჰყვნენ, მეორეც — ვინმეზე ნაკლები უკანალი თუ მაქვს, იმ ფურმა დამწიხლოსო.

რა ქნა ისეთი, ქვეყნის სამასხარაოდ რომ გაიხადა თავი 90 წელს გადაცილებულმა კაცმა?

უწყინარად უხუმრია აშშ-ის 41-ე პრეზიდენტს: შეძახილი „დევიდ კოპ-ა-ფილ!“ ცნობილი ილუზიონისტის, დევით კოპერფილდის, გვარ-სახელივით ჟღერს და ნიშნავს მოულოდნელს, უცნაურს, მაგალითად, ყველასათვის მოულოდნელად ქალის მკერდზე ან დუნდულებზე ხელის წავლებას.

უხამსობაა?

შეიძლება ასეც შეფასდეს, მაგრამ იქ, ამერიკაში, მიღებულია, სხვათა შორის, ისევე, როგორც ჩვენთან, მაგალითად, „იმედის“ ტელეეთერში — „მეგობრების“ შოუში გარითმული გინების ხშირ-ხშირი გამოყენება იუმორის კატასტროფული დეფიციტის პირობებში.

ჩვენი ფურები არავისაზე ნაკლებს არ იწველიან!

ცნობისთვის: უფრო ადრე ასეთივე ბრალდება წაუყენეს ბუშს მსახიობმა ქალებმა: **ჯორდანა გროლნიკმა** და **ჰეზერ ლინდმა**, მაგრამ მაინცდამაინც მწერალმა ქალმა გაუხმაურა საქვეყნოდ.

საოცარია, მაგრამ მაინცდამაინც მწერალი ქალები გამოდიან დაზარალებულების როლში.

ცნობილ ამერიკელ მსახიობს, **დასტინ ჰოფმანს,** ასევე მწერალმა ქალმა, **ანა გრემ ჰანტერმა,** უჩივლა. „გარდიანი“ იმოწმებს ჰანტერს და წერს, რომ ჰოფმანი, ჯერ კიდევ როდის, 17 წლის მსახიობ გოგონას „არაკომფორტულ სიტუაციაში“ აყენებდა.

ის დრო დადგა, როცა სექსუალურ ურთიერთობაში ოდესღაც მყოფ წყვილთაგან ერთი მსხვერპლად უნდა წარმოჩნდეს, მეორე (აუცილებლად მამაკაცი) — მოძალადედ.

მაგალითად, ერთი კვირის წინათ აგორებული სკანდალის ფიგურანტის, გიტარისტ **ჯორდი უაიტის (თვიგი რამირესის)** ყოფილმა საყვარელმა **ჯესიკა ადამსმა** განაცხადა, რომ უაიტმა იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გააუპატიურა. წლების განმავლობაში ტკბილად და უშფოთველად ცხოვრობდნენ.

ახლა იფეთქა შეურაცხყოფილმა ქალწულობამ.

ახლა მოდურია.

ზოგიერთმა წყვილმა კი წლების წინათ ჩადენილი „დანაშაულის“ გამო მონახა საერთო ენა, შეთანხმდნენ, რომ არავითარი პრეტენზია არ აქვთ ერთმანეთისადმი, მაგრამ ამოუქექეს, როგორც ეს The Sun-მა გააკეთა დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრ **მაიკლ ფელონისა** და ჟურნალისტ **ჯული ჰარტლი-ბრიუერის** შემთხვევაში. რა დანაშაული ჩაუდენია ახლა უკვე ყოფილ თავდაცვის მინისტრს? 15 წლის წინათ კონსერვატიული პარტიის კონფერენციის შემდეგ გამართულ ვახშამზე ფელონი თურმე ცდილობდა, ჟურნალისტი ქალის მუხლზე დაედო ხელი, ხოლო 2010 წელს „დეილი ტელეგრაფის“ ჟურნალისტ ქალს, **ბრაიონი გორდონს,** კახპა უწოდა.

იყო და არა იყო რა.

მაგრამ სწორედ ეს, უკვე „წასული ნატურა“ მიზეზი გახდა იმისა, რომ თემთა პალატის თავმჯდომარე **ანდრეა ლედსომს** განეცხადებინა, — ინგლისის პარლამენტში შეიქმნება სპეციალური, დამოუკიდებელი კომისია, რომელიც განიხილავს სექსუალური ძალადობის შემთხვევებს, თუ ასეთი ფაქტების შესახებ მას მიმართავენ პარლამენტის თანამშრომლებიო.



მწერალი კრისტინა ბეიკერ კლაინი, ჯორჯ ბუშ-უფროსი და კლაინის მეუღლე

**ქალბატონი კლაინი წერს:**
**— ფოტოგრაფი ჩვენთვის (კლაინი, მისი ქმარი და ჯორჯ ბუში-უფროსი) ფოტოსურათის გადაღებას აპირებდა. ჩემი ქმარი ინვალიდის სავარძლის ერთ მხარეს იდგა, მე — მეორე მხარეს. პრეზიდენტმა ბუშმა ხელი მომხვია და წელს ქვემოთ დამადო ხელისგული. მოხვია ხელი ბუშმა, შესძახა: „დევიდ კოპ-ა-ფილ!“ და უკანალზე ხელი წაავლო. ფოტოგრაფმა გადაიღო, მწერალმა ქალმა კი ინსტინქტურად მოიცილა ნაპრეზიდენტალის ხელი**

**რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, რუსეთის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით — ახალგაზრდობისთვის, თავს მოეხვია ე.წ. ჭიქა წყლის თეორია, რომელიც გულისხმობდა სიყვარულის უარყოფას და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ინსტინქტურ სექსუალურ მოთხოვნილებამდე დაყვანას, ყოველგვარი პირობის გარეშე, ისე მარტივად, როგორიც არის წყურვილის მოკვლა. ქორწინება კი ბურჟუაზიულ გადმონაშთად გამოცხადდა. შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებმაც დაიწყეს ახალი ნოვატორული ფასეულობების პროპაგანდა.**

გაშიშვლებული პროპაგანდა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლური მასმედია ხშირად წერს ლგბტ თემის წარმომადგენელთა დევნა-შევიწროებაზე სსრკ-ში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ამ ქვეყნის ყოფილ რესპუბლიკებში: რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, საქართველოში, ნორმალური ადამიანების მიერ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ ხმის ამაღლებასა და პროტესტის გამოთქმას დასავლური ლიბერალური ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, ქართული ტელესივრცის თოქშოუებში სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს გაცილებით მეტი დრო ეთმობა, ვიდრე ნორმალურ ადამიანებს, რომლებიც ლამის სირცხვილის ბოძზე გააკრან, თუ საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამენ. არადა, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა და იდეოლოგია, რომლის უკანაც დასავლეთის ე.წ. ლიბერალური ძალები დგანან, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარ საქართველოში ერის გენოციდის ტოლფასია...**

# «ძირს სირცხვილი!» — დასავლეთის მიერ წაქეზებული შიშველი «მეფეების» მარში

როგორი იყო ამ მხრივ ვითარება სსრკ-ში — იდევნებოდნენ თუ არა ე.წ. სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები? დასავლეთში სექსუალური რევოლუციის (ეს ტერმინი XX საუკუნის I ნახევარში შემოიღო ავსტრიელმა ფსიქოლოგმა **ვილჰელმ რაიხმა**) დაწყების ათვლის წერტილად 1960-იანი წლები მიიჩნევა, როდესაც წარმოიშვა ჰიპების მოძრაობა (sex, drugs and rock-n-roll) ლოზუნგით: „დაკავდით სიყვარულით და არა ომით!“. რუსეთში კი „მგრძნობიარობის ამბოხი“ (ლენინის ტერმინი) გაცილებით ადრე, 1910-იანი წლების ბოლოს, გერმანელი ნატურისტების ძალისხმევით დაიწყო და აპოგეას უკვე საბჭოთა კავშირში მიაღწია 1920-იან წლებში (ამ თემაზე იხ. „საქართველო და მსოფლიოს“ მიმდინარე წლის 39-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი „სოდომიის პროპაგანდა — საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ეროვნული ფასეულობების განადგურებით ემუქრება. როგორ აღკვეთა სტალინმა გალაღებული მამათმავლების „მოღვაწეობა“ საბჭოთა კავშირში“). ცნობილია, რომ **ვლადიმერ ლენინი** ხშირი სტუმარი იყო ნატურისტული პლაჟებისა, აღაფრთოვანებდა შიშველი სხეულები და ფიქრობდა, რომ რუსი მუშები და გლეხებიც სწრაფად შეერწყმებოდნენ ბუნებას. ლენინის თანამებრძოლი **ვლადიმერ ბონჩ-ბრუევიჩიც** აღტაცებული იყო გერმანელთა ამ წეს-ჩვეულებით.

**ლევ ტროცკისთვის (ლეიბა ბრონშტეინი)** გაგზავნილ წერილში ლენინი წერდა: **„არამხოლოდ ოჯახი... ყველა აკრძალვა, რომლებიც ეხება სექსუალურობას, უნდა გაუქმდეს... ერთი და იმავე სქესის მქონეთა შორის სიყვარულზეც კი უნდა მოიხსნას აკრძალვა...“** 1917 წელს კი, „მშვიდობისა“ და „მიწის“ დეკრეტების შემდეგ, ლენინმა გამოსცა **დეკრეტები „ქორწინების გაუქმებისა“ და „ჰომოსექსუალიზმის აკრძალვის გაუქმების შესახებ“.** 1918 წლის 19 დეკემბერს, „ქორწინების გაუქმების“ დეკრეტის წლისთავზე, პეტროგრადში გაიმართა ლესბოსელთა მსვლელობა. ტროცკი თავის მოგონებებში წერს, რომ ლენინმა, როცა ეს ამბავი შეიტყო, სიხარულით განაცხადა: **„ასე განაგრძეთ, ამხანაგებო!“.**

რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, რუსეთის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით — ახალგაზრდობისთვის, თავს მოეხვია ე.წ. **ჭიქა წყლის თეორია**, რომელიც გულისხმობდა სიყვარულის უარყოფას და ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ინსტინქტურ სექსუალურ მოთხოვნილებამდე დაყვანას ყოველგვარი პირობის გარეშე ისე მარტივად, როგორიც არის წყურვილის მოკვლა. ქორწინება კი ბურჟუაზიულ გადმონაშთად გამოცხადდა, შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებმაც დაიწყეს ახალი ნოვატორული ფასეულობების პროპაგანდა.

**1920-იან წლებში სექსუალური აღვირახსნილობის ქრესტომათიული მაგალითი იყო ე.წ. ჩუბაროვსკის საქმე — გოგონას ჯგუფური გაუპატიურება, რომელშიც მონაწილეობდნენ კომკავშირელები და კომუნისტური პარტიის წევრობის ორი კანდიდატი. დამნაშავეები დასაჯეს, მაგრამ სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ ახალგაზრდა მამაკაცები საერთოდ ვერ აცნობიერებდნენ, რაში ადანაშაულებდნენ.**

**„კარგი რა, გავერთეთ ქალთან, მერე რა მოხდა?“ — ასე უპასუხა ერთ-ერთმა ბრალდებულმა მოსამართლეს კითხვაზე, თუ რატომ არ შეეცადა დანაშაულის დამალვას.**

1923 წელს რუსეთში, ქრისტიანული კულტურისა და მორალის ქვეყანაში, რევოლუციონერმა ქალმა, მარქსიზმის მიმდევარმა და ფემინისტმა, რუსეთის მთავრობის წევრმა **ალექსანდრა კოლონტაიმ** (ქალიშვილობის გვარი დომონტოვიჩი) ჟურნალ „მოლოდაია გვარდიაში“ გამოაქვეყნა წერილი მშრომელი ახალგაზრდობისადმი სახელწოდებით „გზა მივცეთ ფრთიანეროსს!“. სწორედ ამის შემდეგ მოიმატა ქვეყანაში რაოდენობამ „ახალი ფორმაციის ადამიანებისა“, რომლებიც ქუჩაში შიშველი დასეირნობდნენ და გაიძახოდნენ, რომ სირცხვილი ბურჟუაზიული გადმონაშთია.

მალე კი, 1924 წელს, მოსკოვში, კრემლთან, წითელ მოედანზე გაიმართა დემონსტრაცია ლოზუნგით „ძირს სირცხვილი!“, რომლის მონაწილეებიც გაჰყვიროდნენ: **„ძირს მეშჩანობა!“, „ძირს მღვდლების ტყუილები! ჩვენ, კომუნარებს, არ გვჭირდება ტანსაცმელი, რომელიც სხეულის სილამაზეს ფარავს! ჩვენ მზისა და ჰაერის შვილები ვართ!“, „ყოველ კომკავშირელს შეუძლია და ვალდებულია, დაიკმაყოფილოს თავისი სქესობრივი მისწრაფებები! “, „ძირს სამზარეულოს მონობა“...**




## 1924 წელს, მოსკოვში, კრემლთან, წითელ მოედანზე გაიმართა დემონსტრაცია ლოზუნგით «ძირს სირცხვილი!», რომლის მონაწილეებიც გაჰყვიროდნენ: «ძირს მეშჩანობა!», «ძირს მღვდლების ტყუილები! ჩვენ, კომუნარებს, არ გვჭირდება ტანსაცმელი, რომელიც სხეულის სილამაზეს ფარავს!», «ყოველ კომკავშირელს შეუძლია და ვალდებულია, დაიკმაყოფილოს თავისი სქესობრივი მისწრაფებები!», «ძირს სამზარეულოს მონობა»

ისე, **დააკვირდით, როგორ ჰგავს „ნატურისტის“ ნიღაბს ამოფარებული, დასავლეთის მიერ წაქეზებული რუსი ფემინისტებისა და ჰომოსექსუალების 93 წლისწინანდელი ლოზუნგები, დასავლეთიდანვე დაფინანსებული ქართველი ე.წ. ლგბტ თემისა და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლების დღევანდელ ლოზუნგებს: „ფუჩუ liberation!“, „მეტი კაცი კუხნაში!“, „ჩვენ გვჭირდება სექსუალური განათლება სკოლებში!“.**

1924 წელს მოსკოვში შიშველთა მიერ გამართულ დემონსტრაციას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. აი რამდენიმე მათგანი, რომლებიც წლების შემდეგ გამოქვეყნდა რუსულ პრესაში:

*** მიხეილ ბულგაკოვი, მწერალი:**

„სიახლე: რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გამოჩნდნენ სრულიად შიშველი ადამიანები (მამაკაცები და ქალები), რომლებსაც ეკეთათ ლენტი წარწერით „ძირს სირცხვილი!“ მიძვრებოდნენ ტრამვაიში. აჩერებდნენ ტრამვაის. საზოგადოება აღშფოთებული იყო“.

*** ნატალია სევეროვა-გაბრიჩევსკაია, მხატვარი:**

„ვიღაც ხარხარებდა, ვიღაც იფურთხებოდა. მოხუცი ქალები პირჯვარს იწერდნენ და ამბობდნენ: „აპოკალიფსისი! სამყაროს დასასრული!“ და



კარლ რადეკი

გამვლელებს ეკითხებოდნენ: „რა არის ეს? ჩვენც გვაიძულებენ გახდას“?

*** ალექსანდრე ტრუშნოვიჩი, თეთრგვარდიელი:**

„რამდენჯერმე დავესწარი საზოგადოება „ძირს სირცხვილის“ წარმომადგენელთა გამოსვლას. ერთხელ ტრიბუნაზე ასული იყო სრულიად შიშველი ახალგაზრდა, რომელიც გაჰყვიროდა: „ძირს მეშჩანობა!“, „ძირს მღვდლების ტყუილები! ჩვენ, კომუნარებს, არ გვჭირდება ტანსაცმელი, რომელიც სხეულის სილამაზეს ფარავს! ჩვენ მზისა და ჰაერის შვილები ვართ!“. მოგვიანებით ეს შიშველი ორატორი, „მზისა და ჰაერის შვილი“, სასტიკად გალახეს...“

**შიშველი პროლეტარების იდეური მამა იყო ლენინური პარტიის ერთგული შვილი და ლევ ტროცკის უახლესი მეგობარი კარლ რადეკი (კაროლ რობელსონი), სწორედ ის მიუძღოდა შიშველი ბოლშევიკების, უბრალოდ, გარყვნილების მსვლელობას მოსკოვის წითელ მოედანზე, კრემლთან.**

სხვათა შორის, ლენინის ფავორიტი კარლ რადეკი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციაში აქტიურად იყო ჩართული, შემდეგ კი საბჭოთა კავშირისა და სტალინის წინააღმდეგ მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის შეთქმულებაში მონაწილეობდა, ბინაში დისა და მისი შვილების თვალწინ სრულიად შიშველი დადიოდა, მამამისი კი ვარშავაში საროსკიპოს მფლობელი იყო.

კარლ რადეკს მისი თანამედროვეები ახასიათებენ, როგორც „ძალიან შეუხედავი გარეგნობის ეროტომანს“, მაგრამ ისეთი ძვირფასი „ამხანაგი“ იყო, რომ გერმანიიდან სპეცვაგონით ჩავიდა რუსეთში რევოლუციის ბელადებთან ერთად.

რუსული სექსუალური რევოლუცია არა მხოლოდ პირველია მსოფლიოში, არამედ ყველაზე საფუძვლიანიც, რადგან მისი მიზანი იყო სქესობრივი და ოჯახური ურთიერთობების სრული გარდაქმნა (საქართველოში დღესაც ცდილობენ. ნიშანდობლივია, რომ წლების წინათ სექსუალური თავისუფლების ინიციატივა, რომლის თავს მოხვევასაც ცდილობდნენ რუსი ხალხისთვის, მოდიოდა (როგორც დღეს — ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგია) უცხოეთიდან, ხოლო განმხორციელებლები იყვნენ **ლენინი, კარლ რადეკი და ლევ ტროცკი,** რომელიც თავის დროზე წერდა: **„ჩვენ რუსეთი უნდა გადავაქციოთ თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ, რომლებსაც ისეთი ტირანიის ქვეშ ვამყოფებთ, როგორიც არ დასიზმრებიათ აღმოსავლეთის ყველაზე დესპოტ მმართველსაც კი. განსხვავება იქნება მხოლოდ ის, რომ ეს ტირანია იქნება არა თეთრი, არამედ წითელი, რადგან იმდენ სისხლს დავღვრით, რომ მის წინაშე გაფერმკრთალდება კაპიტალისტური ომების ადამიანური დანაკარგები. ოკეანისგაღმელი დიდი ბანკირები ჩვენთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ. და თუ მოვიგებთ რევოლუციას, გავსრესთ რუსეთს, მის ნანგრევებზე განვამტკიცებთ სიონიზმის ძალაუფლებას და ვიქნებით ისეთი ძალა, რომლის წინაშეც ყველა დაიჩოქებს... ტერორის გზით, სისხლის აბანოებით რუს ინტელიგენციას სრულ გამოთაყვანებამდე, იდიოტიზმამდე მივიყვანთ, ცხოველის მდგომარეობამდე...“**

ტროცკისა და მისი მომხრეების პარპაში, შესაბამისად, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისტული აქციები და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები საბჭოთა რუსეთში 1934 წელს დასრულდა, როცა რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს მამათმავლობაზე. დასავლეთის მიერ დაფინანსებული და წაქეზებული შეთქმული ტროცკისტები კი, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, **სტალინმა** საბოლოოდ გაანადგურა მეორე მსოფლიო ომის წინ — 1937-1938 წლებში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დასრულდა ტროცკისტი შეთქმულების მესამე და უკანასკნელი სასამართლო პროცესი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ესწრებოდა უამრავი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი კორესპონდენტი. არც ერთი სხდომა არ ჩატარებულა უცხოელი დიპლომატების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, მედიცინისა და დარგობრივი ექსპერტების მონაწილეობის გარეშე. გამომდინარე აქედან, მსოფლიოს საზოგადოებრიობამ დაინახა, რომ სასამართლო იყო აბსოლუტურად მიუკერძოებელი, ჭეშმარიტად კვალიფიციური და კომპეტენტური. ამ მოსაზრებას ადასტურებენ ის უცხოელი დიპლომატები და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს.**

# სტალინი — გზა 1937 წლამდე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №36-40 (412-416)

## «სასახლის გადატრიალების» კრახი

ბრალდებულმა **იაგოდამ** სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ კიროვი მოკლეს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ გადაწყვეტილებით. მანვე აღიარა, რომ **ბუხარინი, რიკოვი** და **ენუქიძე** მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში. ამ ბლოკის დავალებით მოკლეს მწერალი **მაქსიმ გორკი**, მისი შვილი **მაქსიმ პეშკოვი, მენჟინსკი** და **კუიბიშევი.**

**„ჩემი დაცემა დაიწყო მაშინ, — განაცხადა იაგოდამ, — როცა რიკოვმა შემომთავაზა, დამემალა პარტიისთვის ჩემი მემარჯვენული თვალსაზრისი. იყო ერთი იაგოდა, პარტიის წევრი, და გახდა სხვა იაგოდა, სამშობლოს მოღალატე, შეთქმული. მე ვიცი ჩემი განაჩენი... არ მსურს, თვალთმაქცურად განვაცხადო, რომ სიკვდილი მინდა. ძნელია ასეთი დამღით სიკვდილი... მე მივმართავ სასამართლოს თხოვნით, თუ შეიძლება, მაპატიეთ“.**

* განსასჯელმა **რიკოვმა** საბოლოო სიტყვაში თქვა: „მე ვუღალატე სამშობლოს, რაც გამოიხატა ჩემს ურთიერთობაში საბჭოეთის მოსისხლე მტრებთან, რომლებთან ერთად ვგეგმავდით ქვეყნის დამარცხებას მომავალ ომში. ჩვენ ვამზადებდით სახელმწიფო გადატრიალებას, კულაკთა აჯანყებებს, ვიყენებდით ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებს... ჩემი ბოლო სიტყვა მინდა გამოვიყენო იმისთვის, რომ გავლენა მოვახდინო ჩემს ყოფილ მომხრეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დაპატიმრებული და განიარაღებულნი... მინდა, მათ იცოდნენ, რომ მე ყველანი, ვინც კი შემორჩა ჩემს მეხსიერებას, გავეცი და გამოვააშკარავე. მსურს, ყველა, ვინც ჯერ კიდევ არ არის დაპატიმრებული და გამოაშკარავებული, სასწრაფოდ განიარაღდეს და ჩაბარდეს ხელისუფლებას... შეიგნონ, რომ განიარაღება იძლევა რაღაცნაირ შემსუბუქებას, გათავისუფლებას იმ საზარელი სიმძიმისგან, რომელიც ამ პროცესმა გამოააშკარავა. განიარაღებაშია მათი ერთადერთი შველა“.

* **ბუხარინმა** განაცხადა: „მე თავს ვცნობ დამნაშავედ სოციალისტური სამშობლოს ღალატში, კულაკთა აჯანყებების ორგანიზებაში, ტერორისტული აქტების მომზადებაში, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში... მე კონტრრევოლუციური საქმის ხელმძღვანელი ვიყავი და არა მეისრე. ბევრი კონკრეტული საქმე შეიძლება არ მცოდნოდა და სინამდვილეშიც არ ვიცოდი, მაგრამ ეს პასუხისმგებლობისგან არ მათავისუფლებს. მე ვაღიარებ ჩემს დანაშაულს საბჭოთა კავშირის დანაწევრების ავაზაკურ მცდელობაში, რადგან ტროცკი მოლაპარაკებას აწარმოებდა ტერიტორიულ დათმობებზე, მე და ის კი ერთ ბლოკში ვიყავით. ბრალდებულთა მონანიებას ზოგჯერ ხსნიან სრულიად უაზრო რაღაცებით, თუნდაც ტიბეტური ფხვნილით და ა.შ. მე ჩემს შესახებ ვიტყვი, რომ ციხეში, სადაც ვიჯექი თითქმის ერთი წელი, ვმუშაობდი, ვმეცადინეობდი, შევინარჩუნე აზროვნება. ეს კი არის ფაქტობრივი უარყოფა ყველა არარსებული და უაზრო კონტრრევოლუციური თქმულებისა, რომლებსაც ამ საკითხზე ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება ავრცელებს.

საუბრობენ ჰიპნოზზე, მაგრამ მე ხომ პროცესზე ჩემი იურიდიული დაცვაც მიმყავდა, ე.ი., ვაზროვნებდი; ვებმებოდი პოლემიკაში მოსამართლეებთან, პროკურორებთან, მოწმეებთან, განსასჯელებთან. აქედან გამომდინარე, ძალიან გამოუცდელი მედიცინის მუშაკისთვისაც კი ნათელია, რომ ჰიპნოზი გამორიცხულია. ახლა ვისაუბრებ ჩემი მონანიების მიზეზებზე. **სამი თვის განმავლობაში უარზე ვიყავი, არ ვტყდებოდი. შემდეგ დავიწყე ჩვენების მიცემა. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ციხეში ჩემი წარსული გადავაფასე... ახლა ჩვენ უკვე განადგურებული ვართ. სინანული გამოვთქვით ჩვენს საზიზღარ დანაშაულზე... და უნდა იყო ტროცკი, რომ არ განიარაღდე. ტროცკი მოძრაობის ძრავა იყო, ყველა სასტიკი მითითება — ტერორი, ქვეყნის დანაწევრება, მავნებლობა — მისგან მოდიოდა.** შემიძლია ვივარაუდო, რომ ტროცკი და ჩემი სხვა მოკავშირეები, აგრეთვე, IV ინტერნაციონალი, შეეცდებიან ჩვენს დაცვას, კერძოდ, ჩემ დაცვას. მე ამ დაცვას უარვყოფ, რადგან მუხლმოდრეკილი ვდგავარ ქვეყნის, პარტიის, მთელი ხალხის წინაშე. ჩემი საზარელი დანაშაული უსაზღვროა. ამ შეგნებით ველოდები განაჩენს, აქ საქმე მტრის გრძნობებთან კი არ გვაქვს, არამედ აყვავებულ სსრ კავშირთან, მის საერთაშორისო მნიშვნელობასთან“, — დაასკვნა ბუხარინმა.

1938 წლის 13 მარტს სასამართლო კოლეგიამ გამოაცხადა თავისი განაჩენი, რომლის მიხედვით 21 განსასჯელიდან 18-ს, მათ შორის, **ბუხარინს, კრესტინსკის, რიკოვს, იაგოდას,** მიესაჯათ უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

**ასე დასრულდა ტროცკისტი შეთქმულების მესამე და უკანასკნელი სასამართლო პროცესი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ესწრებოდა უამრავი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი კორესპონდენტი. არც ერთი სხდომა არ ჩატარებულა უცხოელი დიპლომატების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, მედიცინისა და დარგობრივი ექსპერტების მონაწილეობის გარეშე. გამომდინარე აქედან, მსოფლიოს საზოგადოებრიობამ დაინახა, რომ სასამართლო იყო აბსოლუტურად მიუკერძოებელი, ჭეშმარიტად კვალიფიციური და კომპეტენტური. ამ მოსაზრებას ადასტურებენ ის უცხოელი დიპლომატები და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს.**



ჰენრიხ იაგოდა

**«ჩემი დაცემა დაიწყო მაშინ, — განაცხადა იაგოდამ, — როცა რიკოვმა შემომთავაზა, დამემალა პარტიისთვის ჩემი მემარჯვენული თვალსაზრისი. იყო ერთი იაგოდა, პარტიის წევრი, და გახდა სხვა იაგოდა, სამშობლოს მოღალატე, შეთქმული. მე ვიცი ჩემი განაჩენი... არ მსურს, თვალთმაქცურად განვაცხადო, რომ სიკვდილი მინდა. ძნელია ასეთი დამღით სიკვდილი... მე მივმართავ სასამართლოს თხოვნით, თუ შეიძლება, მაპატიეთ»**

* აი რას სწერდა თავის ანგარიშში პროფესიონალი იურისტი, შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში — **ჯოზეფ დევისი** (რომელსაც არც ერთი სხდომა არ გამოუტოვებია) თავის საგარეო საქმეთა მინისტრს ვაშინგტონში: **„მოსკოვში მომუშავე თითქმის ყველა დიპლომატი თვლის, რომ განაჩენი იყო სამართლიანი, რომ ნამდვილად არსებობდა შეთქმულთა ჯგუფები, რომელთა მიზანი იყო ხელისუფლების დამხობა. საზღვარგარეთ ფართოდ გავრცელებული აზრი, თითქოს ყველა განსასჯელი ერთსა და იმავეს ლაპარაკობდა, არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ისინი შეუპოვრად ეკამათებოდნენ ბრალდებას და მხოლოდ იმას აღიარებდნენ, რისი უარყოფაც შეუძლებელი იყო.** რაც შეეხება სახელმწიფო ბრალმდებელ **ვიშინსკის, რომელსაც დასავლური პროპაგანდა სასტიკ ინკვიზიტორად სახავს, ის ძალიან წააგავს აშშ-ის იუსტიციის მინისტრ კამინგს; ისეთივე მშვიდია, მიუკერძოებელი, გონიერი, გაწაფული, ბრძენი, როგორც იურისტი, მე უაღრესად აღფრთოვანებული და კმაყოფილი დავრჩი იმით, როგორ მიჰყავდა მას ეს რთული საქმე“.**

* გერმანელი მწერალი **ლიონ ფოიხტვანგერი**, რომელიც იმხანად მოსკოვში იმყოფებოდა და სასამართლო პროცესის სხდომებს ესწრებოდა, თავის წიგნში „მოსკოვი, 1937“ დაწვრილებით გადმოსცემს სასამართლო პროცესის ნიუანსებს და კატეგორიულობით აცხადებს, რომ დასავლეთში გავრცელებული მითი იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფო დამნაშავეებზე მოსკოვში ჩატარებული სასამართლო პროცესები იყო „კარგად დადგმული სპექტაკლები“, არის ბლეფი, და რომ სასამართლო იყო აბსოლუტურად ობიექტური და მის მიერ გამოტანილი განაჩენი — დანაშაულის ადეკვატური:

„სტალინმა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, განმეორებით გაესამართლებინა მოწინააღმდეგე ტროცკისტები, ბრალი დასდო მათ სახელმწიფო ღალატში, ჯაშუშობაში, მავნებლობაში და სხვა ძირგამომთხრელ საქმიანობაში, აგრეთვე, ტერორისტული აქტების მომზადებაში. პროცესებზე სტალინის მოწინააღმდეგე ტროცკისტები, რომლებმაც თავიანთი „სისასტიკითა და თვითნებობით“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მსოფლიო აამხედრეს, საბოლოოდ განადგურდნენ. მათ ბრალდება დაუმტკიცეს და დახვრიტეს. ევროპაში ჩემი ყოფნისას **ზინოვიევის** მიმართ წაყენებულ ბრალდებებს არ ვენდობოდი. მეგონა, რომ ბრალდებულთა ისტერიკული აღიარებები რაღაც იდუმალი საშუალებებით მოიპოვეს. პროცესი წარმოდგენილი მქონდა დიდი ოსტატობით დადგმულ, უზომოდ შემაძრწუნებელ თეატრალურ სანახაობად, მაგრამ მოსკოვში მეორე პროცესზე დასწრებისას, როდესაც ვნახე და მოვუსმინე პიატაკოვს, რადეკს, მათ მეგობრებს, ჩემი ეჭვები გაიფანტა. პირადად ვნახე პროცესის ოქმები, გავიხსენე ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით ვიხილე, რაც მოვისმინე. ბრალდების უტყუარობის მამტკიცებელი და გამაბათილებელი ყველა გარემოება კიდევ ერთხელ ავწონდავწონე და, თუ ყოველივე ეს გამოიგონეს და მოაწყვეს, მაშინ, არ ვიცი, სიმართლე რაღაა... მე ნამდვილად არ შემქმნია შთაბეჭდილება, თითქოს ბრალდებულთა აღიარება იძულებითია. სასამართლოს წინაშე მდგომი ხალხისათვის არანაირად არ შეიძლებოდა გვეწოდებინა წამებული, თავიანთი ჯალათის წინაშე სასოწარკვეთილი არსებანი, პირიქით, ისინი მოვლილი, კარგად ჩაცმული მამაკაცები იყვნენ, მშვიდი, ძალდაუტანებელი მანერებით. სვამდნენ ჩაის, ჯიბეში მოუჩანდათ გაზეთები და ხშირად ათვალიერებდნენ დამსწრე საზოგადოებას. ერთი შეხედვით, ეს დისკუსიას უფრო ჰგავდა, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესს. დისკუსიას, რომელზეც განათლებული ადამიანები იცავენ საუბრის ტონს, სადაც ცდილობენ, გაარკვიონ სიმართლე, სახელდობრ, რა მოხდა და რატომ მოხდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ბრალდებულები, პროკურორი და მოსამართლეები ერთნაირი (ლამის ვთქვი — სპორტული) ინტერესით იყვნენ გატაცებულნი, რათა ყველაფერი მაქსიმალური სიზუსტით გაერკვიათ. რადეკის თქმით, მათ ტროცკის კონცეფციისადმი რწმენა დაეკარგათ. ამ გარემოებისა და მოვლენების განვითარების გამო ბრალდებულთა აღიარება გაისმა, როგორც იძულებითი ჰიმნი სტალინის რეჟიმისადმი, ბრალდებულები იმ ბიბლიურ წინასწარმეტყველს დაემსგავსნენ, რომელმაც, წყევლის მაგიერ, სურვილის საწინააღმდეგოდ, ლოცვა აღავლინა“.

ასე აფასებდნენ მოსკოვურ სასამართლო პროცესებს უცხოელი თვითმხილველები, თუმცა მკითხველისთვის ამ პროცესების არც **ხრუშჩოვისეული** შეფასება იქნება უინტერესო. XX ყრილობაზე, სადაც იგი ანტისტალინური დემაგოგიური მოხსენებით გამოვიდა, იძულებული იყო, ეთქვა:

**„პარტიამ ლენინიზმის ყველა მტერი გაანადგურა და ამაში სტალინმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. თუ ეს მტრები არ იქნებოდნენ განადგურებული, ჩვენ არ გვექნებოდა მძიმე ინდუსტრია, არ გვექნებოდა კოლმეურნეობები, აქედან გამომდინარე კაპიტალისტურ გარემოცვაში დავრჩებოდით უძლურნი და განიარაღებულნი“.**

სტალინს სურდა, რომ ბუხარინი უდანაშაულო ყოფილიყო. დიდხანს არ აძლევდა სამართალდამცავ ორგანოებს მისი დაპატიმრების უფლებას. სტალინი ძალიან აფასებდა მასთან ძველ მეგობრობასა და თანამშრომლობას. ამის ნათელი მაგალითია სტალინის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა ბანკეტზე, 1935 წელს: **„შევსვათ ბუხარინის სადღეგრძელო, ჩვენ ყველა ვიცნობთ მას და გვიყვარს იგი და, ვინც წარსულს უხსენებს მას, ვურჩიოთ, გაანებოს თავი წარსულის ქექვას“.** სტალინის სიტყვების გულწრფელობაზე ისიც ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბუხარინი: მე თავს ვცნობ დამნაშავედ სოციალისტური სამშობლოს ღალატში, კულაკთა აჯანყებების ორგანიზებაში, ტერორისტული აქტების მომზადებაში, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში... სამი თვის განმავლობაში უარზე ვიყავი, არ ვტყდებოდი. შემდეგ დავიწყე ჩვენების მიცემა. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ციხეში ჩემი წარსული გადავაფასე... ახლა ჩვენ უკვე განადგურებული ვართ. სინანული გამოვთქვით ჩვენს საზიზღარ დანაშაულზე... და უნდა იყო ტროცკი, რომ არ განიარაღდე. ტროცკი მოძრაობის ძრავა იყო, ყველა სასტიკი მითითება — ტერორი, ქვეყნის დანაწევრება, მავნებლობა — მისგან მოდიოდა.**

◀ მეტყველებს, რომ მან ბუხარინი, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის მუხლით იყო საქმე აღძრული, 1936 წელს შეიყვანა კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელ კომისიაში. იმავე წლის დეკემბერში კი, როცა **ეჟოვმა** ბუხარინი კიროვის მკვლელობის ორგანიზებაში ამხილა და მოითხოვა მისი დაპატიმრება, სტალინმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ „ამ საქმეში სიჩქარე დაუშვებელია“. სტალინმა საკითხის შესწავლა ცეკას წევრებს დაავალა. და სწორედ ცეკას დადგენილების საფუძველზე დააპატიმრეს ბუხარინი და არა სტალინის პირადი მითითებით. მას შემდეგ, რაც ბუხარინმა კაგანოვიჩის კაბინეტში კრესტინსკისთან დაპირისპირებისას უარყო წაყენებული ბრალდებები, სტალინმა მიუთითა პროკურატურას, შეეწყვიტა ბუხარინის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სამხილის უქონლობის მოტივით. სტალინი აქ ნამდვილად ცდებოდა, გამოძიებას ბუხარინზე სამხილები საკმარისზე მეტი ჰქონდა. და სტალინი იძულებული შეიქნა, ბუხარინი პოლიტბიუროზე მიეწვია საკითხის ობიექტურად განხილვის მიზნით. ბუხარინის ქვრივი **ლარინა** ამ შემთხვევას თავის მემუარებში ასე აღწერს: „ეფიმ ცეიტლინმა, თავისი ჩვენებებით, ნ.ი. ბუხარინი სტალინის წინააღმდეგ ტროცკისტული აქტის მზადებაში ამხილა. პროცესის დაწყებამდე, რომელიც 1937 წლის 23 იანვარს დაიწყო, რამდენიმე დღით ადრე ბუხარინი ცეკა-ში მიიწვიეს. იქ სტალინის, პოლიტბიუროს ყველა წევრისა და ეჟოვის მონაწილეობით მოხდა ბუხარინის დაპირისპირება სოსნოვსკისთან. ეყრდნობოდა რა ბუხარინისაგან მიღებულ წერილს, სოსნოვსკიმ განაცხადა, რომ ტროცკისტებმა ტერორის გააქტიურება გადაწყვიტეს, ხოლო ბუხარინის მიერ მათთვის გაგზავნილი ფული მიუთითებდა იმაზე, რომ მემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაცია იზიარებს ტროცკისტების თვალსაზრისს და იმავე პრინციპით იმოქმედებს. სტალინის შეკითხვას, გაუგზავნა თუ არა მან სოსნოვსკის ფული, ბუხარინმა უპასუხა: „კი, ვუგზავნიდი“. „ყველაფერი ნათელია“, — შენიშნა ი.ბ. სტალინმა. ამხილა რა ბუხარინი, პიატაკოვმა აღიარა, რომ თვითონაც იყო კონტრრევოლუციური ცენტრის წევრი. „ნუთუ თქვენი ჩვენებები ნებაყოფლობითია?“ — შეეკითხა პიატაკოვს პოლიტბიუროს წევრი ორჯონიკიძე. „ჩემი ჩვენებები ნებაყოფლობითია“, — უპასუხა პიატაკოვმა. რადეკმა პოლიტბიუროს განუცხადა: გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციაში ლაპარაკი იყო კიროვის მკვლელობაზეო, მაგრამ სტალინის ლიკვიდაციის გარეშე კაპიტალიზმის რესტავრაცია შეუძლებელი იყო. მიუხედავად მოყვანილი ფაქტებისა, ბუხარინი არ დაუპატიმრებიათ, მეტიც, მასთან ჩხრეკაც კი არ ჩაუტარებიათ. 1936 წლის 7 ნოემბერს ბუხარინი წითელი მოედნის სამთავრობო ტრიბუნაზე იდგა. სტალინმა შენიშნა იგი. ბუხარინთან მივიდა გუშაგი და მოახსენა, რომ სტალინი ბუხარინს სთხოვს, აბრძანდეს მავზოლეუმის ტრიბუნაზე, მისი ადგილი იქ არის.

ბუხარინი ავიდა მავზოლეუმზე, მაგრამ საუბარი სტალინთან არ გამართულა (ფიოდორ მარენკოვი, „ხელმწიფე და სიბილწე“. 1995 წ.).

* მილიონერმა **ჰენრი ფორდმა** თავისი განცვიფრება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ტრიბუნიდან შემდეგი სიტყვებით გამოხატა 1930 წელს:

**„ის გეგმები, რომლებსაც კომუნისტური ბელადები ახორციელებდნენ, მოცულობითა და მნიშვნელობით აღემატება ისტორიაში ცნობილ ყველაზე დიდ და გაბედულ წამოწყებებს. პეტრე დიდის პროექტები ფერმკრთალდება სტალინის გეგმებთან შედარებით. პირველნი მოწიწებით ხრიან თავს უკანასკნელთა წინაშე!“**

1937 წლის 5 მარტს ცეკას პლენუმზე სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა: **„ჩვენს ზოგიერთ პარტიულ ხელმძღვანელს ცუდი სენი სჭირს, ისინი უყურადღებობას იჩენენ ადამიანების მიმართ, როგორც პარტიის წევრების, ასევე, უპარტიო მუშაკების მიმართაც. მეტიც, ისინი არ სწავლობენ თავიანთ მუშაკებს, არ იციან, რით ცხოვრობენ ისინი და როგორ იზრდებიან, საერთოდ, არ იცნობენ თავიანთ კადრებს. ამიტომაც მათ ინდივიდუალური მიდგომა არ აქვთ თავიანთ მუშაკებთან. ინდივიდუალური მიდგომა კი ძირითადია ჩვენს საორგანიზაციო მუშაობაში... სწორედ იმის გამო, რომ ისინი ცუდად იცნობენ თავიანთ კადრებს, ადგილი აქვს პარტიული კადრების დაუმსახურებელ დარბევას, პარტიის რიგებიდან ათასების და ათიათასების გარიცხვას. ეს კი მათ უბრალო საქმედ მიაჩნიათ. ისინი თვლიან, რადგან ჩვენი პარტია ძლიერი და მრავალრიცხოვანია, ასეთი დანაკლისი მის ძლიერებას ვერ შეასუსტებსო. ასე მხოლოდ ანტიპარტიული ელემენტები შეიძლება მსჯელობდნენ. ადამიანების მიმართ ასეთმა უსულგულო დამოკიდებულებამ, ბუნებრივია, გაღიზიანება გამოიწვია პარტიის წევრთა ერთ ნაწილში და გასაგებიცაა, რომ მათ ტროცკისტი მავნებლები ადვილად ითრევენ თავიანთ ჭაობში... ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის თვითნებობა იქამდე მიდის, რომ იგი თავის წევრს პარტიიდან აძევებს სოციალური მდგომარეობის დამალვისა და პასიურობისთვის. ამასაც არ სჯერდებიან, ხსნიან სამსახურიდან და ბინიდან ასახლებენ. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ასეთი პარტიული ორგანიზაციები წყალს ხალხის მტრების წისქვილზე ასხამენ“.**

აღნიშნულ საკითხზე სტალინმა ყურადღება კიდევ უფრო გაამახვილა ცკ-ის 1938 წლის იანვრის პლენუმზე. მან კონკრეტული მაგალითებისა და კონკრეტული პირების დასახელებით ამხილა პარტიის მაღალ ეშელონებში მოკალათებული თანამდებობის პირები, რომლებიც, „ტროცკისტული ბლოკის“ მითითებით, არალეგალურად იბრძვიან ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინი მოგონილი ბრალდებებით ცილს სწამებენ პატიოსან, პარტიის ერთგულ ადამიანებს, აძევებენ მათ პარტიის რიგებიდან და აპატიმრებენ კიდეც. მაგალითად: აზერბაიჯანის



სტალინი, ბუხარინი და ორჯონიკიძე

**ჰენრი ფორდი: ის გეგმები, რომლებსაც კომუნისტური ბელადები ახორციელებდნენ, მოცულობითა და მნიშვნელობით აღემატება ისტორიაში ცნობილ ყველაზე დიდ და გაბედულ წამოწყებებს. პეტრე დიდის პროექტები ფერმკრთალდება სტალინის გეგმებთან შედარებით. პირველნი მოწიწებით ხრიან თავს უკანასკნელთა წინაშე!**

ცეკამ 1937 წლის 5 ნოემბერს მხოლოდ ერთ სხდომაზე პარტიის რიგებიდან გარიცხა 279 კომუნისტი; სტალინგრადის საოლქო კომიტეტმა ამავე წლის 26 ნოემბერს — 69 კაცი, ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტმა 28 ნოემბერს — 72; ორჯონიკიძის სამხარეო კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიამ 160 გარიცხულიდან, როგორც არასწორად და სრულიად დაუსაბუთებლად გარიცხული 101 კომუნისტი აღადგინა პარტიის რიგებში. დაზარალებულთა აპელაციის საფუძველზე, ნოვოსიბირსკის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში დააბრუნა 51 წევრი 80-დან; როსტოვის პარტორგანიზაციამ — 43 წევრი 66-დან; სტალინგრადისამ — 58, სარატოვისამ — 80წევრი, 134-დან; კურსკის პარტორგანიზაციამ — 56, 92-დან და ა.შ.

ხარკოვის ოლქის ბევრ რაიონში „სიფხიზლის“ საბაბით ადგილი აქვს სამუშაოდან კადრების დათხოვნის შემთხვევებს, ასევე, პარტიის რიგებიდან მათ მასობრივ გაძევებას. შემოწმებებმა გამოავლინეს გადაწყვეტილებების უსაფუძვლობა და უკანონობა. მაგალითად, ზმიევსკის რაიონში 1937 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სამუშაოდან მოხსნილია 36 მასწავლებელი, 42 კი მონიშნულია გასათავისუფლებელთა სიებში. შედეგად რიგ სოფლებში აღარ ისწავლება ისტორია, სსრ კავშირის კონსტიტუცია, რუსული, უკრაინული და უცხო ენები.



პროკურორი ანდრეი ვიშინსკი

თუ რა უსაფუძვლო და ხშირად ცინიკურია ეს გათავისუფლებები, კარგად ჩანს შემდეგ მაგალითზე: ქალაქ ზმიევსკის საშუალო სკოლაში მუშაობდა ბიოლოგიის მასწავლებელი ქალი **ჟურკო,** 1904 წელს დაბადებული, კოლმეურნის შვილი, 8 წლის სტაჟის მქონე, დაუსწრებელი სწავლების ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი. ადგილობრივ გაზეთში მის ძმაზე, რომელიც ქალაქ იზიუმში პედაგოგად მსახურობდა, გაჩნდა მინიშნება, რომ თითქოს იგი ნაციონალისტია. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჟურკო მოეხსნათ თანამდებობიდან, ამას კი მისი პედაგოგი მეუღლის განთავისუფლება მოჰყვა. საკითხის განხილვამ გამოავლინა, რომ გაზეთში დაბეჭდილი სტატია შეთითხნილი იყო ადგილობრივი ტროცკისტის მიერ, ხოლო ჟურკოს ძმა არც ნაციონალისტი ყოფილა და, აქედან გამომდინარე, არც სამსახურიდან მოხსნილი.

კუიბიშევის ოლქის ბევრ რაიონში პარტიის რიგებიდან გარიცხულია უამრავი კომუნისტი „ხალხის მტრის“ ბრალდებით. შინსახკომის ორგანოებმა, შეამოწმეს რა ბრალდებულთა საქმეები, 50-დან 43 უდანაშაულოდ ცნეს, გაათავისუფლეს ისინი პატიმრობიდან და აღადგინეს პარტიის რიგებში... კიევის საოლქო კომიტეტის მდივანი, ხალხის მტერი, **კუდრიავცევი** პარტიის კრებებზე სიტყვაში გამოსულ კომუნისტებს განუწყვეტლივ ეკითხებოდა: „თქვენ თვითონ თუ დაგიწერიათ ვინმეზე თუნდაც ერთი დასმენითი განცხადება?“ ამ პროვოკაციის შედეგად კიევის საოლქო პარტორგანიზაციის წევრთა თითქმის ნახევარზე დაიწერა დასმენა, რომელთა დიდი უმრავლესობა ბინძური ცილისწამება აღმოჩნდა. სტალინგრადის რაიკომში მოკალათებულმა ტროცკისტებმა პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს 1917 წლიდან პარტიის წევრი, ყოფილი წითელი პარტიზანი **მახატკინი** — „ანტისაბჭოური ლაპარაკისათვის“. როგორც შემოწმებამ დაადასტურა, მახატკინის „ანტისაბჭოური ლაპარაკი“ იყო ის, რომ იგი ამხანაგების წრეში ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას სოფლის საბჭოს მესვეურთა მიმართ, რომ ისინი უყურადღებობას იჩენდნენ სამოქალაქო ომში დაღუპული ერთ-ერთი გმირის წვრილშვილიანი ოჯახისადმი. ცკ-ის კომისიამ მახატკინი პარტიაში აღადგინა და დააბრუნა თანამდებობაზე. ხალხის მტრების ასეთი პროვოკაციული საქმიანობა გამომჟღავნდა და აღიკვეთა საბჭოთა ქვეყნის თითქმის ყველა ოლქში, ქალაქსა თუ რაიონში“.

პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში, სხვა მრავალ პუნქტთან ერთად, შემდეგი პუნქტებიც ჩაწერა:

**7.** დაევალოთ პარტიულ ორგანიზაციებს, გადასცენ პარტიულ პასუხისგებაში პირები, რომლებიც შემჩნეულნი არიან უდანაშაულო ადამიანების ცილისწამებაში. რეაბილიტირებული იქნან არასწორად დასჯილნი. გამოქვეყნდეს პრესაში მათი გამამართლებელი მასალები;

**9.** აიკრძალოს არასწორი, დანაშაულებრივი პრაქტიკა, როცა პარტიის რიგებიდან გარიცხულთ ხსნიან დაკავებული თანამდებობებიდან და, თუ ეს გათავისუფლება აუცილებლობაა, მისი განხორციელება მოხდეს მას შემდეგ, რაც დაზარალებულს ახალი სამუშაო მიეცემა;

**10.** დაევალოთ საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს, 1938 წლის 15 თებერვლამდე უზრუნველყონ პარტიიდან გარიცხულთა შრომითი მოწყობა; მომავალში არ დაუშვან, რომ პარტიიდან გარიცხულები უმუშევრები დარჩნენ.

**(გაგრძელება იქნება)**

**P.S.** წერილში გამოყენებულია მასალები სტალინის პირადი არქივიდან (ფ. 558. აღწერა 11.), ენციკლოპედიიდან — „სტალინი“ (მოსკოვი, 2007 წ.), სერგეი კრემლიოვის წიგნიდან „დიდი სტალინი“ (მოსკოვი, 2013 წ.), იური ემელიანოვის „სტალინიდან“ (მოსკოვი, 2007 წ.), გივი ბერძენიშვილის „სტალინიდან“ (თბილისი, 2003 წ.), მიხეილ დოკუჩაევის წიგნიდან „ისტორიას ახსოვს“ (მოსკოვი, 1998 წ.), იური ჟუკოვის, ვლადიმერ კოჟინოვისა და იური მუხინის წიგნიდან „37 წლის გამოცანა“ (მოსკოვი, 2010 წ.), რობერტ ფეერის „ანტისტალინური სისაძაგლეებიდან“ (მოსკოვი, 2010 წ.), იგორ პიხალოვის ნაშრომიდან „1937 წელი“ (მოსკოვი, 2013 წ.) ,იური ჟუკოვის „სხვა სტალინიდან“ (მოსკოვი, 2010 წ.), ალექსანდრე შაბალოვის წიგნიდან „სტალინის მეთერთმეტე დარტყმა“ (როსტოვი, 1997 წ.).

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ, რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა“.**

# დილაობით, სამსახურის ნაცვლად, ასობით ამ ქვეყნის მოქალაქე რატომ მიიჩქარის ნაგვის ურნებისკენ?

თუ ილიას თავის ეპოქაში მარტო მცოდნე და ნასწავლი კაცი მიაჩნდა ძლიერად, ხოლო უსწავლელი, უცოდინარი კი მის ყურმოჭრილ ყმად, რომელიც „ძალა-უნებურად იძულებულია, იმას დასჯერდეს, რაც მცოდნეს და ნასწავლს მორჩება, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის ულირსსა და გამოუსადეგს“, დღეს უსწავლელი, „გამოსოროსებული“ ადამიანები არიან პრივილეგირებულნი და, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველნი, ბრმად ასრულებენ იმათ ბრძანებებს, ვისაც საქართველო ჩირადაც არ ულირს. ფაქტები? რამდენიც გინდა. უამრავი მაგალითია, რომ უცხოქვეყნელი, ვინ იცის საიდან მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არა მხოლოდ ლუკმაპურს შოულობს საქართველოში, არამედ მდიდრდება, კეთდება ჩვენ შორის და ჩვენ კი ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენი მამა-პაპის მიწაზე სულს ვლაფავთ, „გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა“; მოგვბეზრდა და აღარ ვუსმენთ პოლიტიკოსთა გაუთავებელ კამათს, რადგან არც ერთი მათგანი არ კითხულობს:

**დილაობით, სამსახურის ნაცვლად, ასობით ამ ქვეყნის მოქალაქე რატომ მიიჩქარის ნაგვის ურნებისკენ?**

**სად და რაშია სათავე და მიზეზი ხალხის სიღარიბისა?**

პასუხს ისევ ილია გაგვცემს:

„დღეს ჩვენშიაც-კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს, — რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჰლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არცა ჰშივა კაცს და არცა სცივა. ამის გამო **ცოდნის არ-ქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას, სახელდობრ იმ მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც, თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არადა, არა ჰლირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს.**

**ჩვენი შეცდომა სწორედ ამაშია.** ცოდნა, სწავლა-განათლება, ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა. ცოდნა, **სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რამე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია.** დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი, და უსწავლელი, უცოდინარი-კი მისი ყურმოჭრილი ყმაა, რომელიც ძალა-უნებურად იძულებულია იმას დასჯერდეს, რასაც მცოდნეს და ნასწავლს მორჩება, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის ულირსსა და გამოუსადეგს.

ჩვენ გვავიწყდება, **რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად.** რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა, კაცს სიმდიდრე თვალ წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და **მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება.**



**მოგვბეზრდა და აღარ ვუსმენთ პოლიტიკოსთა გაუთავებელ კამათს, რადგან არც ერთი მათგანი არ კითხულობს: დილაობით, სამსახურის ნაცვლად, ასობით ამ ქვეყნის მოქალაქე რატომ მიიჩქარის ნაგვის ურნებისკენ? სად და რაშია სათავე და მიზეზი ხალხის სიღარიბისა?**

ესეთი ძლიერება ცოდნისა და სწავლა-განათლებისა ჩვენ საკუთარ თვალ-წინ შესაძლოა კაცმა დაინახოს.

რამდენი მაგალითია, რომ უცხო-ქვეყნელი, ვინ იცის საიდამ მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თუ ლუკმაპურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის, და ჩვენ-კი, ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა-პაპის ბინაზედ, გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა. ჩვენ მუდამ იმასა ვჩივით და ვტირით, რომ ღარიბნი ვართ, ლუკმა-პურის ილაჯს ვერსად გამხდარვართ, და ის-კი აღარ გვახსოვს, ისკი აღარ გვაგონდება — სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენის სიღარიბისა.

**საკვირველია! თუ უცხოქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც ერთი მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშემწყობი და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზედ დანდობილი, ჰშოულობს საქმეს, თავს ირჩენს, მდიდრდება, კეთდება, ჩვენ რაღა დაგვემართა, ჩვენ, რომელთაც მიწაცა გვაქვს, მამულდედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესაობაც გვყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს. ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი ძღებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი, ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო. ის-კი ვიცით, რომ „ტირილითა და ვიშითა“ სოფელი არ აშენდება.**

**რათ არის ესე?**

იმიტომ არის, რომ **უცხოქვეყნელი იმ განძით, იმ საუნჯით მოდის ჩვენში, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და ურომლისოდ ეხლანდელ დროში თითონ ფულითაც მდიდარი ღარიბია,** რადგანაც უქმია და გამოუსადეგი, და უქმი და გამოუსადეგი ხომ მარტო ქონების მჭამელია და არა ქონების გამდიდებელი და გამაძლიერებელი, ქონების გამლებია და არა მომღები. ეხლანდელს დროში ნურვინ იფიქრებთ, რომ წინ წაუხვიდეთ მცოდნესა და განსწავლულსა და ან არსებობისათვის ჭიდილში საეკონომიო მოედანზედ გამარჯვება თქვენ დაინარჩუნოთ; ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს.

**ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ველარ გაგვიწევია ახალ-მოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გვჯობიან, ყველგან იგინი წინ გვასწრობენ, გამოსარჩენს საქმეს ხელიდამ გვაცლიან. რას იზამთ? იმათკენ ცოდნაა, განათლებაა, მიხვედრილობა და გაგებულობაა, ჩვენკენკი უვიცობა, სიბნელე, მიუხვედრებლობა, გაუგებლობა.** ამ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფნი რით უნდა შევეჭიდნეთ, რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლითა და ცოდნით შეთოფ-იარაღებულს, ცოდნითა და სწავლით გაძლიერებულს, გაღონიერებულს და გათამამებულს? რასაკვირველია, იმავ იარაღით, რითაც ისინი იმარჯვებენ ჩვენზედ, ესე იგი, ცოდნითა და სწავლულობითა. სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა.

**ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა.** მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული-კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან.

აქედამ აშკარაა, რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საჭიდაოდ და გასამარჯვებლად. იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ, აბა ერთი უყურეთ, ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც, ჩვენდა საუბედუროდ, სხვებზედ უკანა ვართ დარჩენილნი.

რის გამო გავმართეთ საუბარი ამ ძველის-ძველ და ყოველთვის-კი ღირს-სახსენებელს საგანზედ, ამას შემდეგს წერილში გამოვარკვევთ.

**ტფილისი, 26 ოქტომბერი, 1889 წ.“**

**ილიას ამ წერილის წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო მტკივნეულია იმის გაცნობიერება, რომ ჩვენს ქვეყანაში საგანმანათლებლო სისტემა მოიშალა, და ეს იმიტომ, რომ გაუნათლებელი ერის დამონება და მართვა გაცილებით ადვილია. სწორედ ამ გზაზე დაგვაყენეს ჩვენმა „სტრატეგიულმა მეგობრებმა“, „გვეხმარებიან“, აღვზარდოთ ისეთი თაობა, რომლისთვისაც დედა იქნება მშობელი №1 (ან №2), მაშინ, როცა ქართველისათვის დედა იმდენად მნიშვნელოვანი ფენომენია, რომ მარჩენალ მიწას დედამიწას უწოდებს, სახლის მთავარ ბოძს — დედაბოძს, მშობლიურ ენას — დედა ენას... მაგრამ „პაწია ყრმავ, ეხლა, როცა პირველად მოდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის, იყავ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგსვლოდეს“.**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**«ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი ძღებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი, ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო... რათ არის ესე? ...ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ველარ გაგვიწევია ახალ-მოსულთა უცხოელთათვის»**

**დასავლეთ საქართველოს სახალხო ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა. ეკატერინე დადიანი პარტიზანულ ბრძოლებში პირადად მონაწილეობდა. დასავლეთ საქართველოში რუსეთის რეგულარული ჯარების დამატებითი ნაწილები გადმოვიდნენ. დაიწყო ომერ-ფაშას ჯარების წინააღმდეგ შეტევა. სამეგრელოს სახალხო ლაშქარი მოწინავე პოზიციებზე იბრძოდა. ოსმალები ზღვისპირისკენ იხევდნენ და გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდნენ. მათ გაძარცვეს და დაწვეს სამეგრელოს მთავრის სასახლეები, უმოწყალოდ გაჩეხეს ეკატერინე დადიანის მიერ ზუგდიდში გაშენებული იშვიათი პარკი და სხვ.**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთად აღმოსავლეთის ომებში

დასასრული. დასაწყისი იხ. №35, 36, 37, 40

### წერილი VI

## ომი თურქეთთან

**1856 წლის ოქტომბერში ომერ-ფაშა აფხაზეთიდან სამეგრელოსკენ დაიძრა. ჩვეულებრივ, ამ პერიოდში მდინარე ენგური, წყალდიდობის გამო, თითქმის გაუვალი ხდებოდა, შეუძლებელი იყო ფონის მონახვა, ხოლო ხიდების აგება, სწრაფი დინების გამო, თითქმის შეუძლებელი.**
**მაგრამ იმ წელიწადს გვალვამ დიდხანს გასტანა და ამიტომ მდინარე ისე იყო დაპატარავებული, რომ მისი გადალახვა სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. საჭირო იყო ანაკლიიდან ჯვარამდე ენგურის სანაპიროს გამაგრება, მაგრამ იმ მცირე ძალებით, რომლებიც მუხრან-ბატონის განკარგულებაში იმყოფებოდა, ამის გაკეთება ყოვლად შეუძლებელი იყო.**


კონსტანტინე დადიანი

მუხრან-ბატონი შეეცადა რამდენიმე უფრო მოხერხებული გადასასვლელის გამაგრებას. ყველაზე უკეთ გაამაგრეს რუხის გადასასვლელი, რომელიც ზუგდიდისკენ მიმავალ მოსახერხებელ გზას კეტავდა. აქ დააყენეს 2 ბატალიონი 4 სამთო ქვემეხით, კაზაკთა 3 ასეული და სამეგრელოს ლაშქრის ცხენოსანთა ორი რაზმი. **რუხთან ჩაყენებულ რაზმს მეთაურობდა გრიგოლ დადიანი** (1814-1902), სამეგრელოს მთავრის — ლევან მეხუთის ძე.

გრიგოლ დადიანმა პეტერბურგის პაჟთა კორპუსში სწავლის შემდეგ, 1834 წლიდან, ჯერ პეტერბურგის გრენადერთა, შემდეგ პრეობრაჟენკის პოლკებში იმსახურა, 1844 წელს პოლკოვნიკი გახდა. მამის გარდაცვალების შემდეგ (1845 წელს) კი სამეგრელოში დაბრუნდა. 1854 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. ყირიმის ომის შემდეგ დაინიშნა გრენადერთა დივიზიის პირველი ბრიგადის მეთაურად. იბრძოდა შამილის წინააღმდეგაც. რუსეთ-ოსმალეთის ომში (1877-1878) მონაწილეობისთვის მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1880 წელს, სამხედრო სამსახურის 50 წლისთავზე, — გენერალ-ადიუტანტის წოდება. მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა დადიანმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა, დაკრძალულია მარტვილის მონასტერში.

სწორედ ეს ღირსეული ადამიანი რუხთან ახლოს ჩაუსაფრდა მტერს, ხოლო რუხის ქვევით, კახათის გადასასვლელთან, იდგა ქვეითი ჯარის 1 ბატალიონი და **ლეჩხუმის ცხენოსანთა რაზმი კონსტანტინე ლევანის ძე დადიანის (1818-1889) სარდლობით;** კონსტანტინე დადიანმა 1839 წელს დაასრულა პეტერბურგის პაჟთა კორპუსი. 1842-1853 წლებში მონაწილეობდა კავკასიის ომებში, ყირიმის ომის დროს, 1854 წელს, კავკასიის ფრონტზე ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ სამეგრელოს სახალხო ლაშქარს მეთაურობდა. სოფელ კოკთან ბრძოლაში მოიგერია ოსმალთა კორპუსის შეტევა. ყარსის აღების შემდეგ დადიანი თავისი მილიციით გურიის რაზმის შემადგენლობაში შევიდა და წარმატებით იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ. 1858 წლიდან იყო ალექსანდრე მეორის ფლიგელ-ადიუტანტი. 1866 წლიდან გენერალ-მაიორი რუსეთ-ოსმალეთის ომში (1877-1878). ამ ომის შემდეგ მალე სამხედრო სამსახურიდან გადადგა.

კახათის ოდნავ მოშორებით, ე.წ. სანარმანიოს გადასასვლელთან კი იდგა ერთი ბატალიონი 2 ქვემეხით. ამ რაზმს რეზერვად ჰყავდა **პოლკოვნიკ ი. იოსელიანის** მეთაურობით ორი ასეული საარტილერიო ქვემეხით. სანარმანიოს გადასასვლელის დაცვას ხელმძღვანელობდა **აფხაზი პოდპოლკოვნიკი ზვამბაია.** სანარმანიოდან ორი ვერსის დაშორებით, კოკის გადასასვლელთან იდგნენ რეგულარული ქვეითი ჯარისა და კაზაკთა ორ-ორი ასეული 2 ქვემეხით. იქვე მახლობლად, ტყეში დაბანაკებული იყო საერთო რეზერვი — კურინსკის 2 ბატალიონი და იმერეთის ცხენოსანთა 4 რაზმი. კახათის, სანარმანიოსა და კოკის გადასასვლელებზე ჩაყენებული ჯარებისა და რეზერვის სარდლობა ევალებოდა **დიმიტრი შარვაშიძეს.**

**1855 წლის 25 ოქტომბერს მოხდა ენგურის ცნობილი ბრძოლა.**

ომერ-ფაშა მთელი თავისი ჯარით პირველად რუხის გადასასვლელს ეკვეთა, მაგრამ აქ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ ომერ-ფაშამ გადაწყვიტა, მოწინააღმდეგე მოეტყუებინა: მან რუხის პოზიციებთან ორი ზარბაზანი დატოვა, რომლებიც განუწყვეტლივ ისროდნენ, თვითონ კი მთავარი ძალებით ფარულად დაეშვა ქვევით და სრულიად მოულოდნელად სანარმანიოს გადასასვლელზე მიიტანა იერიში. სანარმანიოს პოზიციებთან გაჩაღდა უთანასწორო სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც თითქმის საღამომდე გაგრძელდა. თურქები იერიშზე გადავიდნენ კოკის რაიონშიც და გარემოცვის მუქარით რუსებისა და ქართველების შეერთებული ჯარები აიძულეს, უკან დაეხიათ. **სანარმანიოსთან ბრძოლაში დაიღუპნენ ამ ბრძოლის სარდლები ზვამბაია და შემდეგ მისი შემცვლელი პოლკოვნიკები: იოსელიანი, ივინი და კობელევი.**

25-26 ოქტომბრის ღამით რეგულარულმა ჯარებმა და სახალხო ლაშქარმა უკან დაიხიეს, ხოლო ენგურთან ბრძოლის რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა ივანე მუხრან-ბატონმა სრულიად მოულოდნელად დატოვა სამეგრელო, გურიაში აკეთის პოზიციები და ჯარებს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირთან, სოფელ მარანთან მოუყარა თავი.

**რუსის ჯარის წასვლის შემდეგ სამეგრელო ომერ-ფაშას ხელში რჩებოდა. მთელი საქართველო სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მოსახლეობა ადვილად როდი შეეგუა თურქთა ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპაციას — სამეგრელოს ტერიტორიაზე ნამდვილი პარტიზანული ბრძოლა გაჩაღდა.**

იმ პერიოდში სამეგრელოს სამთავროს დედოფალი **ეკატერინე ჭავჭავაძე** (1816-1882) გახლდათ, ასული ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მეუღლე სამეგრელოს მთავრის მემკვიდრის — **დავით ლევანის ძე დადიანსა.** სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი აქტიურად მონაწილეობდა სამთავროს მართვა-გამგეობაში. 1853 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრის, ნიკოს, სრულწლოვანებამდე, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე დადიანი რეგენტად დაამტკიცა.

ყირიმის ომის დროს (1853-1856), როდესაც სამეგრელოს დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს, ოსმალთა სარდალი ომერ-ფაშა შეეცადა **ეკატერინე დადიანის** გადმობირებას. იგი სამეგრელოს დედოფალს სწერდა, რომ ოსმალეთი რუსეთის დამპყრობლურ მისწრაფებათა ჩასაშლელად იბრძვის, — ეკატერინესა და მის მცირეწლოვან შვილს, ლეჩხუმის სოფელ მურში გახიზნულებს, ზუგდიდში ეპატიჟებოდა და ორივეს სამეგრელოს მმართველად აცხადებდა.

მაგრამ ეკატერინე დადიანი შეუდგა სახალხო თავდაცვის ორგანიზებას და პირადად მონაწილეობდა მტრის რაზმებზე თავდასხმაში.

**ეკატერინე დადიანი, როგორც თვით ომერ-ფაშას წერილიდან ირკვევა, მას საყოველთაოდ აჯანყებული სამეგრელოს მოსახლეობის დასამორჩილებლად სჭირდებოდა, მაგრამ ეკატერინე მტკიცედ იდგა რუსეთის ორიენტაციაზე — იგი ომერ-ფაშას მიერ გამოგზავნილ წერილებს რუსეთის სარდლობას უგზავნიდა, ფაშას კი დუმილით პასუხობდა.**

რუსეთის რეგულარული ჯარების სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოებული ბრძოლა და სახალხო ლაშქრის დარაზმვას არ მოჰკიდა ხელი. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ოსმალთა განდევნის საქმეში დიდი როლი შეასრულა. მათ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ეკატერინეს მაზლი, გენერალი **გრიგოლ დადიანი.** სწორედ ის ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ომებს სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშას წინააღმდეგ.

გრიგოლ ლევანის ძე დადიანი (კოლხიდელი) (1814-1901) გახლდათ სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, ასევე, მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში... იყო ქველმოქმედი. გრიგოლ დადიანს სამხედრო განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგში, სადაც დაუახლოვდა იქ მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს, განსაკუთრებით მეგობრობდა თეიმურაზ ბატონიშვილთან. პეტერბურგშივე დაიწყო ლექსების წერა, 22 წლისამ დაწერა პოემა „რუხის ბრძოლა (ცხოვრება დიდისა მეფის სოლომონისა)“ იოანე გეგეჭკორის ფსევდონიმით. ეს პოემა დავით ჩუბინიშვილმა შეიტანა თავისი „ქართული ქრესტომატიის“ 1863 წლის გამოცემაში.

გრიგოლ დადიანის მეუღლე იყო გურიის უკანასკნელი მთავრის, **მამია V გურიელის,** ასული **ტერეზია** (ჯვარი დაიწერეს პეტერბურგში, 1845 წელს. ჯვრისწერასა და ქორწილს დაესწრო იმპერატორი ნიკოლოზ I).

გრიგოლ დადიანის სახალხო ლაშქარი ყოველგვარ პირობებში — ავდარსა თუ დარში, დღისით თუ ღამით, მოსვენებას არ აძლევდა სამეგრელოს „დაუპატიჟებელ სტუმრებს“. იმ ხანებში კოკისპირული წვიმები დაიწყო. ადიდდა და სრულიად გადაულახავი შეიქნა მდინარეები; გზები და მინდვრები ერთიან, გაუვალ ჭაობებად იქცა. პარტიზანული ბრძოლის გაშლისთვის საუკეთესო პირობები შეიქმნა. **ომერ-ფაშამ ვერც დაპირებებით, ვერც მოსყიდვით და ვერც რეპრესიებით შეძლო მოსახლეობის მიმხრობა-დამშვიდება.**

ოსმალები სასტიკად უსწორდებოდნენ მათ წინააღმდეგ მებრძოლ მოსახლეობას — წვავდნენ სახლებსა და სოფლებს. მარტო სენაკში, თეკლათსა და ზუბში გაანადგურეს 700 სახლი, ზუგდიდის მაზრაში 22 სოფელი დაინგრა.

ამავე ხანებში ყარსის ციხესიმაგრის აღებისთვის წარმოებული ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. ყარსში მომწყვდეულ თურქეთის ჯარებსა და მათ მთავარსარდალ ვილიამსს ომერ-ფაშასაგან დახმარების მიღების იმედი აღარ ჰქონდათ. ციხესიმაგრეს გარშემორტყმულმა რუსეთის არმიამ კი სრულიად დაუხშო გარნიზონს გარესამყაროსთან ურთიერთობის ყოველგვარი საშუალება. თურქეთის ჯარს გამოელია სურსათი; წყაროებისა და მდინარეების გაყინვის გამო, სასმელი წყლის კრიზისსაც განიცდიდნენ, გავრცელდა ეპიდემიები და სხვ.

**1855 წლის 12 ნოემბერს ყარსის გარნიზონის უფროსმა მუშირ ვასიფ-ფაშამ და ინგლისის გენერალმა ვილიამსმა გადაწყვიტეს, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა და 14 ნოემბერს ყარსის ციხესიმაგრე დანებდა რუსებს.** ყარსის აღებამ დააჩქარა ყირიმის ომის დამთავრება. რუსების ხელში აღმოჩნდა კარგად გამაგრებული და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით თურქეთის დაცვისთვის მეტად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე ყარსი და ყარსის საფაშო. მომავალი საზავო მოლაპარაკების დროს რუსებს საშუალება ექნებოდათ, ყარსის საკომპენსაციოდ ყირიმისა და სევასტოპოლის გათავისუფლება მოეთხოვათ.

ყარსის გარნიზონის კაპიტულაციის შემდეგ ომერ-ფაშამ გასცა განკარგულება საექსპედიციო ჯარების უკანდახევის შესახებ. ამავე დროს, **დასავლეთ საქართველოში სახალხო ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა. ეკატერინე დადიანი პარტიზანულ ბრძოლებში პირადად მონაწილეობდა. დასავლეთ საქართველოში რუსეთის რეგულარული ჯარების დამატებითი ნაწილები გადმოვიდა. დაიწყო ომერ-ფაშას ჯარების წინააღმდეგ შეტევა. სამეგრელოს სახალხო ლაშქარი მოწინავე პოზიციებზე იბრძოდა. ოსმალები ზღვისპირისკენ იხევდნენ და გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდნენ. მათ გაძარცვეს და დაწვეს სამეგრელოს მთავრის სასახლეები, უმოწყალოდ გაჩეხეს ეკატერინე დადიანის მიერ ზუგდიდში გაშენებული იშვიათი პარკი და სხვ.**

თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისთვის **მუხრანბატონი დაჯილდოვდა წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენით.**

1856 წელს **ეკატერინე დადიანი** მიიწვიეს ალექსანდრე მეორის მეფედ კურთხევის ცერემონიაზე; პეტერბურგში იგი დიდი პატივით მიიღეს, მიანიჭეს „სტატს დამის“ წოდება და **წმ. გიორგის მედლით დააჯილდოეს.**

ოსმალთა ჯარებს ყირიმის ომის საზავო მოლაპარაკებამ ყულევში მოუსწრო. **1856 წლის 18 მარტს დადებული ზავის საფუძველზე მებრძოლ მხარეებს ერთმანეთისთვის უნდა დაებრუნებინათ დაპყრობილი ტერიტორიები. ყარსის ნაცვლად, რუსეთმა დაიბრუნა ყირიმში დაკარგული ქალაქები, სამეგრელოს ნაწილი (ყულევის მიდამოები) და აფხაზეთი. სოხუმი ოსმალებმა 27 მაისს დაცალეს. დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდა, მაგრამ ომიანობის გამო ქვეყნის მეურნეობა საფუძვლიანად შეირყა.**

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი პოლკოვნიკი **კოლუბიაკინი** წერდა: **„ომმა მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოავლინა ადგილობრივი თავადაზნაურობის გულადობა. 1854 წელს ადგილობრივი მილიციის ჩინებულმა იერიშმა გადაწყვიტა ჩოლოქის ბრძოლის ბედი. ძლევამოსილად დაამთავრა პირველი კამპანია და დიდი ხნით უზრუნველყო ამიერკავკასიის საზღვაო სანაპირო ზოლი. 1855 წელს იმერეთის მწყობრმა ლაშქარმა თავისი მონაწილეობით ენგურზე, ისეთი მონაწილეობით, რომელიც მოწინააღმდეგეს დაუნდობელი სახალხო ომით ემუქრებოდა, დიდხანს შეაკავა ომერ-ფაშა შემოჭრისაგან. ბოლო დროს თავისი ყოველდღიური პარტიზანული თავდასხმებით სამეგრელოში მან დაამტკიცა ენერგიულობა, შეუპოვრობა და ქედმოუხრელი ერთგულება.**

**ყარსის აღებას რუსეთი ადგილობრივ თავადაზნაურობას უნდა უმადლოდეს, რადგან იმერეთი, ასე ვთქვათ, მოალყე კორპუსის კონტრვალაციურ ხაზს წარმოადგენდა. მთავარსარდალს, მხოლოდ იმერლების სიმტკიცით სრულიად დაიმედებულს, შეეძლო, არ შეშფოთებულიყო ომერ-ფაშას შემოტევით ან ჩვენი გენერლების წარუმატებლობით ალყა არ მოეხსნა“.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეროვნული მოძრაობის ნიღბით საქართველოში უმადურობის შხამის დათესვა დავიწყე და ვეცადე, ქართველებს ერთგული მეგობარი და მხსნელი რუსეთი შეეძულებინათ. მართალია, ქართველებს რუსეთი ვერ შევაძულე, მაგრამ ხელისუფლებაში სწორედ ჩემი შხამით მოწამლული ფულის მონების დასმა შევძელი, ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ახმახმა და ჩახმახმა. მას შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში სულ ჩემი, ახმახისა და ჩახმახის ერთგული ეშმაკეულნი მბრძანებლობენ და რუსეთის გინებით ქართველ ხალხს გარყვნილებისკენ ექაჩებიან.**

# ეშმაკთა «საზეიმო» თავყრილობა

**ეშმაკთა მბრძანებლის ფართო მოსაცდელში გნიასია. ხმაურობს და როკავს ბოროტების ბუდე. მორიგ თავყრილობაზე მხიარულად ცხადდებიან ქაჯ-ეშმაკები — სიკეთეზე შეტევის წარმატებაში დარწმუნებულები ერთობიან, სანამ მთავარი ეშმაკი ადუღებულ კუპრში ბანაობას დაასრულებს. ბოლავს მიწისპირი. გოგირდის მყრალი კვამლი აქა-იქ აშფოთებს ადამიანებს. კარგად იციან, რომ ქვესკნელში ქაჯ-ეშმაკთა გააქტიურება ზესკნელის ქაჯ-ეშმაკებს შეჰმატებს ძალას და ყველგან მათი როკვა დაიწყება, თუმცა ბოლო პერიოდში ისედაც გვარიანად წამლავენ ადამის მოდგმას.**



ბელზებელი მდუღარე კუპრიდან ამოვიდა, ბალანი შეიბერტყა და ეშმაკების შემოსვლა ბრძანა. გოგირდის სუნით აქოთებული ბუნაგი წვრილ-მსხვილი ეშმაკებით გაივსო. ბელზებელი მაღალი ლოდის ქიმზე მოკალათდა.

— ჩვენი მოვალეობაა ადამიანთა მოდგმის გადაჯიშება. ადამიანი ეშმაკად ვერ იქცევა, მაგრამ ისეთი ბოროტებით შეუძლია სიცოცხლის მოწამვლა, რომ ეშმაკებსაც გაუკვირდებათ. თუ ადამიანს მომხვეჭელობა შეეყარა, თავისუფალია ადამიანობისგან, ის ეშმაკის მსახურია, რადგან გაუმაძღრობაშეყრილი სიკეთის გზაზე ველარ შედგება, ფულს დაემონება და სიწმინდეებს გაწირავს, ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ეს სამყარო ბოროტების ბრძოლაა სიკეთესთან. ჩვენი მოვალეობაა ბოროტების შხამით სიკეთის სიტკბოს ჩამწარება, — თქვა ბელზებელმა.

— ამიერიდან ჩვენი შეკრებები საზეიმო იქნება, — აჭყივლდა გაქუცული ბებერი ეშმაკი ჩმახი, უხსოვარ დროიდან ქართველთა გადაგვარება-გადაჯიშება რომ ევალებოდა.

— რა გაქვს საზეიმო? — ჰკითხა ბელზებელმა.

— ბოროტებას, უსირცხვილობას, გარყვნილება-სიბილწეს, რომელსაც ვქადაგებ, არასდროს ჰქონია ისეთი წარმატება, როგორც ბოლო ხანს, — თქვა ჩმახმა და ბელზებელის საამებლად დაიღრიჭა.

— კუდამოძუებულიც მინახავხარ, საქართველოდან გამოპანღურებულიც, იქით გახედვას რომ ველარ ბედავდი და მეხვეწებოდი, სადმე პაპუასებთან გამიშვიო, გახსოვს? — ნიშნის მოგებით უთხრა ბელზებელმა.

— მახსოვს, როგორ არა, სწორედ ამიტომ დავამსგავსე პაპუასებს. ახლა საქართველოში შენი იდეების ზეობაა. მეც, როგორც რიგითი ქურუმი, დამოძღვრას არ ვაკლებ და შედეგად ჩემი ეშმაკეულნი უწმინდესსა და უნეტარეს პატრიარქს ლანძღავენ. ულმერთოები ეშმაკების სამსახურში ჩავაყენე და მალე აქ, ადუღებულ კუპრში ჩვენი ბალნის ტილებთან ერთად იფართხალებენ.

— გვითხარი, როგორ მოახერხე ქართველთა გადაჯიშება, რომ ამ ყეყეჩმა, რქამოტეხილმა ბეჩავმა რუსეთის ეშმაკმაც გაატოკოს თავი, თორემ რუსეთმა შეიძლება, სრულიად გაგვიქარწყლოს დიდი აღზევება, — თქვა ბელზებელმა.

— ხომ იცით, უგარყვნილესო და უგათახსირებულესო მბრძანებელო, ტრაბახში ვერავინ მჯობია, მაგრამ ქართველთა გადაჯიშებას მაინც ვერ დავიკვეხნი. რაოდენობით მცირე, მაგრამ შემოქმედებითი და ადამიანური სიწმინდეების საძირკველში ჩადებული წვლილის მიხედვით დიდი და მძლავრი ერია. წმინდანთა ხსოვნასა და ტრადიციებს არ ღალატობენ, — ბრაზი შეეპარა ჩმახს.

— აბა, რა თავბრუ დაგვახვიე ფუჭი ბაქიბუქით?! — იჭყივლა ბელზებელმა.

— როგორ ფიქრობთ, მბრძანებელო, ქართველების ასე დაბეჩავებას და გაუბედურების გზაზე შეყენებას ეშმაკის ჭკუის მოქნილად გამოყენება არ უნდოდა? — თქვა ჩმახმა და ცოტა ხანს გაჩუმდა.

— მაშინ ქართველების დაბეჩავებაზე მოგვიყევი, — უთხრა შემრიგებლური ტონით ბელზებელმა.

— კარგად იცით, ქართველებს, როცა მათ მოსპობას წინ აღარაფერი ელობებოდა, უფალმა, მეფე **ერეკლე მეორის** მცდელობით, რუსეთი მოუვლინათ მხსნელად და გადამრჩენად. სანამ რუსებთან მეგობრობდნენ, ქართველები ისე გამრავლდნენ და გაძლიერდნენ, რომ გააქრეს ჩემი ხსენება. სადღაც კლდის ნაპრალში ვაფარებდი თავს. გარეთ გამოსვლისაც კი მეშინოდა, რუსეთის ეშმაკივით რომ არ მოვესროლეთ.

**როგორც კი ნაპრალიდან გამოსვლის საშუალება მომეცა, ეროვნული მოძრაობის ნიღბით საქართველოში უმადურობის შხამის დათესვა დავიწყე და ვეცადე, ქართველებს ერთგული მეგობარი და მხსნელი რუსეთი შეეძულებინათ. მართალია, ქართველებს რუსეთი ვერ შევაძულე, მაგრამ ხელისუფლებაში სწორედ ჩემი შხამით მოწამლული ფულის მონების დასმა შევძელი, ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ახმახმა და ჩახმახმა. მას შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში სულ ჩემი, ახმახისა და ჩახმახის ერთგული ეშმაკეულნი მბრძანებლობენ და რუსეთის გინებით ქართველ ხალხს გარყვნილებისკენ ექაჩებიან.** ამაში დიდი წვლილი შეაქვთ პარტიად წოდებულ ახმახისა და ჩახმახის მსახურ ბანდებს და ევროპაში ტვინგამოლაყებულ არასამთავრობოდ წოდებულ დემაგოგი ახალგაზრდების ხროვას. მართვის აღვირი ჩემი ეშმაკეულების ხელშია და დღემდე წარმატებით აბითურებენ ხალხს. მას შემდეგ, რაც ქართველებთან ვტრიალებ მათ დასაყენებლად ეშმაკ-ქაჯურ გზაზე და ყოველგვარ სიკეთეს ბოროტებით ვწამლავ, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბევრჯერ ისეთი მოსპობა-გადაგვარების ბოროტი ცეცხლი შევუნთე, რომ არ მეგონა, სიკეთისკენ თუ მობრუნდებოდნენ, მაგრამ ყოველთვის გონს მოდიოდნენ და ახალი ძალით ებრძოდნენ ეშმაკისეულს. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამჟამად გარყვნილება-გადაგვარება-მოსპობის ბორბალი გამალებით ბრუნავს და სიკეთის ხსენებას აქრობს, ამხელა გამოცდილების მქონე ეშმაკს მაინც შიშის ჭია მღრღნის — ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მცხოვრებ ხალხს უფალი სწორედ მაშინ ეხმარება, როცა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. გევედრებით, უუწმინდურესო, უფალი დაგვეხსნას და ქართველთა სახსენებელს გავაქრობ,** — თქვა ჩახმახმა და კისერი მოიდრიკა.

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამჟამად გარყვნილება-გადაგვარება-მოსპობის ბორბალი გამალებით ბრუნავს და სიკეთის ხსენებას აქრობს, ამხელა გამოცდილების მქონე ეშმაკს მაინც შიშის ჭია მღრღნის — ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მცხოვრებ ხალხს უფალი სწორედ მაშინ ეხმარება, როცა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას**



— რა, უფალს სიკეთეზე ხელი ავაღებინო და ბოროტების მფარველობა ვთხოვო?! შე თავქარიანო ბებერო, ველარ შეიგნე, რომ უფალი ცდილობს, სიკეთის გზაზე დაგვაყენოს. თითის გატოკებით შეუძლია ჩვენი მოსპობა, მაგრამ სიკეთის, სიყვარულის, ცოდვების შენდობის დიდსულოვან მსახურს ამის გაკეთება არ სურს. ჩვენც სწორედ მისი დიდი მოთმინებით ვსარგებლობთ და ვამწარებთ მის მიერ სიკეთისთვის, ბედნიერებისა და სიყვარულისთვის შექმნილ სამყაროს. შენ კი გინდა, რომ უფლის მოთმინების ფიალას ამ თავხედური თხოვნით ბოლო წვეთი მივამატო და ეშმაკთა არსებობა გავაქრობინო?! — აჭყივლდა ბელზებელი, რომლის ნათქვამიც ქაჯ-ეშმაკთა თავყრილობის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა — ეგონათ, სამყაროს ეშმაკები განაგებდნენ და თურმე რა შესძლებია უფალს!

— უფალი ჩემსავით ბოროტების მსახური რომ იყოს, ეშმაკთა ხსენებას გააქრობდა. ამიტომ სიფხიზლეა საჭირო, ეშმაკეული ხალხისთვის სიკეთისა და ბედნიერების მოტანის სურვილით უნდა შევნილბოთ, — განაგრძო ბელზებელმა.

— სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი, — შეაწყვეტინა მეტიჩარა ჩმახმა.

— ჩამოფქვი, რისი თქმა გინდა, — აღარ დატუქსა ბელზებელმა მეტიჩარა ჩმახი.

— როცა ბოროტებას ვანთხევ და გარყვნილებას ვამრავლებ, ხალხის საკეთილდღეოდ დემოკრატიის სახელით ვნიღბავ.

— შენ რას ნიღბავ, შე ტრაბახა! — წამოხტა უშველებელღოჯებიანი ზორბა ეშმაკი ახმახი, რომელსაც ჩმახი მუხლებამდეც ვერ სწვდებოდა.

— დემოკრატიის ნიღბით მე ვათახსირებ კაცობრიობას! — დაიჩხავლა ახმახმა. — დემოკრატიის სახელით სატანის საჯირითო არენად მე ვაქციე ერაყი. სიკეთე ბოროტებად ვაქციე და ახლა იქ ქაოსი ბობოქრობს.

— მბრძანებელო, მეც ახმახის გვერდით ვარ, — აქა-იქ ბალანგაცვენილი, მოკუზული ბოროტება გვერდით ამოუდგა ახმახს და ამაყად დაიჯღანა. მას აჰყვა ბალანზე მოჭიდებული სვასტიკიანი ეშმაკი და ორი პატარა სიმახინჯე.

— რა საშინელი ეშმაკია და რა სასიამოვნოდ მახინჯი წვრილფეხობა ჰყოლია, — ამოიკნავლა ახალგამოჩეკილმა ეშმაკმა.

— ახმახი ამერიკელთა გადაგვარებას ემსახურება, ჩახმახი კი ნატოდ წოდებული ევროპის უბედურებაა, მაგათ შორის ბევრს რომ ხმაურობს ეგ რახრახია, უკრაინელთა ჭირად შექმნა ბელზებელმა. უკრაინელებს უნდა აურიოს ტვინი, რათა მოძმე რუსებს მტრად მოეკიდონ. ის პატარა, ვირთხას რომ ჰგავს, ცახცახია — ბალტიისპირეთის ხალხების გასაუბედურებლად შექმნილი ეშმაკი, რომელიც ფაშიზმის აღორძინებას ემსახურება და ხალხს რუსეთის ინტერვენციით აშინებს. ჩახმახს ბალანზე რომ ეკვრის და წრიპინებს ეშმაკეთის სიამაყეა — ფაშიზმი. კარგა ხანს ჩვენთან, პენსიონერებთან იყო, მაგრამ ბელზებელმა მისი კვლავ ამოქმედება ისურვა და ჩახმახთან გაამწესა. ჩმახი კიდევ საქართველოს საუკუნეებგამოვლილი უბედურება, თითქმის ბელზებელის ასაკისა.

— შენ ვინა ხარ? — არ ასვენებდა ცნობისმოყვარეობა ახალგამოჩეკილი ეშმაკს.

— მე ძველი რომის ეშმაკი ვარ, აწ უკვე დამსახურებული პენსიონერი. ლათინთა უძლიერესი მოდგმის გამრყვნელი და ამომგდები. აღსაზრდელად შენც მოხვალ ჩემთან და ნახავ, როგორ გამოგაწრთობ გარყვნილების ქურაში.

— აგერ მაღალი, მწითური, რქამოტეხილი, წელში მოხრილი და ალაგ-ალაგ ბალანგაცვენილი არის ფაფახი, რუსეთის მოსასპობად შექმნილი არარაობა, — ლათინთა ამომგდებმა მისკენ გადააფურთხა, — რუსეთში ფეხქვეშ გაიგდეს და ძლივს გამოასწრო.

— ახმახო და ჩახმახო, თქვენ ხართ ეშმაკების სიამაყე, — საზეიმოდ გამოაცხადა ბელზებელმა და ატყდა ეშმაკების გამაყრუებელი ჭყივილი.

— დიდი მადლობა, მბრძანებელო, შექებისთვის, გვერწმუნეთ, დედამიწას ეშმაკების საჯირითო მოედნად გადავაქცევთ, — ერთხმად ამოიჭყივლეს ხოტბაშესხმულებმა.

— ამას როგორ აპირებთ, მოგვიყევით და გაახარეთ თავყრილობის მონაწილენი, — ბრძანა ბელზებელმა.

— უწინარესად, გარყვნილების, აღვირახსნილობის, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებით, ყველა გათახსირებულის აღლუმებით უნდა წავბილწოთ ადამის მოდგმა. ვაი მას, ვინც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას არ დააკანონებს. ეს ყველა ბოროტება და სიმუხთლე დემოკრატიის ნიღბით რყვნის ადამიანებს და სვრის ყველა სიწმინდეს. გარდა ამისა, მადლობა, უუწმინდურესო, რომ ფაშიზმის აღორძინება ბრძანეთ და ჩემს ბალანზე მოჭიდებულნი წარმატებით სპობენ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ობელისკებს პოლონეთში, ბალტიისპირეთსა და უკრაინაში, — ამაყად განაცხადა ჩახმახმა. — საქართველო რატომ დაივიწყეთ, — აჭყივლდა ჩმახი, — იქ უფრო ადრე არ დავიწყეთ ობელისკების აფეთქება და ძეგლების ნგრევა?!

— დაიწყეთ, მაგრამ გაჩერდით, — შეედავა ჩახმახი.

**— ხალხი ისე იყო აღშფოთებული, რომ ჩვენს ლაქია ნაციონალებს გააუტავდნენ და ბუმბულს ქარს გაატანდნენ, მაგრამ ეშმაკური მეთოდით ვითომ ხალხის რჩეულები მოვიყვანეთ ხელისუფლების სათავეში, მოვიგონეთ კოჰაბიტაცია და ასპიტი ნაციონალები ნარის ეკალივით მოვამრავლეთ. ახლა, ერთის ნაცვლად, ასპიტი ნაცების პარტიად წოდებული იმდენი ბანდა გვყავს** ▶

**ქალბატონ მარგარიტა მჭედლიძის ცხოვრება იყო იმის ნათელი მაგალითი, რამდენი რამის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს ქვეყნისათვის, როდესაც ის ცხოვრების მიზნად სამშობლოსა და ხალხის სამსახურს დაისახავს. გამორჩეული ინტელექტი და თეორიული ცოდნა, სახელოვანი წინაპრები და ოჯახური გარემოცვა, ჭეშმარიტების მიღწევის დაუოკებელი ჟინი, კომუნიკაბელობის უბადლო ნიჭი, უბრალოება, დიდი პრაქტიკული გამოცდილება, თანდაყოლილი შინაგანი სისპეტაკე, ყველგან და ყოველთვის სიკეთის თესვის უდიდესი სურვილი იყო ის დადებითი აურა, რომლითაც დამუხტული იყო ქალბატონი მარგარიტა.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ჩასათბურებული, მალე ნახავთ, როგორ კარნავალს გავმართავთ საქართველოში,** — ამაყად იჭყივლა ჩახმახმა.

— უჩვენოდ მეტიჩარა ყვინჩილასავით გაგპუტავდნენ, — გაუწყრა ჩახმახი ჩმახს. ახმახმაც დაუბრიალა თვალები და ჩმახს პასუხის გაცემის სურვილი ლაშებზე შეახმა.

— მე და ახმახმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგად მოპოვებული სიმშვიდე არ შევარგეთ კაცობრიობას. მას შემდეგ ცეცხლითა და ყალბი დემოკრატიის ბანგით ვსპობთ და ვანადგურებთ ადამიანისთვის ნებისმიერ სიკეთეს. მხოლოდ საბჭოთა კავშირი გვიშლიდა ხელს. ეს ქვეყანაც დაიშალა და მსოფლიოს ჯოჯოხეთად გადაქცევაში ხელს აღარავინ გვიშლიდა, მაგრამ მართლმადიდებელი რუსეთი ისევ წამოიმართა და ყოველივე ეშმაკისეულს, სადაც კი ხელი მიუწვდება, უფლის სახელით სპობს.

— რას აკეთებს რუსეთზე პასუხისმგებელი ფახფახი?! გავკრეჭ და ლოდზე მივაბამ! — აჭყივლდა ბელზებელი.

— მბრძანებელო, რისთვის მემდური, ჩემზე უკეთესად ვინ გაისარჯა? რუსეთი სამოქალაქო ომის ქარცეცხლით ვინ დააბეჩავა? სტალინი რომ არა რუსეთის ხსენებას გავაქრობდი. რატომ არ მომაშორე?! ხელი ჩამავლო და მოუსავლეთში მომისროლა, რქა მომტეხა და ძვლები დამიმსხვრია. სანამ სტალინი ცოცხალი იყო ქვესკნელში რად იმალებოდი? ცოტაც და ეშმაკების სახსენებლს გააქრობდა ფაშისტებთან ერთად. მე რა შემეძლო, როცა ზურგზე ბოლი აგადინა და ზესკნელისკენ ამოხედვასაც ველარ ბედავდი.

— სტალინისნაირი უძლიერესი გონებისა და კაცობრიობის ბედნიერებისთვის თავდადებული ადამის მოდგმას არ ჰყოლია. ცოტაც და ბოროტებას ბოლოს მოუღებდა, მაგრამ, ხომ ხედავ, გადავრჩით, — ამოღერღა ბელზებელმა.

— მისი სიკვდილის შემდეგ ჩემ მიერ გაწვრთნილმა სიბილწემ არ დაიწყო საბჭოთა კავშირის ნგრევა? მას შემდეგ ჩემი შერჩეულნი არ ღრღნიდნენ სტალინის ძლიერი გონებით ნაგებ ქვეყანას? რამხელა ძალისხმევა დამჭირდა ადამიანთა მოდგმის იმედად შექმნილი ქვეყნის დასაშლელად?

— დაგჭირდა კი არა, დაგვჭირდა, — შეუსწორა ბელზებელმა.

— ჰო, დაგვჭირდა. რუსეთი უკვე ყასბის კუნძზე გვყავდა შემოდებული ჩვენი მსახური ლოთი **ელცინის** დახმარებით. მაგრამ მის ადგილას ეშმაკთა მოდგმის დაუძინებელი მტრის, **პუტინის** მოსვლა რატომ დაუშვით?! — აჭყივლდა ფახფახი.

— ვინ იფიქრებდა უკვე დასანაწევრებლად გამზადებული რუსეთის გამოცოცხლებას? ამაში უფლის ხელი ურევია! წადით, ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ, უფლის გაღიზიანებას ერიდეთ! — აჭყივლდა ბელზებელი.

ქაჯები თავპირისმტვრევით გაცვივდნენ.

— ვაჰმე, ქართველებს თუ ისევ გადმოხედა უფალმა, რა მეშველება?! — ამოიკვნესა ჩმახმა და ეშმაკთა ბანდას შეერია.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი**

# სახელოვანი მეცნიერი და პედაგოგი

**საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული მეხილეობისა და ეკოლოგიის კათედრის პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, ქალბატონ მარგარიტა სიმონის ასულ მჭედლიძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.**



ქალბატონ მარგარიტა მჭედლიძის ცხოვრება იყო იმის ნათელი მაგალითი, რამდენი რამის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს ქვეყნისათვის, როდესაც ის ცხოვრების მიზნად სამშობლოსა და ხალხის სამსახურს დაისახავს. გამორჩეული ინტელექტი და თეორიული ცოდნა, სახელოვანი წინაპრები და ოჯახური გარემოცვა, ჭეშმარიტების მიღწევის დაუოკებელი ჟინი, კომუნიკაბელობის უბადლო ნიჭი, უბრალოება, დიდი პრაქტიკული გამოცდილება, თანდაყოლილი შინაგანი სისპეტაკე, ყველგან და ყოველთვის სიკეთის თესვის უდიდესი სურვილი იყო ის დადებითი აურა რომლითაც დამუხტული იყო ქალბატონი მარგარიტა და, რომელსაც ასე გულუხვად უნაწილებდა თავის სტუდენტებსა და კოლეგებს, მის გარშემო მყოფ ადამიანებს.

**მარგარიტა მჭედლიძე** დაიბადა 1917 წლის 20 ნოემბერს ქუთაისში სასულიერო პირის, **სიმონ მჭედლიძის** ოჯახში. ეს ის პიროვნებაა, რომელმაც 1869 წელს ქუთაისში გახსნა პანსიონი პროგიმნაზია და 1908 წელს ქუთაისშივე დაარსა სარწმუნოებრივ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ძმობა". საზოგადოება „ძმობის" საქმიანობის ფართოდ გასაშლელად მან იყიდა შენობა და გამართა სტამბა, რომელიც მდებარეობდა თამარ მეფისა და პაოლო იაშვილის ქუჩების კუთხეში. სტამბაში იბეჭდებოდა სიმონ მჭედლიძის დაარსებული გაზეთი: „შინაური საქმეები", შემდეგ — ჟურნალი „განთიადი", ორივე გამოცემას თვითონვე რედაქტორობდა. „ძმობის" სტამბაში იბეჭდებოდა იმერეთის მხარის 10 სხვადასხვა გაზეთი. აქვე გამოიცა 100-მდე წიგნი. მათი უმრავლესობა გამომცემლის შემწეობით, ხოლო 20 დასახელება მისივე ავტორობით და თანაავტორობით დაისტამბა.

**მღვდელ-განმანათლებლის ესოდენ ნაყოფიერი მიმართულების საქმიანობის მიუხედავად, 1924 წელს სიმონ მჭედლიძე დააპატიმრეს და იმავე წლის 28 აგვისტოს ღამით, შეურაცხყოფილი და ნაწამები, 4 სხვა მღვდელთან ერთად, დახვრიტეს საფიჩხიის ძველ სასაფლაოზე. მათი დასაფლავების სავარაუდო ადგილს ამკობს მემორიალური დაფა. 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს ეპარქიის გაფართოებულ კრებაზე სვეტიცხოველში მოხდა სიმონ მჭედლიძის მოწამედ კანონიზება.**

სიმონ მჭედლიძის მეუღლე გახლდათ თავადის, გენერალ **ბესარიონ დგებუაძის ასული ეკატერინე.** მათ 13 შვილი ჰყავდათ, მათგან 6, სხვადასხვა მიზეზის გამო, ნაადრევად გარდაიცვალა. დანარჩენებმა დიდი შრომის შედეგად ღირსეული ადგილი დაიკავეს ქვეყნის ისტორიაში.

უფროსი ვაჟი **ბესარიონ მჭედლიძე** გადაასახლეს 1937 წელს და გადასახლებაში დაიღუპა.

ქალიშვილი **ბარბარე** თითქმის 70 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის პირველი გიმნაზიისა და შემდეგ I საშუალო სკოლის მასწავლებლად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. შექმნა თბილისის I გიმნაზიის ისტორია. 1996 წელს აღინიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი. გარდაიცვალა 90 წელს გადაცილებული.

ქალიშვილი **ნინო** — მათემატიკის მასწავლებელი, ხოლო **ეკატერინე** ინჟინერი გახლდათ.

**ბიძინა მჭედლიძის** სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობა. ხელმძღვანელობდა ქუთაისში მსხვილ საამშენებლო ტრესტს. მან ააშენა სოხუმში უნიკალური გუმისთის ხიდი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

**დიმიტრი მჭედლიძე** — ცნობილი მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი იყო. წლების განმავლობაში ამშვენებდა მოსკოვის ოპერისა და ბალეტის დიდ თეატრს არა მხოლოდ როგორც წამყვანი სოლისტი, არამედ როგორც საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი. შემდეგ 20 წელი სათავეში ედგა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს. მისი დამსახურებაა ქუთაისში საოპერო თეატრის დაარსება და ეს ღვაწლი ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭებითაც აღინიშნა.

სიმონ მჭედლიძეს ჰყავს სახელოვანი შთამომავლობა. ზოგიერთი მათგანის აღნიშვნა აუცილებლად მიგვაჩნია.

**ბიძინა მჭედლიძე** — საქართველოს დამსახურებული ინჟინერი იყო, ტრესტის მმართველი და მამის საქმის გამგრძელებელი. მისი ხელმძღვანელობით აშენდა სოხუმის აეროპორტი და მისკენ მიმავალი ტრასა. ხელმძღვანელობდა აფხაზეთში სოხუმის შემოსავლელი გზის მშენებლობას.

**ნანა მჭედლიძე** — კინორეჟისორი და საზოგადო მოღვაწე. ავტორი ფილმებისა „იმერული ესკიზები", „პირველი მერცხალი" და სხვ.

**რამაზ მჭედლიძე** — ცნობილი ჟურნალისტი და დიპლომატი.

**ვაჟა მელიქიშვილი** (ნინო მჭედლიძის მეუღლე) ცნობილი მოქანდაკეა, ხოლო **დამანა მელიქიშვილი** — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი, იოანე პეტრიწის მკვლევარი. გელათის აკადემიის დამაარსებელი და მისი ნამდვილი წევრი (ისინი ნინო მჭედლიძის შვილები არიან).

ქალბატონ მარგარიტას დიდი და სასახელო სანათესაოს ღირსეული წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთში.

**მარგარიტა მჭედლიძე არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და აკადემიკოს-მდივნად. იყო ამავე აკადემიის აფხაზეთის განყოფილების უფროსი... მრავალი წლის განმავლობაში სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის და სხვა საპატიო წოდებები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით**

რაც შეეხება **ქალბატონ მარგარიტას**, მან 1934 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და მომდევნო წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1940 წელს. 1941-45 წლებში მან ასევე წარჩინებით გაიარა საასპირანტო მომზადება ეკოლოგიის სპეციალობით აკადემიკოსების — ტარასი კვარაცხელიას და ვასილ გულისაშვილის ხელმძღვანელობით და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

* 1948-52 წლებში მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრის ლაბორანტად და შემდეგ ასისტენტად. 1951 წელს მას მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება.

* ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო ინდტიტუტის გახსნის შემდეგ, 1952 წელს, ქალბატონი მარგო გადმოჰყავთ ამ ინსტიტუტის მეხილეობის კათედრის დოცენტად.

* 1954 წელს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სუბტროპიკულ მცენარეთა ეკოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის კათედრა, სადაც დოცენტის თანამდებობაზე იმუშავა 1967 წლამდე. ეს იყო ახალი სპეციალობის, ამ პროფილის მიმართულების პირველი კათედრა არა მხოლოდ საქართველოში არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. მის ფორმირებასა და მიმართულების განსაზღვრაში, ავტორიტეტისა და აღიარების მოპოვებაში დიდი როლი ითამაშა ქალბატონმა მარგომ, როგორც იმხანად ერთ-ერთმა პირველმა კვალიფიციურმა სპეციალისტმა.

* 1959 წელს ინსტიტუტი ქუთაისიდან სოხუმში გადაიტანეს, სადაც მას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ეწოდა. ქალბატონი მარგო განაგრძობდა იმავე კათედრის დოცენტად მუშაობას. 1967 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ამავე წელს ის კათედრის გამგედ აირჩიეს. 1969 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1981 წელს, სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ, კათედრა ჩამოყალიბდა ახალი სახელწოდებითა და შინაარსით: სუბტროპიკული მეხილეობის და სუბტროპიკულ მცენარეთა ეკოლოგიის კათედრა, რომელსაც მარგარიტა მჭედლიძე განაგებდა 1991 წლამდე.

* 1973-88 წლებში ქალბატონი მარგარიტა იყო დეკანი ინსტიტუტის წამყვანი მაპროფილებელი სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტისა, სადაც მან არაერთ კარგ წამოწყებასა და ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.

განუზომელია მისი ღვაწლი სტუდენტობის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართვის მხრივაც. 1956 წლიდან გარდაცვალებამდე ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების უცვლელი ხელმძღვანელი იყო. ამ ხნის განმავლოვბაში ჩატარდა 45 სამეცნიერო კონფერენცია და მოსმენილი იქნა 2 500-ზე მეტი მოხსენება (მათგან 50 მოხსენების ხელმძღვანელი იყო ქალბატონი მარგო). სწორედ სამეცნიერო მუშაობამ განაპირობა უამრავი ახალგაზრდის ბედი, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა თუ სასწავლო ინსტიტუტებში.

ქალბატონი მარგარიტა მჭედლიძე ათობით სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე იყო, უანგაროდ ილვწოდა კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისთვის. მისი ხელმძღვანელობით საასპირანტო მომზადება გაიარა 25 ახალგაზრდამ, ხოლო დოქტორანტურა — 5-მა. ისინი წარმატებით განაგრძობენ ნაყოფიერ საქმიანობას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, კუბაში, ვიეტნამში, ეგვიპტეში, სირიაში, ჩეხეთში. ქალბატონი მარგარიტა გახლდათ მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი და რეცენზენტი.

მარგარიტა მჭედლიძე არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და აკადემიკოს-მდივნად. იყო ამავე აკადემიის აფხაზეთის განყოფილების უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს წევრი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, მრავალი წლის განმავლობაში სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის და სხვა საპატიო წოდებები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

**როლანდ კოპალიანი,**
**პროფესორი;**
**რამაზ კილაძე,**
**ასოცირებული პროფესორი**

## პოლ კრეიგ რობერტსი:

# ეს სიგიჟეა, ეს ბოროტებაა თუ ერთიცა და მეორეც



პენტაგონის შეფმა ჯეიმს მეტისმა აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში სიტყვით გამოსვლისას აღიარა, რომ წარმოუდგენია სიტუაცია, როდესაც ამერიკის ლიდერმა დონალდ ტრამპმა შეიძლება, კონგრესის ნებართვის გარეშე, გასცეს ბრძანება პრევენციული ატომური დარტყმის შესახებ.

„თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი (თუნდაც რომელიღაც ერთი ქვეყანა) ემზადებიან ამისთვის (აშშ-ის დასაბომბად ბირთვული იარაღით) და ეს გარდაუვალია, მაშინ მე თავისუფლად შემიძლია წარმოვიდგინო ასეთი სიტუაცია. და ეს ერთადერთი საშუალება არ არის ჩვენს არსენალში. მიმაჩნია, რომ კონგრესის მხრიდან კონტროლი არ უნდა გავუთანაბროთ ოპერატიულ მართვას“, — განაცხადა მეტისმა და სენატორებს მოუწოდა, „ენდონ არსებულ სისტემას, რომელმაც დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა ათეული წლების განმავლობაში“.

სწორედ ამ საკითხს გამოეხმაურა თავის ვებგვერდ Paulcraigroberts.org-ზე ეკონომიკური მეცნიერების დოქტორი, აშშ-ის ფინანსთა მინისტრის თანაშემწე რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში, გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორნელისა“ და ჟურნალ „ბიზნესვიკის“ ყოფილი რედაქტორი და მიმომხილველი, „ვაშინგტონ პოსტის“ ყოფილი ექსპერტი, უამრავი წიგნის ავტორი **პოლ კრეიგ რობერტსი** წერილით „ეს სიგიჟეა, ეს ბოროტებაა თუ ერთიცა და მეორეც“, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

„რადგან **პრესტიტუტი** (ნეოლოგიზმი, რომელიც წარმოიშვა სიტყვების — პრესისა და პროსტიტუტის — შეერთებით. იყენებენ იმ ჟურნალისტებისა და მედიასაშუალების მიმართ, რომლებიც, ადამიანებამდე მართალი ინფორმაციის მიტანის ნაცვლად, ფაქტებს ამახინჯებენ ან ცრუობენ ფულის ან „ზემოდან ზემოქმედების გამო“ — ნ. კ.) მასმედია ლოიალური არ არის სიმართლისადმი და არ შეიძლება ენდო, უნდა დავფიქრდეთ: „შეიძლება კი დავუჯეროთ ნეკროლოგებს?“

არ ვიცი, დავუჯეროთ თუ არა პრესტიტუტებს, მაგრამ ამჟამად ისინი იუწყებიან, რომ ამერიკული ავიამზიდების სამი ჯგუფი ან უკვე განლაგდა ჩრდილოეთი კორეის ნაპირებთან, ან მისკენ მიმავალ გზაზე არიან.

რისთვის? **სულელები ვაშინგტონიდან, რომლებიც ბრიტანეთის მე-19 საუკუნის ბრიტანულ იმპერიულ პრაქტიკას იყენებენ, რატომ გზავნიან სამხედრო ხომალდებს სხვის სანაპიროებთან?**

ეს ინფანტილიზმია. ჩინეთმა უკვე განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის უფლებას არავის მისცემს, თუ თვითონ ჩრდილოეთი კორეა არავის დაესხმება თავს პირველი. ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის იდეას არ ეთანხმება რუსეთიც. **ჩინეთსა და რუსეთს აქვთ ისეთი რაკეტები, რომლებიც ზღვის ზედაპირიდან გააქრობენ ავიამზიდების ამ ჯგუფებს და რა აზრი აქვს იქ მოძველებული ხომალდების გაგზავნას?**

პერლ-ჰარბორში ერთხელ უკვე ისე დააყენეს ხომალდები, რომ იაპონელებმა ჩაძირეს, ამიტომ პასუხი ერთია: **ხომალდები იმისთვის გაგზავნეს, რათა გაანადგურონ და აშშ-ს მიეცეს თავის მართლების საშუალება მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებისთვის.**

აშშ-ის უვარგისმა მარიონეტმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** განაცხადა; „ვაღიარებთ, რომ ევროპაც მოხვდა ჩრდილოეთ კორეის რაკეტების დარტყმის ზონაში და ნატოს წევრ-სახელმწიფოებს ხიფათი ემუქრებათ“. გახსოვთ? ეს კიდევ ერთი ტყუილია ევროპისთვის, რომელიც ადრე არარსებული ირანული რაკეტების დარტყმის ზონაში მოხვდა. და ეს იყო საბაბი, აშშ-ს თავისი რაკეტები რუსეთის საზღვრის გასწვრივ განელაგებია. ამჟამად კი აშშ ჩრდილოკორეულ კრიზისს იმისთვის იყენებს, რომ რაკეტები ჩინეთის საზღვრის გასწვრივ განალაგოს.

არის კიდევ ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ ვიცეპრეზიდენტმა **მაიკ პენსმა** მოინახულა მაინოტის (შტატი ჩრდილოეთი დაკოტა) ბირთვული რაკეტების ბაზა და რაკეტების გამშვები ქვედანაყოფების პირად შემადგენლობას უპასუხისმგებლოდ განუცხადა: **„ჩვენ შევდივართ ძალიან სახიფათო პერიოდში, და აქ ვიმყოფები იმისთვის, რომ გითხრათ: უახლოეს მომავალში შეიძლება მიიღოთ ბრძანება: „გაშვება“. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ სიტუაციის ყველა შესაძლო განვითარებისთვის გვაქვს შემუშავებული გეგმა, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ვითარების ესკალაცია წავიდეს იმ მიმართულებით, რომელიც არ გაგვითვალისწინებია. თუ თქვენ მიიღებთ გაშვების ბრძანებას, განახორციელეთ გაშვება. დროს ნუ დაკარგავთ იმის გარკვევაზე, არის თუ არა ეს ბრძანება უფლებამოსილი. თქვენ არ გაქვთ დაყოვნების უფლება“.**

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის ეს განცხადება უპასუხისმგებლოა და საღ აზრს მოკლებული.

**დროა, შევშინდეთ იმის გამო, რომ აშშ-ის პოლიტიკური ლიდერები ასე აღიქვამენ ყოველთვის არსებული ცრუ საფრთხეების ალბათობას. სულელი პენსი კაცობრიობის საფრთხეა. პენსი არ არის პატრიოტი, რომელიც დაგვიცავს. ის იდიოტია, რომელსაც, სანამ ყველას გაგვანადგურებს, იმპიჩმენტი უნდა მოვუწყოთ ტოტალური უპასუხისმგებლობის გამო.**

შედით ინტერნეტში. ცრუ გაფრთხილებები ბირთვული განგაშის შესახებ ჩვეულებრივი საქმე იყო „ცივი ომის“ პერიოდში, მაგრამ ვაშინგტონიცა და მოსკოვიც უკიდურესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საკითხს, როგორ ემოქმედათ ესეთ პირობებში. ახლა კი **ჩვენ გვყავს იდიოტი ვიცეპრეზიდენტი, რომელსაც სურს, აკრძალოს ასეთი გაფრთხილებებისა და ცნობების შემოწმება და იმოქმედოს.**

**ვაშინგტონში იდიოტებმა გასცეს ბრძანება და სადღეღამისო საბრძოლო მზადყოფნა დაუწესეს ვადაგასულ ბომბდამშენებს — B-52-ებს. რისთვის? არც ერთ ამ თვითმფრინავს არ შეუძლია გადალახოს რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა. ამ უაზრო ბრძანების მიზანი არის, კიდევ უფრო დაეცეს ნდობის დონე ორ ბირთვულ სახელმწიფოს შორის. რატომ ჩაიძირა ვაშინგტონი დანაშაულებრივ ქმედებებში? ვინ აგებს პასუხს ამაზე? რატომ არ არიან ისინი დაპატიმრებული პლანეტაზე სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის გამო?**

ვაშინგტონის მიერ ჩინეთისა და რუსეთის მხრიდან გაფრთხილებების იგნორირება — ეს არის ყველაზე საგანგაშო და უჩვეულო რამ, რაც შემხვედრია ჩემს სიცოცხლეში.

რატომ არ ესმის ვაშინგტონსა და მის ვასალებს, როცა სახელმწიფოები, რომლებსაც მათი განადგურება შეუძლიათ, გარკვევით და ნათლად ამბობენ, რომ ყელში ამოუვიდათ ვაშინგტონის თავხედობა, ქედმაღლობა და ყოყლოჩინობა?“

**პოლ კრეიგ რობერტსი**

# Bild-ი: ევროკავშირი პოლონეთის ხარჯზე მდიდრდება

**პოლონეთის სეიმის (პარლამენტის) დეპუტატმა იანუშ შევჩაკმა, რომელიც პარლამენტის საფინანსო კომისიას ხელმძღვანელობს, ფარდა ახადა ვარშავისა და ბრიუსელის ეკონომიკური ურთიერთობის ზოგიერთ ნიუანსს.**



„ბევრია მაგალითი იმისა, რომ ევროკავშირის „ძველი“ ნაწილი საკუთარ თავზეა ორიენტირებული... დავასახელებ თუნდაც უძვირეს ავტოსტრადებს, რომლებიც 100 მილიარდი ზლოტი დაჯდა. ამ თანხის 30 პროცენტი მოიპარეს ან არადანიშნულებისამებრ მოიხმარეს, კიდევ 30 პროცენტი უკან დაუბრუნდა ევროზონის მდიდარ ქვეყნებს, რადგან ისინი მთავარი ინვესტორები იყვნენ. სამუშაოები შეასრულეს პოლონელმა სუბიექტებმა, მაგრამ ისინი გაკოტრდნენ, რადგან სახელმწიფო გარანტიების გარეშე მუშაობდნენ და არავინ უნაზღაურებდა მასალებისა და სამუშაოს ღირებულებას“, — განაცხადა იანუშ შევჩაკმა.

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ ევროკავშირი აფინანსებს თანამედროვე ინფრასტრუქტურის მშენებლობას პოლონეთის დასავლეთსა და ჩრდილოეთში. ეს მხარეები გერმანიის გავლენის ზონაშია მოქცეული. სამხრეთი და აღმოსავლეთი, რომლებიც გერმანიასაა დაშორებული, ასეთ ინვესტიციებს ვერ ეღირსა და, ეტყობა, ვერც ეღირსება.

„მეორე ხარისხის“ ევროპიდან ფულისა და სხვა რესურსების ამოწოვა გერმანიის მსგავსად სხვა დასავლეთევროპელი ეკონომიკური ლიდერების მიერ, დიდი ხანია, ნორმად იქცა. 2017 წელს გერმანული პრესა იუწყებოდა, რომ ბერლინმა მილიარდობით მოგება მიიღო გალატაკების პირზე მდგარი საბერძნეთისთვის გამიზნული კრედიტებიდან. პოლონეთი და საბერძნეთი ევროკავშირის წევრებია, მაგრამ მხოლოდ „მეორე ხარისხოვანი“ და ამას უწოდებენ „ორსიჩქარიან ევროპას“.

# BBC News: მსოფლიოში უძვირესი შოტლანდიური ვისკი ნაყალბევი აღმოჩნდა

**ვისკი ჩინელმა მილიონერმა ჩან ვეიმ შვეიცარიის სასტუმრო Waldhaus Am See-ში იყიდა. ერთი წილი 10 ათასი შვეიცარიული ფრანკი ღირდა, ისტორიაში ყველაზე ძვირი.**

ადგილობრივ ექსპერტებს ეჭვი შეეპარათ, რომ სასმელი ორიგინალი იყო. ეჭვის გასაფანტავად სასტუმრომ ვისკის ნიმუში შოტლანდიელ ექსპერტებს გაუგზავნა.

ანალიზმა დაადასტურა, რომ ვისკი ნაყალბევი იყო, დამზადებული არა 1878 წელს, როგორც რეკლამაში იყო მითითებული, არამედ არაუგვიანეს 1970 წლისა. გაირკვა ისიც, რომ იგი კუპაჟირებული, ანუ რამდენიმე სახის სპირტისგან იყო დამზადებული.

კლიენტს ზარალი სასტუმრომ სრულად აუნაზღაურა. ჩან ვეიმ სასტუმროს ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა პატიოსნებისა და სტუმართმოყვარეობისთვის.

# უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: ნუთუ ყველას აქვს აღმსარებლობის თავისუფლება, ქრისტიანების გარდა?





**საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე დღის წინათ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბრეტანის რეგიონში, ქალაქ პლოერმელის ერთ-ერთ მოედანზე მდგარი რომის პაპის, იოანე პავლე II-ის, ქანდაკებას, რომელიც, სხვათა შორის, ქართველი სკულპტორის, ზურაბ წერეთლის, შექმნილია, ჯვარი უნდა მოშორდეს, რადგან, სასამართლოს შეფასებით, ის ეწინააღმდეგება 1905 წელს მიღებულ კანონს, რომლის მიხედვით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე დაუშვებელია რელიგიური სიმბოლოების განლაგება.**

ამ ფაქტს უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **პეტერ სიიარტო** გამოეხმაურა და განაცხადა, რომ უნგრეთის მთავრობა მზადაა, ჯვარი, რომლის მოშორებაც საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა, უნგრეთში მიიღოს.

„ასეთი ნაბიჯები შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონტინენტის ცივილიზაციისა და კულტურის განადგურების მცდელობა. ნუთუ სიმართლეა, რომ 21-ე საუკუნეში ევროპაში ქრისტიანული სიმბოლოს მოშორებას ვაპირებთ? ნუთუ ყველას აქვს აღმსარებლობის თავისუფლება, ქრისტიანების გარდა?“ — განაცხადა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894